საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ირინა კრავჩენკო

# ეროვნული ხასიათი და თავისუფლების კონცეპტი ჯ. ქარჩხაძის „განზომილების“ მიხედვით

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი

**დისერტაცია**

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა-ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი შორენა მახაჭაძე

ბათუმი - 2019

# განაცხადი

როგორცწარდგენილისადისერტაციონაშრომისავტორი, ვაცხადებ, რომნაშრომიწარმოადგენსჩემსორიგინალურნამუშევარსდაარშეიცავსსხვაავტორებისმიერაქამდეგამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლადმიღებულანდასაცავადწარდგენილმასალებს, რომლებიცნაშრომშიარარისმოხსენიებულიანციტირებულისათანადოწესებისშესაბამისად.

ირინაკრავჩენკო 10.05.2019

# ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

- საკვლევი თემის აქტუალობა
- კვლევის მიზნები და ამოცანები
- კვლევის საგანი და ობიექტი
- კვლევის მეთოდოლოგია
- პრობლემის შესწავლის მდგომარეობა
- სამეცნიერო სიახლე
- ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

თავი1-ლი. თავისუფლების კონცეპტი ქართულ ლიტერატურაში

1. კონცეპტის ცნება
2. თავისუფლების გააზრება ქრისტიანულ რელიგიასა და ფილოსოფიაში
3. თავისუფლების კონცეპტი ძველ ქართულ ლიტერატურაში
4. თავისუფლების არსი და ახალი ქართული მწერლობა
5. თავისუფლების კონცეპტი და უახლესი ქართული ლიტერატურა

თავი მე-2. ეროვნული ხასიათი ქართულ მწერლობაში

1. ამირანი და ნაცარქექია (ფოლკლორი)
2. ეროვნული ხასიათის გამოვლინება ქართულ მწერლობაში (ზოგადი მიმოხილვა)

თავი მე-3. თავისუფლების კონცეპტი „განზომილებაში“

თავი მე-4. ეროვნული ხასიათი „განზომილებაში“

თავი მე-5. „განზომილების“ სახეთა სისტემა და მისი ხორცშესხმის მხატვრული საშუალებები

1. „განზომილება“ - პოსტმოდერნისტული ტექსტი
2. „განზომილების“ ნარატივი
3. გამოქვაბულის პარადიგმა
4. გზის სახისმეტყველება
5. სახელდების პრინციპი

დასკვნა
გამოყენებული ლიტერატურა

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

**საკვლევითემისაქტუალურობა**

ჯემალ ქარჩხაძე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწერალია, გამორჩეული თხრობის მანერითა და განსაკუთრებული ხელწერით. მის შემოქმედებაში ნარაციის სხვადასხვანაირი ოსტატური მონაცვლეობა ხელს უწყობს სათქმელის უკეთესად გადმოცემასა და ფსიქოლოგიურ-ფილოსოფიური სიღრმეების წვდომას. ქარჩხაძე ინტელექტუალურ მწერლადაა აღიარებული და, შესაბამისად, მისი ტექსტების პრობლემატიკა არასდროს კარგავს აქტუალურობას. მისი შემოქმედება ძირითადად თანამედროვეობას ეხმიანება, თუმცა მას აქვს ისეთი მოთხრობები და რომანები, რომელთა პერსონაჟები ზედროულ გმირებს განეკუთვნებიან და, ამდენად, ყველა თაობის მკითხველისათვის საინტერესონი არიან.

ამასთანერთად, გლობალიზაციისეპოქაშიგანსაკუთრებულიდატვირთვაენიჭებამცირეერებისთვითმყოფადობისშენარჩუნებას, მათიეროვნულიხასიათისთავისებურებებისადათავისუფლებისკონცეპტისკვლევას. ამდენად, საკითხის შესწავლა უფრო აქტუალური ხდება და მეტ ინტერესს იწვევს. მცირერიცხოვანი ერები თუ რაიმეთი ახერხებენ დომინანტი ერებისთვის კონკურენციის გაწევას, ეს მათი კულტურაა და, შესაბამისად, თვითგამორკვევის პროცესში ეროვნული ხასიათის განსაზღვრა და მისი გამოვლენა - შენარჩუნება ყველაზე საშური საქმეა.

**კვლევისმიზნებიდაამოცანები**

ნაშრომისმიზანია „განზომილების“კვლევამეოცესაუკუნისქართულილიტერატურისგანვითარების ძირითადი ტენდენციებისგათვალისწინებით, ტექსტისუმთავრესისათქმელისგანსაზღვრადამისიმხატვრულითავისებურებებისგამოკვეთა.
კვლევისძირითადამოცანადვთვლითიმალეგორიულიქვეტექსტისამოცნობას, რომელიცხანდახანნაწარმოებისსიუჟეტსადაფაბულაზემნიშვნელოვანია.

კვლევისმიზანია „განზომილების“ მიხედვითთავისუფლებისკონცეპტისგააზრებადაქართულიეროვნულიხასიათისგანსაზღვრა;კვლევაასევე მოიცავსმითოსურ-რელიგიურიპლანისძიებასდატექსტისპოსტმოდერნისტულირაკურსითგააზრებისმცდელობას.

**კვლევისსაგანიდაობიექტი**

ჩვენი კვლევის საგანი და ობიექტი ჯემალ ქარჩხაძის რომანი „განზომილებაა“, რომელიც მწერლის უკანასკნელი ნაწარმოებია და კრიტიკოსთა მიერ ჯერჯერობით ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ტექსტი მრავალგანზომილებიანია, თუმცა ჩვენ შევეცადეთ, მხოლოდ ეროვნული ხასიათის განსაზღვრის თვალსაზრისით და თავისუფლების გააზრების რაკურსით განგვეხილა იგი.

**კვლევისმეთოდოლოგია**

ნაშრომშიტექსტისინტერპრეტაციისასგამოყენებულიალიტერატურათ-მცოდნეობაშიგავრცელებულიკომპლექსურიმიდგომა -სხვადასხვასახისკვლევა. ძირითადიაქცენტიგაკეთებულიაისტორიულრაკურსზედალიტერატურულიტრადიციებისფონზეთანამედროვემწერლობისგამოწვევებისგანსაზღვრაზე. იმაზე, თუ როგორშეიცვალათავისუფლებისგააზრებასაუკუნეებისგანმავლობაშიდაროგორასახალიტერატურამქართულიხასიათი.

ნაშრომში გამოყენებულია აგრეთვე სემიოტიკისა და დისკურსის, ნარატოლოგიისა და მითოკრიტიკის მეთოდი, რაც ტექსტის მეტნაკლებად სიღრმისეული განხილვის საშუალებას გვაძლევს.

**პრობლემისშესწავლისმდგომარეობა**

ჯემალქარჩხაძესაკმაოდახალგაზრდა, 62 წლისა, გარდაიცვალა, პირველიმოთხრობა 1962 წელსგამოაქვეყნა. იგიავტორიაოცდაათამდემოთხრობისა, ექვსირომანისა, ერთიპიესისადამრავალფეროვანიდააქტუალურიპუბლიცისტურიწერილებისა.

„განზომილება" მისიდაუმთავრებელირომანია, რომლისშესახებზევრირეცენზიაარგამოქვეყნებულა. 2001 წელსგამოცემულრომანსუძღვისგამომცემლის, გიაქარჩხაძის,წინათქმა.„განზომილება" ჯემალქარჩხაძისბოლორომანია. მართალია, ნაწარმოებიფორმალურადდაუსრულებელია, მაგრამიგითავისთავადსრულიადდასრულებულინაწილებისგანშედგება. რომანშიიმმასშტაბისსამუშაოაწამოწყებული, რომძნელია, არგაჩნდესკითხვა: საერთოდშესაძლებელიკიაასეთისამუშაოს „დასრულება"?! უამრავიპლასტი, ერთმანეთთანსიღრმისეულიკავშირებითგადაჯაჭვული, უთვალავიმხატვრულისახე, მძლავრიფილოსოფიურინაკადი, ქართულიენისუღრმესიშრეებისწვდომადაუმაღლესდონეზეაყვანილიტექნიკა - ყველაფერიესსაოცარშთაბეჭდილებასტოვებს" (ქარჩხაძე, 2001:5).

ჯემალქარჩხაძისბიოგრაფიასადაშემოქმედებაზესაუბრობსკრიტიკოსიემზარკვიტაიშვილი. ისსხვარომანებთანერთად „განზომილებასაც" განიხილავს.მასრომანშიყველაზეუფროხიბლავსრეალურიდაირეალურიეპიზოდების ისეთიბუნებრივიმონაცვლეობა, რომელსაცაშკარადახლავსძალდაუტანებლობა, რაცმწერლისოსტატობაზემეტყველებს.

„განზომილების" შესახებსაინტერესოწერილიგამოაქვეყნამაიაჯალიაშვილმააბიტურიენტთათვისგანკუთვნილიმწიგნში, რომელიცმთლიანადჯემალქარჩხაძესმიეძღვნა. იგიწერს,

რომრომანიუამრავიპარადიგმითაასავსე, რაცბუნებრივია, რადგანმეტაფორულობადაპარადიგმულობასწორედაცინტელექტუალურიმწერლისპროზისთვისაადამახასიათებელი. სახეებიკიისეაკოდირებული, რომსიუჟეტისდონეზეყველაფერიცხადია. ხოლოე.წ. „საგანგებოცოდნა" მკითხველსგაუხსნისგზასსხვა, ფარულიდონეებისაკენდა, ამშემთხვევაში, გზაგვირაბამდე, გვირაბშიდაგვირაბისშემდეგჯოჯოხეთშიშთასვლას, გარკვეულხელდასმასემსგავსებასამყაროსსაწვდომად (ჯალიაშვილი, 2016:149).

„განზომილებაში" მეოცესაუკუნისბოლოათწლეულიააღწერილიდაამფონზემწერალიცდილობს, ზუსტისურათიდაგვიხატოსიმ პოლიტიკურ-ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურიშეჯირვებისა, იმდროინდელსაქართველოსრომახასიათებდადარამაცკინაღამუფსკრულამდემიიყვანაქვეყანა. ამკუთხითაცსაინტერესოარომანი-ისერთგვარობიექტურმატიანესწარმოადგენს, ხოლოავტორი-პირუთვნელმთხრობელს.

ამ მცირე მიმოხილვიდანაც ნათელია, თუ რაოდენ მწირია სამეცნიერო ლიტერატურა ჯემალ ქარჩხაძის ,,განზომილების" შესახებ.

**სამეცნიეროსიახლე**

ქარჩხაძის შემოქმედების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სიახლის შემცველია, რადგან ჯერჯერობით არ არსებობს მონოგრაფიული ნაშრომი მისი ნაწარმოებების შესახებ. ქართულ კრიტიკაში შედარებით მეტია დაწერილი მის მოთხრობაზე „იგი", რომლის პოპულარობა, სხვა მოთხრობებთან შედარებით, ალბათ იმან განაპირობა, რომ ის შეტანილია როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებში,ისე ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამაშიც. რაც შეეხება ჯ. ქარჩხაძის უკანაკნელ რომანს, „განზომილებას", მის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ

მწირი ანალიტიკური მასალა მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს ფაქტობრივად შეუსწავლელი ტექსტის დამუშავებაში, რაც, თავის მხრივ, უფრო საინტერესოს ხდიდა მუშაობის პროცესს. ასევე, უნდა ითქვას, რომ მკვლევართა და კრიტიკოსთა მიერ ნაკლებადაა შესწავლილი თავისუფლების კონცეპტი ქართულ მწერლობაში.

**ნაშრომისთეორიულიდაპრაქტიკულიმნიშვნელობა**

ნაშრომმა შეიძლება მიიპყროს იმ მკითხველთა ყურადღება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ეროვნული ხასიათის დეფინიციითა და თავისუფლების კონცეპტის გააზრებით. ვფიქრობთ, რომ ის გამოადგებათ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც სახისმეტყველება და პარადიგმული ასპექტები აინტერესებთ და ამ კუთხით მუშაობას აპირებენ.

# თავი პირველი

## თავისუფლების კონცეპტი ქართულ ლიტერატურაში

### 1. კონცეპტის ცნება

ცნობილია, რომკონკრეტულისახელისწარმოთქმისასადამიანებსამსაგნისსრულიადგანსხვავებულიფორმებიუჩნდებათცნობიერებაში, მითუფრო, თუესსიტყვა, ამავედროს, კონცეპტიცაა. ასეთშემთხვევაში, რთულდებასიტყვა-კონცეპტისერთიძირითადიმნიშვნელობისდადგენადამასიმდენიმნიშვნელობააქვს, რამდენიადამიანიცწარმოთქვამს.კონცეპტისაზრისგასაგებადსაჭიროხდებაამენაზემოლაპარაკეთაკოლექტიურიცნობიერებისანალიზი, ანუიმის გარკვევა, თუ როგორიმნიშვნელობითიყენებენამსიტყვას,როგორიასოციაციებიადაკავშირებულიამ სიტყვითგამოხატულცნებასთან, როგორიიყომისიარქეტიპულიმნიშვნელობა,

როგორგამოიხატებამყარსიტყვათშეხამებებსადაფრაზეოლოგიზმებში, აგრეთვე - ლიტერატურასადასასაუბრომეტყველებაში.

„კონცეპტიწარმოადგენსაზრისვერბალურგამოვლინებას,აზრიკიიქმნებანიშნებით, ჩვენშეგვიძლიააზრსჩავწვდეთმხოლოდსიტყვებისმეშვეობით.კონცეპტიმიეკუთვნებანაციონა ლურენობრივცნობიერებას,იგიენისადააზრისერთიანობაა, რომელიცასახავსიდეალურიანრეალურისამყაროსსაგანს (მოვლენას)დაინახავსენისნაციონალურმეხსიერებაშივერბალურიაღმნიშვნელისსახით“ (ზარბაქაძე, კონცეპტი „ოცნება“ სემიოტიკური ანალიზი).

ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია. სამყარო სხვადასხვანაირად აღიქმება სხვადასხვა ენის წარმომადგენელთა მიერ. სამყაროს ენობრივი აღქმის, ენობრივი ხატის ცნება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის სახელს უკავშირდება, რომელიც ერის მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში უდიდეს მნიშვნელობას სწორედ ენას ანიჭებდა. თანამედროვე ლინგვისტიკაში ერთ-ერთ დომინანტ დარგად სწორდე ენის საშუალებით კულტურის შესწავლა იქცა, აქედან გამომდინარე, ყველაზე აქტუალური კონცეპტის ცნება გახდა. კონცეპტი ისაა, რისი საშუალებითაც კულტურა აღწევს ადამიანის მენტალურ სამყაროში. ის ჩვეულებრივი სიტყვისგან, უბრალო ცნებისგან იმით განსხვავდება, რომ მას თან ახლავს ემოციური და ხატოვანი ნიუანსები. ცნება აზროვნებას უკავშირდება, ხოლო კონცეპტი აზროვნებასთან ერთად განცდასაც მოითხოვს.

1980 წელს ჯორჯ ლაკოფმა და მარკ ჯონსონმა გამოაქვეყნეს წიგნი „მეტაფორები, რომლებითაც ვცხოვრობთ“, რომელიც გამოსვლისთანავე ინტელექტუალურ ბესტსელერად იქცა. ავტორთა აზრით, ხატოვანი გამონათქვამები ადამიანის აზროვნების საშუალებით სამყაროს შეცნობის უმნიშვნელოვანესი მექანიზმია და ამიტომაც სწორედ მათ ანალიზს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, რადგან სწორედ ისინი წარმოადგენენ სამყაროს შეცნობის უმთავრეს ხერხებს.

თანამედროვე კულტუროლოგიური და ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცეპტისადმი მის სულიერი ღირებულების ცნებად მიჩნევას გულისხმობს. კონცეპტები, როგორც მენტალური ერთეულები, არამარტო გაიაზრებიან, არამედ განიცდებიან კიდეც, უფრო ზუსტად რომ ჩამოვაყალიბოთ, მათ მიმართ ვლინდება სიმპათიისა და ემპათიის ემოციური ურთიერთმიმართება (სტეპანოვი, 1997:41). კონცეპტები წარმოადგენენ ყოფით-ფილოსოფიური ცნობიერების ერთეულებს, რომლებსაც განსაკუთრებული კულტურული ნიშნები და მსოფლმხედველობრივი ორიენტაცია გააჩნიათ, განსაკუთრებით, ეთნიკური დატვირთვით (არუთინოვა, 1993:31) ამა თუ იმ ენის მატარებელთა მსოფლაღქმის სპეციფიკურობას ასახავს ჰჯკონცეპტთა ერთობლიობა, სწორედ ესაა ენის მენტალობა, რომელიც ერის კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით სტერეოტიპტთა კომპლექსს გულისხმობს, რომლის შემადგენლობაშიცაა ეთნიკური სპეციფიკის მქონე კონცეპტები (მასლოვა, 2001:49).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ირკვევა, რომ კონცეპტი სემანტიკურად გულისხმობს გარკვეულ აბსტრაქციას, რომელიც თავის ენობრივ რეალიზაციათა მნიშვნელობებს განაზოგადებს. აბსტრაქტულობის მაღალი ხარისხი აქვთ მეტაფიზიკურ კონცეპტებს, როგორებიცაა, მაგალითად, სული, სიყვარული, ჭეშმარიტება, ბედნიერება, თავისუფლება და მისთ. (სალომე ომიაძე, კონცეპტის ცნება). შესაბამისად, კონცეპტის კვლევის და ანალიზისას განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ამგვარი ცნებების განზოგადება და დაჯგუფება, მათი კლასიფიკაცია იწვევს.

## 2. თავისუფლების გააზრება ქრისტიანულ რელიგიასა და ფილოსოფიაში

არსებობს განცდები, რომლებიც ძნელად განიმარტება, მაგრამ ადვილად შესაგრძნობია, ასეთია თავისუფლება, რომლის არსი კარგადაა ქართულ გენიალურ კომპოზიტშივე ახსნილი: თავის ფლობა, თავის განკარგვა, თავის უფლად ყოფნა ანუ საკუთარ თავზე ბატონობა, საკუთარი ცხოვრების ბატონპატრონობა. ყველა ადამიანი ისწრაფვის მისკენ, თუმცა ცოტამ თუ იცის, რას წარმოადგენს თვითონ, რას უნდა

უპატრონოს და ვის უნდა უბატონოს. თავისუფალი მაშინ ხარ, როცა საკუთარ „მეს“ შენვე უწესებ კანონებს, ზღვარს, იმ ჩარჩოს, რომლის მიღმა სხვისი თავისუფლება იწყება, რისი ხელყოფაც თავისუფალ ადამიანს არ ეპატიება.პიროვნული თავისუფლება ანუ არჩევანის ქონა ყველაზე მნიშვნელოვანი და მარადიული პრობლემაა. „წიგნთა წიგნის“ მიხედვით, ადამიანი მუდმივად დგას ყველაზე მთავარი არჩევნის წინაშე- სულის ცხონება თუ სულის დაღუპვა, რასაც, ალბათ, უფრო მარტივად სულისა და ხორცის ჭიდილი ჰქვია. ხორცს სულიერად სუსტი ემონება, ხორცის მონობა კი სულის დაღუპვას მოასწავებს.

ლიტერატურა ყოველთვის იყო კაცობრიობისთვის ყველაზე რთული დილემების ამხსნელი. ყველა დიდი მწერალი იმავდროულად დიდი ფილოსოფოსიცაა და მათ ნაწერებში ყველა იმ შეკითხვისთვის პასუხის გაცემის მცდელობაა, გაჩენის დღიდან რომ აწვალებდა ადამიანს.

ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება მხოლოდ უფლებათა ხაზგასმა და მათი კონტროლი არაა. ესაა მოვალეობათა გააზრებული სიმრავლეც, რაც განუზომლად ზრდის პასუხისმგებლობის ტვირთის სიმძიმეს. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლება ადამიანის სულის მარადიული საწყისია. სულში, ამ შემთხვევაში, მოიაზრება გონებაც, რაციოც, იდეაც... სული თვითონაა თავისუფლება და საწყისი ადამიანური ურთიერთობებისაც. ნამდვილი ურთიერთობა მხოლოდ თავისუფალი ურთიერთობა შეიძლებაიყოს. თავისუფლება შემოქმედებას უკავშირდება, ის დიდი შემოქმედებითი ენერგიაცაა, მხოლოდ არჩევანის ქონას- უზარმაზარ პრივილეგიას არ გულისხმობს, ის თვითონაა არჩევანი, ყველაზე დიდი საპირწონე.

ქრისტიანული კონცეფციით, ადამიანი მუდმივად დგას ყველაზე დიდი არჩევანის წინაშე: თეთრი და შავი, სიკეთე და ბოროტება, სიყვარული და სიძულვილი, პატიება და შურისძიება. ის მარტოა არჩევანში და, შესაბამისად, მარტო უწევს სულზე ზრუნვაც. საინტერესოა სულის ქრისტიანული ინტერპრეტაციაც:

სული სისხლშია, ან უფრო ზოგადად, სითხეში- სისხლში, ოფლში, ცრემლში... სისხლს ვღვრით, ვკვდებით მის გამო, ვინც გვიყვარს, ოფლს ვიწურავთ, ვშრომობთ ისევ სიყვარულის გამო და ცრემლიც მათ გამო გვდის, ვინც ძვირფასია. სული სიყვარული ყოფილა და თან ქმედითი, ანუ ის, რაც გაიძულებს ქმედებას.

ძველ საბერძნეთში უცნობი იყო ნების ცნება. აქედან გამომდინარე, თავისუფალი ნების საკითხი არც კი ჩანს ანტიკურობაში. ძველი ბერძნები ფიქრობდნენ, რომ ადამიანი თავისუფალი იყო, თუ მისი ცხოვრება გონების კარნახს ემორჩილებოდა, სხვა შემთხვევაში, იგი საკუთარი ვნებების მონად რჩებოდა. პლატონის მიხედვით, ადამიანი თავისუფალი იყო, თუ მისი სულის უმაღლესი ნაწილი, ანუ გონება, ბატონობდა ემოციებზე.

ელინისტური პერიოდის ფილოსოფიური აზრიც დაკავებული იყო ადამიანის თავისუფლების პრობლემით, თუმცა მისთვისაც უცნობი აღმოჩნდა ნების კონცეპტი. ეპიკურელებისათვის სიცოცხლის მიზანი ბედნიერება იყო, რომელსაც თვითკმარ და უშფოთველ ცხოვრებაში ხედავდნენ. მათი აზრით, ასეთ ცხოვრებას წინ ეღობებოდა პოლიტიკური ამბიციები და სიკვდილის შიში. ეპიკურეს აზრით, თავისუფლებისა და ბედნიერების მისაღწევად საჭირო იყო აქტიური სამოქალაქო ყოფის მიტოვება და ახლო მეგობრებთან ერთად მშვიდ, განცალკევებულ გარემოში ცხოვრება, ადამიანისთვის აუცილებელი იყო ასევე ცრურწმენებისაგან გათავისუფლება და იმის გაცნობიერება, რომ სრულყოფილ ნეტარებაში მყოფი ღმერთები გულგრილნი იყვნენ კაცთა მოდგმისა და მათი საქმეებისადმი.

ეპიკურელების მსგავსად, სტოელებიც ბედნიერებას ესწრაფვოდნენ, მაგრამ მათსავით არ ცდილობდნენ საზოგადოებისაგან იზოლაციას და არც მოკვდავთა ცხოვრებაში ღმერთების ჩართულობას უარყოფდნენ. სტოელებისათვის ბედნიერება მთელი სამყაროს განმგებელ ღვთაებრივ logos-თან გაერთიანებით მიიღწეოდა, რაც მხოლოდ ბრძენს შეეძლო, რომელიც კატალეპტიკურ, ანუ ნათელ და ცხად შეგრძნებებზე დაფუძნებულ ჭეშმარიტებასთან იყო ნაზიარები, ხოლო ჩვეულებრივი

ადამიანები ბრმად ემორჩილებოდნენ მათთვის აუხსნელ ბედისწერას, ანუ ისინი ბედისწერის მონები იყვნენ.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობა ყურადღების მიღმა არ დატოვებდა თავისუფლების ცნებას, ადამიანის თავისუფალმა ნებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში, რადგან მეტაფიზიკურ ახსნას მოითხოვდა ის, თუ საიდან გაჩნდა ბოროტება და კეთილი ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში. ადამიანური ნების ავტონომიურობის ხაზგასმამ ბუნებრივად წამოსწია წინ ღმერთის ყოვლისმცოდნეობისა და ადამიანური ნების თავისუფლების თავსებადობის საკითხი. თომა აქვინელი ამტკიცებს, რომ ღმერთმა წინასწარ იცის ჩვენი მოქმედებები, რაკი მისთვის დრო არ არსებობს და სამყაროს მთელ ისტორიას ერთდროულად ხედავს მარადისობის ყოვლისმომცველი რაკურსით. იგი წინასწარ კი არ „გამოთვლის" ჩვენს მომავალ აქტებს, არამედ ერთდროულად ხედავს წარსულს, აწმყოსა და მომავალს. რაკი ჩვენი აქტები წინასწარ არ გამოითვლება, ადამიანური ნება რეალურად თავისუფალია (ევანსი, 2014: 45).

განსხვავებულ აზრს ავითარებს წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. მისი აზრით, ღმერთმა ადამიანი და საერთოდ, მთელი სამყარო მისი შემდგომი გაღმრთობის მიზნით შექმნა. აქედან გამომდინარე, მისი კოსმოგონია შემდეგი ტრიადით აღიწერება:genesis, kinesis, statis. ამ ტრიადიდან პირველი შესაქმეს აღნიშნავს, მეორე - გაღმრთობისაკენ მოძრაობას, მესამე კი სტატიკურ მდგომარეობას გაღმრთობის შემდეგ. ამ მიზნის შესაბამისად, ღმერთმა ყველაფერი მის გონებაში მარადიულად არსებული ლოგოსების მიხედვით შექმნა. „ადამიანის ლოგოსი მისი ცხოვრების უმაღლესი აზრის- შემოქმედისაკენ მისწრაფებას, გაღმრთობას გულისხმობს. ამ ლოგოსის აქტუალიზაციისათვის ღმერთმა ადამიანში ბუნებრივი ნება (thelima phisis) ჩადო. ამასთან, რაკი ადამიანი გონიერი არსებაა, მას დამოუკიდებლად შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, საკუთარი მიზნების დასახვა და არჩევანის გაკეთებაც. ამავე დროს, ცოდვით დაცემით იგი ღმერთისგან განეშორა და შემოქმედის მაგივრად

ქმნილებისაკენ მიიდრიკა. ამის გამო ადამიანში ბუნებრივი ნებისგან განსხვავებული პიროვნული, არჩევითი ნება გაჩნდა. წმინდა მაქსიმე მას thelima gnomi-თ აღნიშნავს (ზუაძე, 2013:32).

თავისუფლების არსის განსაზღვრა ყოველთვის რჩებოდა მწერლობაში მთავარ პრიორიტეტად - იგულისხმება როგორც პიროვნული, ასევე ქვეყნის თავისუფლებაც, რადგან ცალსახად უნდა ითქვას, რომ ქვეყნისთვის უმთავრესი მადლის-თავისუფლების მოპოვება მხოლოდ პიროვნული თავისუფლებისკენ რომ ისწრაფვიან, იმ ადამიანებს ხელეწიფებათ. ქვეყანას მონები ვერასდროს იხსნიან. ნათელია, რომ როცა ასეთ რთულ პრობლემას წააწყდება და მის ახსნას შეეცდება მწერალი, სათქმელი იმაზე მეტი აღმოჩნდება, ვიდრე სტრიქონებში შეიძლება მოაქციო და მერე სტრიქონებს მიღმა იკითხებოდეს, საინტერესოა, როგორ ართმევენ თანამედროვე ქართველი მწერლები თავს ამ ყველაზე რთულსა და უმნიშვნელოვანეს ამოცანას- თავისუფლების ცნების განსაზღვრითა და მის მიმართ ხალხის დამოკიდებულების ობიექტური ასახვით გაასამართლონ ეპოქა.

საუკუნეების განმავლობაში მწერლობას ყოველთვის ჰქონდა უმთავრესი ფუნქცია-მხილების, გამოაშკარავების, სარკედ ქცევის. ესა თუ ის ისტორიული რეალობა განსხვავებულ სათქმელს უმზადებდა და სთავაზობდა ადამიანს. მიჩვევა დანებებას ნიშნავდა და დანებება კი უფლებას გართმევდა, ყოფილიყავი ღირსეული, რჩეული, მისაბაძი. ეს სამი კომპონენტი კი უმთავრესია იმისათვის, რომ იყო მწერალი, წინამძღოლი, მესაჭე შენი ხალხისათვის, იმ სოციუმისათვის, რომელსაც ხან სახეში სილის გალაწუნება სჭირდება გამოსაფხიზლებლად, ხან მისი ნაკლის ჭუჭყიანი სარეცხივით გამოფენა და ხანაც „გაქრისტება“- თითქმის ნებაყოფლობითი აღსასრული, ჯვარზე ვნება იმ შედეგისათვის, რასაც ყველაზე დიდი მადლი-თავისუფლება ჰქვია.

ყველა ქვეყნის მწერლის წინაშე მეტნაკლები სიმძაფრით დგას ამოცანა მხილებისა, ნაკლის ხაზგასმისა და წარმოჩენისა. თუმცა ქართული რეალობა ამ

შემთხვევაშიც, შეიძლება ითქვას, უკომპრომისო აღმოჩნდა. ის გასაქანს არ აძლევს მწერალს და აიძულებს წეროს იმაზე, რაც მხოლოდ მისი კი არა, ზოგადად, ერის სატკივარია, ერის საფიქრალია. შეიძლება ეს ერთგვარი ღირსებაც იყოს: ქართველ მწერალს არასდროს მოასვენებს სინდისი, კალამი წაუხდება სიყალბის შიშით, მისი ნათქვამი ვერასდროს მივა ღირსეული მკითხველის გულამდე და დაემსგავსება მარცვალს, რომელიც კლდეზე მოხვდა და ვერასოდეს გამოიღებსნაყოფს.

ხშირად ამბობენ, რომ თავისუფლება მიზანია. ეს ასე არ არის- მიზანი ყოველთვის ადამიანის ბედნიერებაა. თავისუფლება საშუალებაა და არა- მიზანი, გაცნობიერებული თავისუფლება და მასზე დაფუძნებული მოქმედება ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, უფრო სამართლიანად იცხოვროს და მეტ კეთილდღეობას მიაღწიოს. ვინც თავისუფლებას მხოლოდ „მიზანთა მიზნად“ მოიაზრებს, ძალიან ზარმაცია საიმისოდ, რომ იფიქროს, რა უნდა გააკეთოს მისი მოპოვების შემდეგ. „გაცნობიერებული“ და „საშუალებად“ დანახული თავისუფლება- „წიგნია“, რომელსაც წაიკითხავ და მიხვდები, როგორ იცხოვრო უკეთესად შენც და სხვამაც. გაუცნობიერებელი და „მიზნად“ დანახული თავისუფლება კი ხშირად იძენს „მათრახის“ სახეს. თვითმიზნად ქცეული თავისუფლება ყოველთვის მშიერია და მისი ერთადერთი საკვები სხვისი თავისუფლებაა“ (მურღულია, 2012 :77).

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური გაგებით თავისუფლება მოვლენათა ისეთი მდინარებაა, როდესაც ამ მოვლენებში მოქმედი თითოეული პირის ნება არ განიცდის ძალადობას სხვათა ნების მხრივ.თავისუფლება ზოგადად არჩევანის საშუალება, მოვლენის შედეგის ვარიანტთა არსებობაა. არჩევანის, მოვლენის შედეგის ვარიანტთა არარსებობა თავისუფლების არქონის ტოლფასია. ამიტომაც წერს ქარჩხაძე: „კაცს თუ ლაგამი არ ამოსდე, ბოროტებას ჩაიდენს, ლაგამი თუ ამოსდე, ამით ბოროტება უკვე ჩადენილია. აი, ეს არის ჩარჩო და არსებითად სწორედ ამას ვგულისხმობთ, როცა ვაცხადებთ, რომ სამყარო სასრულოვანია“ (ქარჩხაძე, 2001:117). აქედან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველამ

პიროვნული თავისუფლებისთვის უნდა იბრძოლოს. სხვას ვერ გაათავისუფლებ, თუ მისი ნებაც არ იქნება. შენი შინაგანი თავისუფლებით შეიძლება სხვას მხოლოდ სურვილი აღუძრა, დაგემსგავსოს და ეს უკვე უზარმაზარი შედეგია.

ბორკილებდადებული ადამიანი უკიდურესად შეზღუდულია თავის უფლებებსა და ქმედებებში, მაგრამ მისი ამაყი სული ხშირად უტეხია. ეს კარგადაა ასახული მერაბ კოსტავას მინიატურაში „თავისუფლება“: „რაოდენი თავისუფლებაა, საოცარო ფრინველო, შენს მოძრაობაში! განუსაზღვრელი ექსტაზი სივრცეთა შთანთქმისა, ერთდროულად ყველგანყოფის სურვილი. თავისუფლება დიახაც ჰგულისხმობს ყოვლისმომცველობას და შენ უთუოდ ჰფლობს მას სივრცეში, რომლის სინაკლებესაც მომეტებულად განვიცდი მე, როგორც პატიმარი. მაგრამ შენს უბოროტო გულს, შენს უმანკოებას ვფიცავ, უსპეტაკესო, კიდევ მეტად რომ დავიწროვდეს საკანი, თუნდაც რომ დაიძრნენ და კუბოს ფიცრებივით შემომეჭდონ მისი კელდები, შენ მაინც ვერ იქნები ჩემზე თავისუფალი. შენ სივრცეებში გასწავლეს ფრენა, მზემ ოქროს ცვარში ამოავლო საშურველი სითეთრე შენი სხეულისა. მიწამდე დაჰყვინთავ და წამისყოფაზე უმალ დიდებული მნათობის კალთასთან ნებიერად ამოჰყვინთავ ფირუზოვან თვალსაწიერის მეუფევ, მაგრამ ვერ მომატყუებს ეგ შენი თავდავიწყებამდე დაუცხრომელი ნავარდი. არამც და არამც შენ არა ხარ თავისუფლება, არამედ მარტოოდენ სიმბოლო ხარ თავისუფლებისა. ნამდვილი თავისუფლება აქ, კუბოსდარ ვიწრო საკანში იშვის. აქ, შეგრძნებათათვის, ხანგრძლივ მოწყენილობაში იბადება იგი. უჩინრად ისახება ენერგიულ ფიქრებში, დაიძვრის, როგორც მდინარე მეხსიერებისა და მიეშურება ჩემივე ცხოვრების სათავისაკენ. დავიწყების უფსკრულიდან მოუხმობს გარდასულ სახეებს, აწ განვლილ ცხოვრებისეულ შემთხვევებს, ნაფიქრ-ნაგრძნობსა თუ წარმოსახვაში აელვარებულ სურათ-ხატებს“ (კოსტავა, 1990:123).

საინტერესოა თავისუფლების ქრისტიანული გაგებაც: „და სცნათ ჭეშმარიტი, და ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქუენ“ (იოვანე, 8:32) ანუ თავისუფლება არაა

განმარტებული, არაა განსაზღვრული, არამედ მოვლენილია (გამოცხადებულია). ადამიანი, რომელიც ამბობს ამ სიტყვებს, თავადაა თავისუფალი და მთელი სახარებაც თავისი არსით არაფერია, თუ არა სამყაროსთვის ბოლომდე თავისუფალი კაცისა და, ამდენად, თავისუფლების მოვლინება.

ქრისტეს თავისუფლება მდგომარეობს პიროვნების სრულყოფილ მთლიანობაში, ბოროტებისგან, შიშისგან, ბოღმისგან მის სრულ დამოუკიდებლობაში, ნათლითა და სიყვარულით მის სრულყოფილ სისავსეში. ესაა თავისუფლება ადამიანისა, რომელიც ბოლომდე და სრულყოფილად ფლობს საკუთარ სიცოცხლეს, ბოლომდე და თავისუფლად აძლევს ამ სიცოცხლეს იმ სიყვარულს, რომელსაც ბოლომდე შეუძლია იგი აქციოს სიცოცხლედ. ესაა ქრისტიანული კეთილუწყება- მხოლოდ სიყვარული ათავისუფლებს. პავლე მოციქული ამბობს: „ხოლო თქვენ, ძმანო, თავისუფლებისათვის ხართ ხმობილნი, მაგრამ ხორციელ განცხრომას ნუ მოახმართ თავისუფლებას, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს" (გალატელთა მიმართ, 5:13). ძნელია აღელვების გარეშე ამ სიტყვების- ადამიანებისადმი უკიდეგანო რწმენისა და მათდამი მიძღვნილი ჭეშმარიტი ხოტბის გააზრება.

თავისუფლების გააზრებაზე საუბარი უსასრულოდაა შესაძლებელი, თუმცა საინტერესოა, როგორ განმარტავს ჯემალ ქარჩხაძე თავის „განზომილებაში" პიროვნული თავისუფლების მიმართებას ქვეყნის თავისუფლებასთან. ტექსტში დაუფარავადაა აღწერილი, რომდემოკრატიის იდეამ, იმ გამარტივებული და სწორხაზოვანი ფორმით, როგორითაც ის ჩვენში იქნა მიღებული, სავალალო შედეგები მოგვიტანა: მან გაათავისუფლა პიროვნება ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან, დააკარგვინა მას ავტონომიურობა და ბუნებრივი უფლებები, რადგან მხოლოდ პასუხისმგებელია თავისუფალი და თავისუფალია პასუხისმგებელი. ხოლო ჩვენს დემოკრატიულ იდეოლოგიებში პასუხისმგებლობა და თავისუფლება გადატანილ იქნა მასების რაოდენობრივ მექანიკაზე. სწორხაზოვანი დემოკრატიული მეტაფიზიკა არ მოითხოვს პიროვნების გარდაქმნას,

შინაგან სულიერ ცვლილებებს. იგი აყალიბებს საზოგადოებრივ მორალს, რომლის თანახმადაც ყოველგვარი სასიკეთო ცვლილება ფორმის სრულყოფილებაზეა დამოკიდებული. ამგვარი დემოკრატიული მეტაფიზიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასების საერთო იდეით გახელებას, აგიტაციას, პროპაგანდას, მანიფესტაციებს.იგი ნაკლებად ფიქრობს ადამიანთა შინაგან არსობრივ ცვლილებებზე. მთავარია არა სულიერი ძალების განვითარება, არამედ მათი იმგვარ პირობებში მოქცევა, რომელიც გარდაუვალს ხდის საპროტესტო აქციებს. ეს არის დემოკრატიის ზნეობრივი გადაგვარება, არასწორი ინტერპრეტაცია, რომელშიც იგულისხმება არა ის საპროგრამო დებულებები, რომლებიც შეიცავენ სიმართლესა და სამართლიანობას, არამედ პოლიტიკური მორალი.

„ამგვარი შეუზღუდავი დემოკრატია წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის სულთან, მის ბუნებასთან. დემოკრატიის ფორმალიზებულ სულს, რომელიც ორიენტირებულია გარეგანზე, უნდა დაუპირისპირდეს ადამიანისა და კაცობრიობას შემოქმედი სული, პიროვნებისა და ერის სული, რომელიც არ მოდის წინააღმდეგობაში დემოკრატიული პროგრამების შინაარსთან, მაგრამ იმავდროულად მოითხოვს გონისა და ნებელობის აქტივობას, პიროვნების სულიერ გარდაქმნას“ (ბერდიაევი, 2009:9).მმართველობის უნარი გააჩნია მხოლოდ მას, ვინც განაგებს საკუთარ თავს. პიროვნული და ეროვნული თვითმმართველობის დაკარგვა არა თუ არ მოასწავებს დემოკრატიას, არამედ პირიქით- შეუძლებელს ხდის მას. დემოკრატიის საფუძველს ეროვნული ხასიათი წარმოადგენს, რომელიც პიროვნების ჩამოყალიბებიდან იწყება. დემოკრატია ვერ განხორციელდება, თუ ერს არ გააჩნია თვითმმართველობის შინაგანი უნარი, პიროვნული ხასიათი. ხელოვნურად გამოწვეული საზოგადოებრივი ვნებათაღელვა ვერ მოგვიტანს თვითმმართველობას. გახელებული ბრბო ვერ მართავს ვერც საკუთარ თავს და ვერც საზოგადოებრვ პროცესებს.

## 3. თავისუფლების გააზრება ძველ ქართულ ლიტერატურაში

ძველი ქართული ლიტერატურა ყველაზე დიდ პერიოდს მოიცავს - მეხუთე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. შესაბამისად, საინტერესო უნდა იყოს თავისუფლების კონცეპტის გააზრება საუკუნეების მიხედვით - როგორ იცვლებოდა ამ ცნებისადმი დამოკიდებულება და როგორ აისახა ეს ცვლილება ლიტერატურაში. ცნობილია, რომ ქართული მწერლობა ჰაგიოგრაფიით იწყება. ეს ის ჟანრია, რომელიც აღწერს წმინდანთა ცხოვრებას და „ღმერთშემოსილთა“ მარტვილობას. ამ პერიოდის ლიტერატურა ერთი უმთავრესი იდეალით ხასიათდება - მისაბაძია ის ადამიანი, რომელიც შეძლებს ამქვეყნიური ტანჯვა-წამების დათმენას და ამით სიკვდილზე ამაღლებას. ბუნებრივია, რომ ლიტერატურაშიც დომინირებდა ქრისტიანული მწერლობის ერთ- ერთი დარგი - ჰაგიოგრაფია. ეს დარგი წინა პლანზე პიროვნულ თავისუფლებას, პიროვნულ არჩევანს წამოსწევს, რომლისთვისაც პერსონაჟები მზად არიან, თავი გასწირონ. ისინი შინაგანად იმ გზას გადიან, რაც, ზოგადად, კაცობრიობამ და, კონკრეტულად, ქრისტემ გაიარა. სწორედ ძე კაცისას მიბაძვით ისინი ფიზიკურად მარცხდებიან, რათა სულიერ ძლევას მიაღწიონ.

ტექსტი, რომელიც იწყებს ქართულ მწერლობას, იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაა“. იგი მოგვითხრობს ვარდან მამიკონიანის ასულზე, რომელიც თავისი არჩევნის ერთგულია - არ ღალატობს ქრისტიანობას, სულიერად განმტკიცებული ითმენს გაუსაძლის ფიზიკურ ტანჯვას და ამბობს: „სისხლი ესე განმწმენდელ არს ცოდვათა ჩემთაი“ (ხუცესი,1999:18). შუშანიკის აღსასრული პიროვნული თავისუფლების გამოხატულებაა, მართალია, ვიწრო რელიგიურ ჭრილში, მაგრამ მას მაინც უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა ერისთვისაც და ბერისთვისაც.

პიროვნულ თავისუფლებაზე მოგვითხრობს იოანე საბანისძეც, როცა არაბი აბოს თავგადასავალს აღწერს. აბომ საკუთარი ნებით ირჩია, ქრისტიანობა მიეღო და თავის არჩევანს შეეწირა კიდეც, თუმცა ამ ტექსტში საინტერესოა თვითონ ავტორიც - სწორედ მისი მხატვრული და ემოციური ოსტატობის წყალობით ითვლება

ნაწარმოები პირველ ქართულ პატრიოტული სულისკვეთებით სავსე ტექსტად. ამიტომაც წერს გია მურღულია: „როდესაც ჩვენ „აბოს წამებას“ ვკითხულობთ, ხელით ვეხებით ეროვნული თვითშემეცნების მაჯისცემას, საკუთარი ერის ისტორიულ ბედ-იღბალზე, საკუთარ თავზე, წინაპრებზე და შთამომავლობაზე დაფიქრებული ქართველი კაცის გონებისა და სულის სინათლეს შევიგრძნობთ“ (მურღულია, 2007:67). „აბოს წამების“ პირველ თავში, როდესაც იოანე საბანისძე „მეშვიდე ჟამის“ ქართველობაზე წერს და იმ ფიზიკურ თუ სულიერ საფრთხეებზე საუბრობს, რაც იმ დროს დაღუპვით ემუქრებოდა ქვეყანას, ამბობს, რომ ერთადერთი, რაც იმ პერიოდის ქართულ ორგანიზმს მეტნაკლებად ამთლიანებდა, იყო ერთგულება „ჩვეულებისაებრ მამულისა სვლისა“, რაც თავისუფლების წყურვილით იყო უპირველესად განპირობებული.

ჰაგიოგრაფიული ტექსტებიდან თავისუფლების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით გამორჩეულია გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელიც მოგვითხრობს უმაღლესი საერო და სასულიერო პირების დაუღლელ ბრძოლაზე ქვეყნის გასათავისუფლებლად, ერთი ხმლით იბრძოდა, მეორე - ჯვრით. ქართლიდან არაბებისგან დევნილი აშოტ კურაპალატი კლარჯეთში გადავიდა და იქიდან იბრძოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის, აქედან იწყება გრიგოლ ხანძთელის სულიერი ღვაწლიც. ფაქტობრივად, ამ ორი ადამიანის მისიას წარმოადგენდა ერის ხორციელი და სულიერი წინამძღოლობა და ისინი წლების განმავლობაში იბრძოდნენ საერთო მიზნის მისაღწევად. აქვე უნდა ითქვას, რომ გიორგი მერჩულისთვის ნათელია თავისუფლების მოპოვების გზა - შეუძლებელია ქვეყნის ხსნა შეძლონ დამონებულმა ადამიანებმა, თავისუფლება ბრძოლით და რაციონალური პოლიტიკით მიიღწევა. ამასთანავე, ორივე ლიდერმა გააცნობიერა უმთავრესი, რომ აუცილებელი იყო, სამშობლოს ცნებას ქართველის გონებაში ერთიანი საქართველო მოეცვა, ასეთ ვითარებაში შეიქმნა ფორმულა: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის

და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კირიელეისონი ბერძნულად ითქუმის“ (მერჩულე, 1999:144).

ტექსტის მიხედვით, ნათელია, რომ საქართველოა ის მიწა, სადაც აღიარებენ ბიზანტიურ მართლმადიდებლობას და ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობს. ქართული წირვა-ლოცვის ენად გამოცხადდა, რაც ნიშნავდა, რომ ქრისტიანობის განმტკიცება და ქვეყნის ძლიერება, ფაქტობრივად, ერთმანეთის განმაპირობებელ ცნებებად იქცა.“

თავისუფლების გამორჩეულ ინტერპრეტაციას იძლევა რუსთაველიც. მისი პოემის პერსონაჟები თავისუფლებისკენ ისწრაფვიან, თავისუფლება მათთვის ის უმაღლესი იდეალია, რომელიც ღმერთთან- სიყვარულთან აახლოებს. მათი თავისუფლება განგების - ღვთაებრივი ნების, ბედისწერის აღიარებითაა განპირობებული, რაც ფატალიზმს კი არ გულისხმობს, არამედ არჩევნის გონივრულობას. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს სჯერათ, რომ „ბედი ცდაა, გამარჯვება ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“(რუსთაველი, 1990:160). ეს რწმენა არ აძლევს მათ მოდუნებისა და გულხელდაკრეფის საშუალებას, პირიქით, ისინი სწორედ პიროვნულ თავისუფლებაში ხედავენ ცხოვრების საზრისს: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს“(იქვე,157), ამავდროულად, მათთვის თავის ფლობაა, თავის განკარგვაა თავისუფლება, საკუთარი ემოციების დროული ალაგმვა და ამიტომაც დარწმუნებულები არიან, რომ მიზნის მისაღწევად აქსიომაა: „რაცა არ გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“(იქვე, 156). ასეთი პერსონაჟები თავისუფლებისკენ სხვების სწრაფვასაც აფასებენ, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ტარიელი რამაზ მეფეს სასიკვდილოდ არ გაიმეტებს, რადგან მისი დაუმორჩილებლობაც თავისებური გამოხატულებაა თავისუფლებისა.

თავისუფლებაზე მსჯელობა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაშიცაა“. მართალია, მწერალი პირდაპირ არ საუბრობს თავისუფლების არსზე, მაგრამ მთავარი სიუჟეტური ხაზი - უფლისწულ ჯუმბერის აღზრდა

ალეგორიულად იმასაც გულისხმობს, რომ ქვეყანას, მწერლის აზრით, თავისუფალი აზროვნების ხელმწიფე ესაჭიროება, როგორიც ლეონმა აღზარდა და სწორედ ასეთი მეფე შეძლებდა ქვეყნის ღირსეულ მართვას: მას ეცოდინებოდა ხალხის გასაჭირი და, შესაბამისად, თავისუფლების არსიც და ფასიც - აუცილებელია იგემო მონობის ტანჯვა, რომ მუდმივად ისწრაფვოდე თავისუფლებისაკენ.

საკუთარი და ქვეყნის თავისუფლების დაკარგვის გამოტირებაა დავით გურამიშვილის „დავითიანი“. პოეტის პიროვნული არჩევნის - სიმართლის ერთგულებისა და მისი მსახურების მაგალითია პოემის ის თავი, რომელშიც პოეტი სიმართლისა და სამართლიანობის უპირატესობაზე საუბრობს. იგი ძლევს ადამიანურ შიშს და ამხელს ყველას, ვინც სამართლიანობის გზიდან გადაუხვევს. ეს პოეტის პიროვნული თავისუფლების ხაზგასმაა. განსაკუთრებით ემოციურია პოეტი მაშინ, როცა ქართლის ჭირზე საუბრობს, მისთვის ყველაზე მტკივნეული დამონებული სამშობლოს ხილვაა, წუხს, რომ ქართველებმა დაკარგეს ყველაზე დიდი მადლი - თავისუფლება და, შესაბამისად, ასცდნენ ჭეშმარიტებისკენ მიმავალ გზას. ნათელია, რომ გურამიშვილისთვის ჭეშმარიტება და თავისუფლება სინონიმური ცნებებია. ის გამოკვეთს მთავარ ასპექტს - თავისუფლებადაკარგული საქართველო გათიშულია არა მხოლოდ ტერიტორიულად, არამედ - სულიერადაც. გათითოკაცებული ერი ვერ ახერხებს გაერთიანებას და ერთიანი იდეალის გარეშე კი თავისუფლება მიუღწეველ მიზნად რჩება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ძველ ქართულ მწერლობაში თავისუფლების არსი და პრობლემურობა უცხო არ ყოფილა, პირიქით, ამ ცნების ერთგვარ ევოლუციასაც შეიძლება მივადევნოთ თვალი. საწყის ეტაპზე მწერლობას ძირითადად პიროვნული თავისუფლების ასახვის ფუნქცია ჰქონდა, ხოლო ბოლო პერიოდში წინა პლანზე ქვეყნისა და ერის თავისუფლების ხაზგასმაც გახდა აუცილებელი.

## 4.თავისუფლება და ახალი ქართული მწერლობა

თავისუფლების კონცეპტის გააზრების თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა. 1795 წელს კრწანისის ბრძოლაში ქართველების დამარცხებას ლოგიკურად მოჰყვა1801 წლის მანიფესტი, რომლის თანახმადაც ჩვენი ქვეყანა რუსეთის შემადგენობაში შევიდა,რისშედეგადაცსაქართველოში საყოველთაო პესიმიზმმა დაისადგურა. კი მოახერხეს ქართველებმა რამდენჯერმე დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ რუსეთის იმპერიისადმი, რამდენჯერმე აუჯანყდნენ დამპყრობელ „მფარველს", მაგრამ 1832 წლის შეთქმულების გაცემითა და დამარცხებით ამ მცდელობების უშედეგობას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი და ერი ლამის საყოველთაო აპათიამდე მივიდა. ეს განწყობა შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ მწერლობას, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ სწორედ ამ დროს დამკვიდრდა ქართულ კაზმულსიტყვაობაში ლიტერატურული მიმდინარეობა რომანტიზმი, რომელიც თავისი მახასიათებელი შტრიხებით ზუსტად მოერგო არისტოკრატიული ფენის იმდროინდელ განწყობას და დომინანტად იქცა. ცნობილია, რომ რომანტიკოსებისთვის დამახასიათებელია წარსულის გაიდეალება აწმყოსა და მომავლისადმი პესიმისტური დამოკიდებულების ფონზე, ქართველმა რომანტიკოსებმაც ხელი ჩაიქნიეს ქვეყნის მომავალზე და წარსულს შეაფარეს თავი, წარსულში შეიხიზნენ, რათა როგორმე გაქცეოდნენ თავიანთ რეალობას და პასუხისმგებლობას - გადაერჩინათ და ეხსნათ ქვეყანა ჩრდილოელი მეზობლის ანექსიისაგან.

თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ევროპულისგან განსხვავებით, ქართულმა რომანტიზმმა მკაფიოდ გამოხატული ეროვნული მოტივიც მოირგო და მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობაც ეროვნული სატკივრის ხაზგასმით დაიწყო. ღრმა ფილოსოფიური პრობლემატიკის გვერდით გაჩნდა თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული სევდაც. „მას ვსჭვრეტ პატიმრად, ვის ჰმონებს გული, მისთვის, გლახ, განწირული, მაქვს მწუხარება ზედაზედ რთული,

მარად მეახლვის წყლული“ (ჭავჭავაძე, 1978:51)- წერდა ალექსანდრე ჭავჭავაძე და პატიმარი სატრფოს მეტაფორით თავისუფლებადაკარგულ ქვეყანას გლოვობდა.

იმავე მეტაფორას მიმართავს გრიგოლ ორბელიანიც თავის ლექსში და აღწერს სატრფოსთან - თავისუფალ სამშობლოსთან სამუდამო გამოთხოვებას(„საღამო გამოსალმებისა“). თუმცა იავარქმნილი სამშობლოს სიმბოლოდ გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში მაინც ბეთანიის ტაძარი იქცა - დიდებული წარსულის უტყუარი მემატიანე და დარღვეული ქართველობის სევდიანი ალეგორია.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რომანტიზმის ადგილს რეალიზმი იკავებს და ქართველი მწერლებიც ახალი სათქმელის თქმას ახალი მეთოდებით ცდილობენ, ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში წინა პლანზე გამოდის „მართლის თქმის პრინციპი“. „თერგდალეულები“ თავიანთი შემოქმედებით დაუპირისპირდნენ იმდროინდელ უძრაობას და თავიანთი პროტესტი მწერლობასა და პუბლიცისტიკაში ასახეს. ილიას და აკაკის, ზოგადად, მათი თაობის შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული დარდი და წუხილი, თუმცა ეს არ გულისხმობს უმოქმედობას, პირიქით, ისინი ცდილობენ, რომ ერი გამოაფხიზლონ და დაარწმუნონ, რომ თავისუფლება ყველაზე დიდი მადლია და მისთვის ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. სწორედ ამ მიზნით ილია ქმნის თერგის სახეს, რომელიც გამოხატავს მოძრაობის, მოქმედების, სიფხიზლის, პროტესტის სიმბოლოს, რომლითაც მკითხველს შეულამაზებლად ეუბნება, რომ მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის სიცოცხლის ძალისა და ღონის მიმცემი. იგი ცდილობს ქართველი კაცის ღრმა ძილისგან - უძრაობისგან, უმოქმედობისგან გამოღვიძებას და ამბობს: „ოჰ, ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი! როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“(ჭავჭავაძე, 2007:78).

აკაკი წერეთლის პოეზიაშიც ბევრი სახე-სიმბოლოა, რომლებიც გამოხატავენ პოეტის პოზიციას - ქვეყანა გადაგვარების საფრთხის წინაშეა და მას ხსნა სჭირდება. ამის დასტურად მისი მაჯამური ლექსი „აღმართ-აღმართ“ კმარა, რომელშიც

სატრფოსთან განშორება სიმბოლურად სამშობლოს მომავლის დაკარგვას გულისხმობს, დამონებულ ქვეყანაში კი ადამიანი თავისუფალი ვერასდროს იქნება. დამორჩილებული, ანექსირებული ქვეყნის სიმბოლოა ამირანიც. „თორნიკე ერისთავში" ვხვდებით ამ მითიურ ალეგორიულ პერსონაჟს, რომელიც კავკასიის ქედზეა მიჯაჭვული, მაგრამ მისი ხსნის იმედი ჯერ კიდევ არსებობს და, შესაბამისად, ისევ ცოცხლობსრწმენა, რომ ქვეყანა ოდესღაც ფეხზე დადგება და თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის მსოფლიო ასპარეზზე.

სამშობლოს დაკარგული ხვედრის ძიებაა შეფარვით გამოხატული აკაკი წერეთლის ცნობილ ლექსში „სულიკო". კრიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ ლექსი არა საყვარელი ქალის საფლავის, არა - ღმერთის, არამედ სწორედ დაკარგული თავისუფლების ძიებაა, რომლის კვალიც აღარსად ჩანს(წერეთელი, 2007:35).

სამშობლოსა და თავისუფლების, ერთიანობისა და გამარჯვების თემატიკა არც ვაჟა-ფშაველას შემოქმედებისთვისაა უცხო. საქართველოს ისტორიაში ერთ - ერთ გამორჩეულად საამაყო თარიღს - 1659 წლის ბახტრიონის აჯანყებას ორი დიდი ავტორი შეეხო, აკაკი წერეთელმა ამ თარიღს პროზაული ტექსტი „ბაში-აჩუკი" მიუძღვნა, ხოლო ვაჟამ - პოემა „ბახტრიონი". ნათელია, რომ ეს გმირული ეპოპეა ორივე შემოქმედისთვის მნიშვნელოვანი სათქმელის შემცველია - იმისათვის, რომ ქვეყანა გადარჩეს, იმისთვის, რომ ქვეყანამ თავისუფლება მოიპოვოს, მხოლოდ გონიერი წინამძღოლი არ კმარა, თუ თვითონ ხალხმა ხსნა არ მოინდომა, თუ ერი არ გაერთიანდა საერთო იდეით საერთო მტრის წინააღმდეგ და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე არ იბრძოლა, დამარცხება და მონობა გარდაუვალია. ამ იდეითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ ვაჟას „ბახტრიონს" მთავარი პერსონაჟი ან პერსონაჟები არ ჰყავს, პოემაში მთავარი მაინც ხალხია, მისი ნება და სურვილი, რომ გადარჩეს და ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს მტერსდა ხალხის რწმენა, რომ ეამება უფალს მათი ერთსულოვნება და ხატსაც „უყვარან ფშაველ-ხევსურნი, დამდგარნი ერთსა პირზედა"(ვაჟა-ფშაველა, 1970:55).

როგორც ვხედავთ, თავისუფლების გამოტირება და იძულებით მონობაში ყოფნის თემა მეცხრამეტე საუკუნის ქართულილიტერატურისთვისუცხო არ იყო. მიუხედავად ანექსიისა, ქართველი კაცი არ ეგუებოდა თავისზე გაცილებით ძლიერი მტრის შემოტევებს და მაინც დაკარგულ თავისუფლებას მისტიროდა. ეს გლოვა კი ყველაზე უკეთ სწორედ სიტყვაკაზმულმა მწერლობამ დაიტია და გამოხატა.

## 5.თავისუფლება და მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა ალბათ ყველაზე საინტერესოა თავისუფლების კონცეპტის გააზრების თვალსაზრისით. საინტერესო სწორედ იმ სირთულეების ფონზე, რომელთა წინაშე იდგნენ მწერლები ტირანულ სახელმწიფოში. მთელი ეს პროცესი შეულამაზებლად აღწერა აკაკი ბაქრაძემ თავის წიგნში „მწერლობის მოთვინიერება“, რომელშიც დეტალურადაა მოთხრობილი, რისი გაძლება და გადატანა უხდებოდათ ქართველ მწერლებსა და პოეტებს, რომ თავიანთი ნათქვამიც გადმოეცათ და თან ისე შეეფუთათ, ცერბერივით მოდარაჯებული ცენზურისთვის თვალი რომ აეხვიათ და ქართველის დაჩაგრულ გულსაც რომ მოხვედროდა, მისთვის ბრძოლის სურვილი რომ გაეღვივებინათ(ბაქრაძე, 2005:67).

ძნელია მეოცე საუკუნის ყველა გამორჩეულ ავტორს შევეხოთ და მათი ყველა ის ნაწარმოები განვიხილოთ, რომლებშიც ქვეყნისა და პიროვნული თავისუფლების გამოტირებაა, ამიტომ შევეცდებით მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილოთ ყურადღება, რათა მეტნაკლები წარმოდგენა შეგვექმნას იმ ლიტერატურულ ტრადიციაზე, ჯემალ ქარჩხაძეს რომ ერგო მემკვიდრეობად.

მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში ორი დიდი პროზაიკოსის სახელი დომინირებს - კონსტანტინე გამსახურდიასი და მიხეილ ჯავახიშვილისა, თუმცა, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ეს ორი მწერალი ქმნიდა იმ

დროს ლიტერატურას. გამსახურდიას შემოქმედებიდან მხოლოდ რომანების - „მთვარის მოტაცებისა“ და „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენის“ დასახელებაც კმარა, რომ ნათელი გახდეს, როგორ განიცდიდა და როგორ გლოვობდა ავტორი თავისუფლების დაკარგვას. ტირანულ სახელმწიფოში თავისუფალი ადამიანის ტრაგიკული ხვედრი საოცარი სიმძაფრით აღწერა მწერალმა და ცალსახად მიგვანიშნა: ყველა ნამდვილი ხელოვანი დასაღუპავადაა განწირული, როცა ქვეყანას მართავს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც მხოლოდ პირადი სიმპათიებით იწყალებს ხელოვანს, შესაბამისად, კრიტიკოსები მართებულად აღნიშნავენ, რომ კონსტანტინე არსაკიძის პროტოტიპი თავად ავტორია, ამაზე შეიძლება მათი სეხნიობაც მიგვანიშნებდეს, ხოლო გიორგი პირველი სხვა არავინაა, თუ არა სტალინი - ტირანი, რომელიც ყველა განსხვავებულ აზრს ახშობდა და ყველა განსხვავებულად მოაზროვნეს თავიდან იშორებდა.

„მთვარისმოტაცებაც“ საქართველოსდიდებულიწარსულისგამოგლოვებაა, თარაშემხვარისზევრიმონოლოგისწორედკონსტანტინეგამსახურდიასმწერლურიდამოქალაქეობრივიპოზიციისგამოხატულებაა - მწერალიწუხს, რომმისიქვეყნისდიდებულებალეგენდადიქცადაუცხოძალათავსმოხვეულიიდეოლოგიითცდილობსმისმიმსგავსებასდამისგანადგურებას. ამიტომათქმევინებსთარაშემხვარს: „კეთილოფრაუ, თქვენევროპელებიეგოისტებიხართ, ჩვენგანმოითხოვთგარდავიქმნათ, ე.ი. ჩვენარვიქნეთისეთი, როგორიცვყოფილვართ, ანვართ. ე.ი. თქვენდაგემსგავსოთ. დაესთქვენმოგდით, კეთილოფრაუ, არაჩვენისსიყვარულით, არამედიმისთვის, რომთქვენთვისუფროხელმარჯვეიქნება, რომყველანითქვენაგგავდეთ. თქვენზევრიხართ, ჩვენცოტა, თქვენგინდათიგივეუფლებითჩაგვყლაპოთ, როგორითაცცვარსყლაპავსზღვადალიფსიტასვეშაპი. მაშინთქვენაღარდაგჭირდებათჩვენიენებისშესწავლა, ჩვენიქვეყნისგეოგრაფიულისახელებისდამახსოვრება, ჩვენითავისებურისახელისადაგვარისგამოთქმა, თქვენისგირჩევნიათ, ჩვენყველასარზაყანის, კეგვას, თარაშისნაცვლადჯონი, ჟანიდაჰანსგვერქვას.“ (გამსახურდია 1990:293)

იმავე პრობლემას განიხილავს გრიგოლ რობაქიძე თავის რომანებში „ჩაკლული სული“ და „გველის პერანგი“, ამ რომანების მთავარი პერსონაჟები თავდაუზოგავად იბრძვიან იმ სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც თავისუფლების ყველანაირ გამოვლინებას ებრძოდა და ახშობდა, რისი დასტურიცაა 1937 წლის რეპრესიები, ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ ამ დიდი იდეოლოგიური „წმენდების“ დროს იგზავნებოდა დეპეშები, რომლებშიც მოცემული იყო ალალბედზე შერჩეული დასახოცი მსხვერპლის ოდენობა, ამის შედეგი იყო დაახლოებით ოც მილიონამდე ადამიანის სიკვდილი (კაკაბაძე, 2009:170). ბუნებრივია, ამგვარ უსამართლობას მწერლები ვერ შეეგუებოდნენ და დაუსრულებლად გამოხატავდნენ თავიანთ პროტესტს, როგორც შეეძლოთ და სადაც შეეძლოთ.

ხელოვანი ადამიანის პროტესტი და ერისთვის სახეში სილის გალაწუნების მცდელობაა მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ – „სულის გმინვა“, როგორც მას მწერალი მოიხსენიებდა. თეიმურაზ ხევისთავი სიმბოლურად სწორედ სამშობლოწართმეულ ქართველ კაცს განასახიერებს, რომელიც მკითხველის ყველაზე დიდ სიბრალულსა და ისეთივე ზიზღს თავისი „ნაკაცრობით“ იმსახურებს. ნაკაცრობა სწორედ ღვთაებრივის დაკარგვას, თავისუფლებასთან გამოთხოვებასაც გულისხმობს, მწერალი შეულამაზებლად აღწერს ქართველი კაცის დაცემას, მის მორალურ დეგრადაციას, სასოწარკვეთას, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ტექსტი მთავრდება შეფარული იმედით: „ისევ ელის ნაქმრევი ნაცოლარს. ისევ დაყუდებულ შიო მღვიმელივით იცდის თეიმურაზ ხევისთავი“ (ჯავახიშვილი, 2000:161). სწორედ ეს მოლოდინი იძლევა იმის განცდას, რომ ოდესღაც ქვეყანა (თეიმურაზი) შეძლებს საწადელის მიღწევას და ქვეყანას (მარგოს) იხსნის ჯაყოს (გადამთიელის) მონობისაგან.

თავისუფლების გააზრების თვალსაზრისით საინტერესოა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობაც, ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა კავშირის მარწუხები შედარებით დაბლაგვდა და ქართველი მწერლებიც უფრო თამამად

ცდილობდნენ ემხილებინათ ყველა, ვინც მოახერხა და მათი გასაოცარი კულტურა ლამის გაქრობამდე მიიყვანა, სხვა ერის შედარებით ახალშობილი კულტურის ჩრდილქვეშ დააყენა. ამ პერიოდში მოღვაწე ქართველი მწერლები შედარებით დაუფარავად ცდილობდნენ გადმოეცათ ის შემზარავი რეალობა, ადამიანების დამონებასა და დაბეჩავებას, მათ გონებრივ და ზნეობრივ დეგრადირებას რომ ისახავდა მიზნად, რადგან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამგვარი საზოგადოების მართვა ყველაზე ადვილი რამაა. ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაში" არქიფო სეთური ტიპური სახეა ყველა ტირანისა, რომელიც ახერხებს ხალხის ტვინის გამორეცხვას ახალი უსაფუძვლო იდეოლოგიით და მათ მარიონეტებად გადაქცევას: „ჭაბუა ამირეჯიბი საირმის ეპიზოდით ხატავს დიდებულ პაროდიას ტირანულ სახელმწიფოზე, გვაცნობს დიქტატორის, „მამა-მარჩენალი" სეთურის „ფილოსოფიას" ხალხის „გაბედნიერების" მეთოდებისა და ხერხების შესახებ, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოში მცხოვრებთათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო. ვნახოთ, რას აკეთებს სეთური. ხალხს უნერგავს „შიშსა და მოკრძალებას", არც მთლად აძღებს, არც მთლად აშიმშილებს, რადგან იცის, „თხა თუ გაძღა, მგელზე ნადირობას მოინდომებს". „ძირშივე ქოლავს და აქვავებს" პროტესტის უმცირეს გამოვლინებასაც, რომ სხვასაც არ „წაუჯიკონ და უბიძგონ გაუბედურებისაკენ" (მახაჭაძე,2004:155). ნათელია, რომ სეთურის საზოგადოება საბჭოთა საზოგადოების მიკრომოდელია, რომელიც სწორედ ამგვარ მონობას, დამცირებასა და უგუნურებას ემყარებოდა.

დაკარგული თავისუფლების ძიება და ზოგადად, ძირმომპალი იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული ქვეყნისა და საზოგადოების ყოფა აღწერა იმავე პერიოდში ო. ჭილაძემაც. მისი „რკინის თეატრი" და „გოდორი" საკულტო ხასიათის რომანებია, რომლებიც საოცარი სიმძაფრით მოგვითხრობენ იმ რკინის მარწუხების შესახებ, რომელთა ძალას თითქმის საუკუნის განმავლობაში გრძნობდა ქართველი კაცი, რომელიც სულს უხუთავდა და მოსვენებას უკარგავდა მას, თუმცა მისგან თავდახსნის შემდეგაც არ უგრძვნია ერს თავისუფლება. აღმოჩნდა, რომ თავისუფლებასაც შეგუება უნდა, მოპოვება სჭირდება, თავსმოხვეული

თავისუფლება ისევ მონობის ტოლფასია და ასეთ გარემოში - სწორედ „გოდორში“ - ჭუჭყიან ჩარჩოებში მოქცეული ადამიანი მძლავრობს და ბატონობს ისევ, რაც არანაკლებ მტკივნეული პროცესია, ვიდრე რომელიმე სისხლით შეკოწიწებული იმპერიის მონობა, გაირკვა, რომ მენტალური მონობა ისეთივე დრამატულია, როგორიც ფიზიკური მორჩილება.

## თავი მე-2. ეროვნული ხასიათიქართულ მწერლობაში

### 1. ეროვნული ხასიათის ასახვა ქართულ ფოლკლორში - ამირანიდა ნაცარქექია

ეროვნული ხასიათი კარგად ჩანს ქართულ ფოლკლორში. ყველამ იცის ზღაპარი ნაცარქექიაზე. ესაა ამბავი ერთ ზარმაც კაცზე, რომლის უქნარობა მობეზრდა რძალს და სახლიდან გააგდო. მშიშარა, მაგრამ მოხერხებული ნაცარქექია ამარცხებს დევებს, მათ სახლს ეპატრონება, მიჰყავს იქ თავისი რძალი და მერე ჩვეულ საქმიანობას, ნაცრის ქექვას აგრძელებს. ერთი შეხედვით, უწყინარი პერსონაჟია ნაცარქექია, რომელიც თითქოს უნებურად აღწევს წარმატებას ტყუილებითა და ბაქიაობით. ზვიად გამსახურდია წერდა: „(ნაცარქექია) სიზარმაცისადაბაქიაობისგანსახიერებაკიარარის,როგორცზოგიერთკალმოსანსჰგონია, არამედჭკუისადამოხერხებისა… ნაცარქექიაქართველიოდისევსია,იგიახერხებსციკლოპისმოტყუებასდადამარცხებას. ოღონდკარგიიქნებოდა,თუმისშესახებმსჯელობასგანვავითარებთდამასშიმხოლოდპ ოლიტიკურმებრძოლსდადიპლომატსკიარდავინახავთ,არამედსულიერპლანშიმებრძ

ოლსუნივერსალურბოროტებასთან. იგიმედიტატორიადამოაზროვნე, იგიჭვრეტითინატურაა (ნაცარიაზრისსიმბოლოდიშიფრებაყველაზღაპარში). აქედანაამისიგარეგანიპასიურობა.ამთვალსაზრისითიგიზეეროვნულისახეა, ზოგადსაკაცობრიოსახე… ალბათ, ამიტომაცდაუკავშირამღვდელმაგრიგოლფერაძემნაცარქექიაწმინდაგიორგისსახეს”(გ ამსახურდია, 1991:77).

ნაცარქექიას პერსონაჟის არატრადიციული გააზრება აქვს გრიგოლ კიკნაძესაც, ის მიიჩნევს, რომ ზღაპარში უხილავი ძალები- განგებისა თუ ბედისწერისა, მხოლოდ ისეთ პერსონაჟებს ეხმარებიან, რომლებიც ყველაზე გაუვალ და გაუთელელ გზას დაადგებიან. ასეთი პერსონაჟია ნაცარქექიაც, ამიტომ მისი გამარჯვება თითქოს უზენაესის ნებაა, გარდაუვალია (კიკნაძე, 1992:98).

ისაერთიანებსთავისთავშიორიტიპისადამიანს, რომელთაგანერთიჭვრეტს - მჭვრეტელია, მეორემოქმედებს - მოქმედია... ერთიშინარის, მეორე - გარეთ. სოფელიმათგარეშეწარმოუდგენელია, ისინიერთმანეთსავსებენ. ერთიცაუცილებელიადამეორეც,მაგრამუნდავიცოდეთ, რომერთისწილი - მჭვრეტელისა, რომელიცზის, გამორჩეულია.

როცა ჯემალ ქარჩხაძე თავის „განზომილებაში“ ქართველთა ბუნებას განიხილავს, წერს: ,,ჩვენიმითოლოგიურიწინაპარი,-გაიფიქრაერთხელპრ. დიდებულიძემ,- რომელშიცერისსახედამისიააგაცხადებული, არისარამეამბოხეამირანი - ქურუხიდაუხედნელი,არამედზღაპართმოქმედინაცარქექია - მკვეხარა,ფანტაზიორი,ცრუპენტელა"(ქარჩხაძე, 2001:221)*[შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს]*. ნათელია, რომ მწერალი ქართული ხალხური ზღაპრის ამ პერსონაჟს ტრადიციული ინტერპრეტაციით განიხილავს - ნაცარქექია მეჭორეა, უქნარა, არაფრისმქონე და არაფრისმცოდნე, მაგრამ იღბლიანი და „შემთხვევითობით“ დევის-ბოროტის

დამმარცხებელი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეს პერსონაჟი მიიჩნევა ქართველი კაცის ერთ-ერთ სულიერ „წინაპრად“ და, შესაბამისად, ყველა იმ თვისების განმსაზღვრელად, რაც ქართველს ახასიათებს.

საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა ფოლკლორული გმირის იდეალი. ცნობილია, რომ ყველა ეპოქა თავის „საკუთარ“ გმირს წარმოშობს, თუმცა მათი დღეგრძელობა მხოლოდ იმ ეპოქის ხანგრძლივობაზე არაა დამოკიდებული და არც მისით განისაზღვრება. ლიტერატურულისგან განსხვავებით, ფოლკლორული გმირი აუცილებლად განიცდის სახეცვლილებას და ამიტომ ხშირად შეუძლებელიც ხდება მისი თავდაპირველი სახის აღდგენა თუ წარმოდგენა.

საუკუნეების განმავლობაში ადამიანი ნაცარში ინახავდა ცეცხლს- ყველაზე იდუმალს, სასიცოცხლოდ აუცილებელსა და ყველაზე ლამაზს. ყველაზე საჭიროსა და მნიშვნელოვანს. თავისი არსებობის ადრეულ პერიოდში ნაცარქექია მოჩვენებითი უქნარა, მაგრამ ჭეშმარიტი გმირი უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეს უკვე ზუსტად არ ვიცით მისი იმდროინდელი ისტორია. ზეპირსიტყვიერების ზოგიერთ ძეგლში აშკარად მოჩანს სხვადასხვა ეპოქის დანაშრევები, რაც ზუსტად მიგვანიშნებს ნაწარმოების შექმნის საკმაოდ ხანგრძლივ ისტორიაზე. ფოლკლორულისგან განსხვავებით, ლიტერატურული გმირი სამუდამოდ ჩამოყალიბებული მხატვრული ფენომენია. დროთა განმავლობაში, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისდამი მკითხველის, საზოგადოების დამოკიდებულება, ზეპირსიტყვიერებაში კი იცვლება პერსონაჟის მხატვრული პორტრეტიც, თუმცა, ამ ცვლილებებთან ერთად ადვილი შესამჩნევია ხოლმე საწყისი სახე-ხასიათიც, რაც ხანდახან ერთგვარი შეუსაბამობის განცდასაც იწვევს.

რაკი ნაცარქექია მოიაზრება ქართველი კაცის ხასიათად, ამიტომ ცოტა უფრო ვრცლად გამოსაკვლევია ეს პერსონაჟი.

მიიჩნევენ, რომ ნაცარქექია თავისი ბუნებით არ არის ჩვეულებრივი მატყუარა და მოხერხებული გმირი, ასეთები მრავლად არიან ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ

სიმპათიური გმირების კატეგორიას მაინც არ განეკუთვნებიან. ცხადია, ნაცარქექიას გაცილებით სახელოვანი წინაპარი უნდა ჰყოლოდა.

არცისუნდაიყოსუმნიშვნელოდეტალი, რომნაცარქექია „უსისხლო“ გმირია. მასარათუადამიანის, არამედთვითუწმინდურიდევისსისხლიცარდაუღვრია. თუმცამათიდახოცვაადვილადშეეძლო- ზღაპარშიყველაფერიხდება. ნაცარქექიასსახელთანყველაზემნიშვნელოვანი- იუმორიცაადაკავშირებული. მართალია, არაჩვეულებრივიწარმოშობა, არაჩვეულებრივიშესახედაობა, არაჩვეულებრივიფიზიკურიძალაუკვეაღარიყოსაჭიროჩვეულებრივიგმირისათვის, მაგრამ, სამაგიეროდ, ინტელექტიმისიარსებობისაუცილებელ პირობადიქცა. თანდათანაშკარაგახდაისიც, რომმოხერხებაარათუღონისტოლფასია, არამედხშირადაღემატებაკიდეცმას. მაგრამ ამავე სიმეტრიის თუ ჰარმონიის თანდაყოლილმა ალღომ ხალხს ისიც უკარნახა, რომ ცხოვრების გაიოლებისადმი მისწრაფებამ შეიძლება ადამიანი გადააგვაროს ფიზიკურად და გაჩნდეს იმის საშიშროებაც, რომ ადამიანში ფიზიკური ძალა და ინტელექტი უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდებიან. მიუხედავად ნაცარქექიას ჭკუისა და მოხერხებისა, ის თვითონ ტყუვდება. ის შეძლებს დევების გაცურებას, მაგრამ მას ადამიანების მოტყუება არც უცდია, არც უფიქრია. რძალმა მოტყუებით გამოუკეტა სახლის კარი, ალბათ იმიტომ მოტყუვდა ასე ნაცარქექია, რომ ის ადამიანებისაგან ასეთ ვერაგობას არ ელოდა. ის ქოსატყუილა არაა, უფრო ფანტაზიორია, კეთილი მეოცნებეა, კეთილი მეზღაპრეა.

გურამ ასათიანი როცა ქართული ხასიათის სათავეებს იკვლევს, ყურადღებას ამახვილებს ნაცარქექიაზეც, მისი სიზარმაცე და ბაქიაობა ყველაზე საინტერესო შტრიხად მიაჩნია და წერს, რომ სიზარმაცე და უქნარობა ამ ქართულ ზღაპარში სიცილის მთავარი გამომწვევია, მაგრამ საკმარისია, ამ პერსონაჟის გამოსწორებაზე ვიფიქროთ, რომ მისი სახასიათო ტიპიდან არავინ დაგვრჩება. მკვლევარი მიიცნევს, რომ სიზარმაცე ამ გმირის მთავარი ხიბლია, „ვინაიდან ეს უბრალო მცონარობა კი არ

არის, ეს „ფილოსოფიური“ სიზარმაცეა-შეუძლებელზე მუდმივი ოცნებით შემუშავებული, გამოუსწორებელი პროჟექტიორისა და რომანტიკოსის ხვედრი.

ვინ იცის, მერამდენე საუკუნეა, რაც ქართველი კაცი გულიანად დასცინის თავის თავს, სიცილით კვდება, მწარედაც ქირქილებს, როცა თანამემამულეს ასეთ რამეებზე წაასწრებს და მაინც რაღაც გულს უჩუყებს, რაღაც არ ეთმობა ამ თავის სამარცხვინო სისუსტეებში. ეს „რაღაც“ გულის გულია მათი.“ (ასათიანი. 1982:306)

ქართველი მეზღაპრე სახლიდან გაგდებულ ნაცარქექიას დევებს ამარცხებინებს. ამით, ზოგადად, ადამიანს, ერთადერთ ინტელექტუალურ არსებას დედამიწის ზურგზე, ამარჯვებინებს ყველა დანარჩენ სულდგმულზე. ნაცარქექია მხოლოდ გონებისა და მოხერხებულობის წყალობით მოახერხებს დევების დამორჩილებას, სულიერთაგან ყველაზე ძლიერი არსებების დამარცხებასა და მათზე გაბატონებას, ფაქტობრივად, ესაა ადამიანური აზრის ზეიმი.

თუ ნაცარქექიასნაირი „გმირი“ სიცრუითა და ეშმაკობით თავის თანამოძმეებს გააბრიყვებს და მათზე გაბატონებას მოახერხებს, ის უკვე საშიშ მოვლენად და ბოლომდე უარყოფით გმირად იქცევა, როგორც ეს ყვარყვარე თუთაბერს დაემართა. იქნებ სწორედ ამიტომ ვერ გაიმეტა ხალხმა ვერც საკუთარი თავი და ვერც ჭეშმარიტი გმირის, ნაცარქექიას, საუკუნეებში გამოტარებული კეთილი სახელი და იგი მხოლოდ დევებს შეარკინა. ნაცარქექიამ თუ შეგაშინა, განწირული ხარ. სერიოზულად მისი მიღება დაღუპვას ნიშნავს. არარაობასთან ბრძოლაში ადამიანს გაბრაზება და გაღიზიანება კი არ გამოადგება მოკავშირედ, არამედ მხილება და სიცილი. სიცილის გარეშე ნაცარქექიას დამარცხება შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა ნაცარქექიას, ერთ-ერთ დევს რომ შემთხვევით გასცინებოდა, ანუ სიმართლეს მიმხვდარიყო. მაგრამ დევებმა იგი „სერიოზულად“ მიიღეს და რაკი „შიშს დიდი თვალები აქვს“, იმიტომაც ჩაცვივდნენ ასეთ ყოფაში.

პარადოქსულად ჟღერს, მაგრამ ნაცარქექიას ფრთების გასაშლელად, მთელი თავისი შესაძლებლობებისა და ძალის გამოსამჟღავნებლად დევები სჭირდება. დევების გარეშე იგი არარაობაა. ჩვეულებრივი სარბიელი მისთვის მეტისმეტად ვიწროა. დევები თითქოს იგივე საზოგადოებაა, ნაცარქექიას მიერ გაბრიყვებულ-დაბრიყვებული საზოგადოება, რომელსაც თავისი თავი, თავისი ძალა ბოლომდე ვერ შეუცვნია. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში შეიძლება გამოჩნდეს ჩვენთვის კარგად ნაცნობი ნაცარქექია ნამდვილ გმირად. ამგვარი ფსევდოგმირის სიტყვებია სწორედ „განზომილებაშიც": „ყველაფერს გავადინე წვენი- ზენდუქიძე ვარ მე გუგული- რასაც ხელი მოვკიდე! კაცმა თუ მოინდომა?.. და კაცი თუ კაცია?.. ეს ქვეყანა გაცხადებული ფულია, რა მხარესაც გაიხედავ, ყველგან ფული ყრია. მთავარია დახრა შეიძლო და აკრეფა არ დაიზარო"(122). ამ პათოსის ლოგიკური, გართულებული გაგრძელებაა სიტყვებიც: „ხანდახან რომ სინდისი სისულელეს ჩაგიფუჩუნებს ყურში, იმწამსვე ხმა უნდა ჩააწყვეტინო. ვინ კითხავს სინდისს! სად საქმე და სად სინდისი! სინდისს რა ენაღვლება:ჭამა არ უნდა და სმა, ჩაცმა არ უნდა და დახურვა, ეზო არ უნდა და გარემო, გავლა არ უნდა და გამოვლა, პარიზი არ უნდა და სინგაპური, ქალი არ უნდა დარესტორანი, ძმაკაცი არ უნდა და ნათესავი!.."(153).

ქართულ ფოლკლორში ნაცარქექიასგან რადიკალურად განსხვავებული სახე-ხასიათია ამირანი. ცნობილია, რომ ის ბერძენ პრომეთეს ენათესავება იდეური თვალსაზრისით. ამირანის მითის უამრავი ვარიაციაა შემონახული, განსხვავება თავს იჩენს ძირითადად მისი დაბადებასა და სასჯელში, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ის ყველაზე დაუმორჩილებელი პერსონაჟია და სწორედ ეს სიჯიუტე იმსხვერპლებს მას. ერთ-ერთი მითის თანახმად, ახალშობილი ამირანის ნათლია ქრისტე ღმერთი გახდება, რომელიც უძლეველობას დაანათლავს მას, ხოლო ბოლოს, ყველა ბოროტის დამმარცხებელი ამირანი გაკადნიერდება და თავის ნათლიას დაეჭიდება. ქრისტე გაწყრება, კავკასიონზე მიაჯაჭვავს მას და მარადიულ სიცოცხლეს მიუსჯის, ოღონდ მთავარს წაართმევს- თავისუფლებას. როცა ამ ქართველ პრომეთეზე საუბრობს აკაკი ბაქრაძე, წერს: „ძველბერძნულ მითოლოგიასა და ლიტერატურაში არის ცნება-

ჰიბრისი. იგი აღნიშნავს ურჩობას, დაუმორჩილებლობას, ამპარტავნებას, ეს არ უყვართ ღმერთებს და სჯიან ჰიბრისით შეპყრობილ ადამიანებს. ეს გარდაუვალი და აუცილებელი სასჯელი კი გამოხატულია ცნებით - ნემეზისი. ჰიბრისს უთუოდ მოსდევს ნემეზისი ანუ შურისგება, სამაგიეროს გადახდა.“ (ბაქრაძე, 2004:330) ირკვევა, რომ სიჯიუტე და დაუმორჩილებლობაც ქართული ხასიათის ერთი დამახასიათებელი სიმპტომი ყოფილა. ეს საწყისი კი ბევრს ამბობს ქართველ კაცზე, ეს „კავკასიური ჯვარცმა“, ეს ქართული აჯანყება უძლეველის წინააღმდეგ კარგად აიტაცა ქართულმა მწერლობამ და ამირანი დამონებული საქართველოს ალეგორიად აქცია, რომელიც არ კარგავს იმედს, რომ ერთ დღესაც ჯაჭვს აიხსნის ქართველი კაცი და დაკარგულ თავისუფლებას ისევ იგემებს. მეცხრამეტე საუკუნეში აკაკი პირველია, რომელიც ამირანს სწორედ ამ პარადიგმით გამოიყენებს და თავის პოემაში „თორნიკე ერისთავი“ ქართველთა გამარჯვებულ ლაშქარს ამღერებს:

„კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი

არის მთელი საქართველო და მტრები კი - ყვავ-ყორანი.

მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი,

სიხარულად შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი“ (წერეთელი. 2000: 56)

ნათელია, რომ აკაკი ამირანში დამორჩილებულ საქართველოს გულისხმობდა, თუმცა, ამის მიუხედავად, ოპტიმიზმიც ჩანს - ამირანი და ქვეყანა აუცილებლად თავს დააღწევენ მონობას. პოეტმა მეათე საუკუნის ამბავი ოსტატურად მოარგო თავის თანამედროვეობას და ერის სატკივარი მიჟაჭვული ამირანის სიმბოლოთი გამოხატა. იმავე სახე-სიმბოლოდ გვხვდება ამირანი გალაკტიონთანაც. ლექსში „მშობლიური ეფემერა“ ვკითხულობთ:

„შეხავსებია კლდეები კლდეებს,

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.

„ამირანია“?- მივმართავ კლდეებს

და კლდე გუგუნებს: ამირანია!“ (ტაბიძე. 2005:69)

ლექსის ლირიკული გმირი უყურებს დახავსებულ კლდეებს, რაც უძრაობის, უმოქმედობის გამომხატველია, თუმცა ამირანის კვნესა მაინც იმედისმომცემია, რადგან ეს გმინვა შეუგუებლობას, დაუმორჩილებლობას გამოხატავს. ამ მითოსური პერსონაჟის ამგვარი ხასიათის შესახებ წერს გ. ასათიანი: „გველეშაპის ფაშვში მომწყვდეული მზეჭაბუკი, იგივე ამირანი, მუდამ მზად იყო თავის დასახსნელად, ანტისინათლის, ანტიბედნიერების, ანტისილამაზის სქელ გარსთა გასაპობად, საკუთარი არსის გამოსამზეურებლად.“ (ასათიანი. 1982:347)

ამ მსჯელობით გვინდოდა გამოგვეკვეთა ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა, ლიტერატურული იდენტობის, ლიტერატურული იდენტიფიკაციის საკითხი, რაც მუდამ აქტუალურია, რადგან მწერლობა ერთგვარი სარკეა იმ ერისა, რომლის ყოფა-ცხოვრების, რომლის სულიერი რხევების ამსახველიცაა.

რას ნიშნავს და გულისხმობს იდენტობა? ჯერ გავცეთ პასუხი მარტივ შეკითხავს: არის თუ არა იდენტობა პრობლემა ან თუ არის, რამდენად მნიშვნელოვანია საყოველთაობის თვალსაზრისით? დღეს ბევრი ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური პრობლემა განიხილება, როგორც იდენტობის პრობლემა. თანამედროვე ადამიანი თავისი თავის ანაბარა დარჩა და თავად უნდა იზრუნოს თავის ცხოვრებაზე, მაგრამ იდენტობის პოვნა, რამესთან ან ვინმესთან შემდგომი იდენტიფიკაცია ყოველთვის ერთეულთა ხვედრი იყო. პიროვნული იდენტობა რთული პროცესია, რომელიც განსაკუთრებით ძნელდება, როცა საქმე ერის იდენტობას ეხება.

ადამიანს მუდამ უხდება სოციალური, პოლიტიკური, ეროვნული, კულტურული კონტექსტის გათვალისწინება.  ის საკუთარ თავს უსვამს მთავარ კითხვას:ვინაა და რა ადგილი უკავია ამ სამყაროში? ერის იდენტობის განსასაზღვრად

კი უმთავრესია მისი ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლა, განზოგადება, ერთ ან რამდენიმე პირამდე თუ პერსონაჟამდე დაყვანა.

## 2. ეროვნული ხასიათი ქართულ მწერლობაში (მცირე დისკურსი)

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურა იმ ერის სულიერი რხევების ასახვაცაა, რომელსაც ის მიეკუთვნება. მწერლობა ერის სულიერი პორტრეტია. აქედან გამომდინარე, ძალიან ხშირად სწორედ მას შეუძლია ის კონკრეტული სახე-ხასიათი გამოკვეთოს, რომელიც ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენლის ზოგად ტიპად ჩაითვლება ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს ტიპი არაა უნივერსალური და მასთან საყოველთაო იდენტიფიკაცია შეუძლებელია, მაგრამ ის ერთგვარი ქარგაა, რომლის თარგზეც, გვინდა თუ არ გვინდა, მაინც აჭრილები ვართ.

ხშირად კამათობენ იმასთან დაკავშირებით, რომელი ქართველი მწერლის რომელი პერსონაჟი შეიძლება ჩაითვალოს ზოგად ქართულ ტიპად. ეს მსჯელობა ალბათ ბოლომდეზუსტი ვერ იქნება, რადგან დრო ყველაზე ნათლად სწორედ კონკრეტული ერის შინაგან სამყაროზე მოქმედებს და ცვლის მას. ბუნებრივია, რომ ერის სულიერი პორტრეტი ყველა დროში იდენტური ვერ იქნება, ალბათ ეს განსაკუთრებით ისეთ პატარა ერს ეხება, როგორიც ქართველია. საუკუნეების მანძილზე ქართველს უწევდა იძულებითი თანაარსებობა სხვადასხვა ხალხთან, რაც იწვევდა ასიმილაციას, გარდაუვალ ცვლილებას, რაც აისახებოდა, როგორც ჩვენს ვიზუალურ მხარეზე, ისე - მენტალობაზე. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყველაზე მტკივნეულ პროცესს და სწორედ ამის შემდეგ იქმნებოდა ახალი, განსხვავებული ტიპი- ეპოქის კუთვნილება. შესაბამისად, შეუძლებელიც კია და არასწორი, თუ შევეცდებით ქართულ ლიტერატურაში ერთი კონკრეტული ქართული ხასიათის მოძებნას და მის განზოგადებას ქართველ კაცად.

ყველამ იცის, რომ ქართული მწერლობა სათავეს მეხუთე საუკუნიდან იღებს და პირველი ორიგინალური ქართული ტექსტი იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაა", რომლითაც საფუძველი ჩაეყარა არაჩვეულებრივ ქართულ მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც პერსონაჟთა განსხვავებული და საინტერესო გალერეით გამოირჩევა. ისიც ცნობილია, რომ ქართული მწერლობის წარმოქმნა ქრისტიანული სარწმუნოების წყალობით მოხდა და, ბუნებრივია, რომ პირველი ლიტერატურული თხზულებანი ჰაგიოგრაფიის ჟანრს მიეკუთვნება. ალბათ, ლიტერატურულ-მენტალური ინერციის წყალობით, თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე ქართული მწერლობა პირწმინდად საეკლესიო ხასიათს ატარებს. ამ პერიოდის მწერლები ორი დომინანტი ჟანრით- ჰაგიოგრაფიითა და ჰიმნოგრაფიით არიან გატაცებული.

საერთოქრისტიანული მოძღვრების საფუძველზე ქართულ სასულიერო მწერლობაში მუშავდება წარმოდგენა ადამიანსა და მის დანიშნულებაზე. ამქვეყნიური არსებობა, წუთისოფელში ყოფნა მომზადებაა იმქვეყნიური არსებობისათვის, ზესთასოფელში ცხოვრებისათვის. ეს შეხედულება ყველაზე კარგად გიორგი მერჩულემ გამოკვეთა, მის ნაწარმოებში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" უდიდეს ადამიანურ სიქველედ მიჩნეულია შრომა და არა განყენებული ჭვრეტა ღმერთისა. ღმერთმა ჩანერგა ადამიანში შემოქმედის სული, რაც კაცმა შრომით უნდა გამოხატოს, უდაბნოს სამოთხედ ქცევით უნდა გამოავლინოს.

მეთორმეტე საუკუნეში, სასულიერო მწერლობის პარალელურად, თანდათანობით ჩნდება საერო მწერლობაც, რომლის უმწვერვალესი გამოვლინება „ვეფხისტყაოსანია". სწორედ ამ პოემით ქართულ ლიტერატურულ აზროვნებაში შემოვიდა სრულიად ახალი ტიპის ადამიანი- ავთანდილი. მისი უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ახერხებს თავის თავში უკონფლიქტოდ შეათავსოს სულიერება და ხორციელება. სულიერება არ ართმევს მას ქმედების უნარს, თავის მხრივ, არც ხორციელება აძლევს იმის დავიწყების საშუალებას, რომ ადამიანის ზნეობრივი დანიშნულებაა სიყვარულით განახორციელოს ამქვეყნად კეთილის სუფევა. აკაკი

ბაქრაძე შენიშნავს: „თუ მომეტებულ ფანტაზიორობად არ ჩამომერთმევა, ავთანდილის ცოცხალ პროტოტიპად დავით აღმაშენებელს მივიჩნევდი. ამ კაცმა უდიდესი პრაქტიკული საქმეც განახორციელა და სულიერებით სავსე ჰიმნიც დაწერა. დიდი საქართველოს აღმაშენებელ ხელმწიფეს შეუძლებელია უამრავი ისეთი საქმე არ გაეკეთებინა, რასაც ნივთიერების გამოვლენად, ხორცის სამსახურად მივიჩნევდით და ისიც დაუჯერებელია, რომ „გალობანი სინანულისანი" დაეწერა ადამიანს, ვინც სულიერების მწვერვალებს არ იყო მიმწვდარი. მაგრამ დავით აღმაშენებელმა ავთანდილივით ზუსტად იცოდა, როდის უნდა ყოფილიყო სულიერების ტრფიალი და როდის- ნივთიერების"( ბაქრაძე, 2013: 66).

მწერლობისა და, ზოგადად, აზრის ამგვარი აღორძინების შემდეგ ქართულ რეალობაში სავალალო მდგომარეობა იქმნება: მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა შემოსევის შედეგად ემხობა საქართველოს სამეფო. პოლიტიკურ-სამხედრო კრახმა კულტურული მარცხიც განაპირობა. აქედან მოყოლებული, თითქმის ოთხი საუკუნის მანძილზე, მეცამეტე-მეჩვიდმეტე საუკუნემდე ჩვენში არაფერი დაწერილა, ეს ქართული მწერლობის ყველაზე ბნელი პერიოდია, როცა ქართულმა სულმა უარი თქვა თვითგამოხატვაზე. როგორც ჩანს, განადგურებულმა ქართველმა კაცმა მწერლობაც დაბლაგვებულ იარაღად ჩათვალა საკუთარ თავთან თუ გარეშე მტერთან ბრძოლაში.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ხელახლა ცოცხლდება ქართული მწერლობა, სწორედ ამ ნანატრი გამოღვიძების გამო ეს პერიოდი მიიჩნევა აღორძინების, განახლების ხანად. ამ პერიოდის მწერლობიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სამი შემოქმედი იპყრობს- სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და ალექსანდრე ამილახვარი. სწორედ ამ უკანასკნელის შემოქმედება წარმოადგენს თავსმოხვეული აზიური ჩარჩოებისგან გათავისუფლების მცდელობას, ესაა, ფაქტობრივად, მობრუნება ლიტერატურული ევროპეიზმისა და მაჰმადიანურ ჩიხში მოქცეული ქართული აზროვნების გათავისუფლებისკენ.ეს იყო ამ გზაზეგადადგმული პირველი ნაბიჯები.

ამ დამოკიდებულების შედეგია ის, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ქართული მწერლობა არსებითად თავისუფალია და აღარ განიცდის ე.წ. „სპარსიზმების“ სიმრავლეს, რაც, რა თქმა უნდა, საინტერსო იყო ლექსის მელოდიურობის თვალსაზრისით, მაგრამ იდეურად აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯი იყო.

ვფიქრობთ, ქართულ ლიტერატურაში ისეთი მრავალპლანიანი პერსონაჟი, როგორიც ავთანდილია, არ ასახულა. ეს გვაძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ როცა ერის პოლიტიკურ, კულტურულ, ინტელექტუალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში „ოქროს ხანა“ დგება, მაშინ ჩნდება ისეთი ზნესრული პიროვნებისდახატვისაუცილებლობა, როგორიცაა ავთანდილი და რომელიც სულაც არაა ილუზორული, გამოგონილი და არარეალური თვისებების მქონე. ისეთი ქვეყანა, როგორიც ჩვენი საქართველო იყო მე-12-მე-13 საუკუნეებში, სწორედ ავთანდილისნაირებს შეეძლოთ აეშენებინათ.

როცა საუბრობენ ქართული ხასიათის თავისებურებებზე, აუცილებლად ახსენებენ ილია ჭავჭავაძის ლუარსაბსაც, რომელიც ერთგვარ განზოგადებულ სახედ იქცა და უჩვეულო მისია დაეკისრა: გადმოეცა ქართველი კაცის შინაგანი სამყარო. თუმცა მანამდე, ოცდათოთხმეტი წლის ასაკში ილიამ დაწერა ლექსი „ბედნიერი ერი“, რომლითაც ამხილა ქართველთა ხასიათი, „ანატომის გულგრილობით დადო საოპერაციო სარეცელზე საქართველოს ეროვნული სხეული, არ დაუტოვებია კუნჭულიც კი შეუმოწმებელი. შეისწავლა და დასვა თავზარდამცემი დიაგნოზი:

*ჩვენისთანა ბედნიერი*

*განა არის სადმე ერი?!*

*მძიმე ყალნით,*

*ლამაზ ფალნით,*

*მორთული და მშვენიერი.*

*უწყინარი,*

*უჩინარი,*

*ქედდრეკილი,*

*მადლიერი;*

*უშფოთველი,*

*ქვემძრომელი,*

*რიგიანი, წესიერი;*

*ყოვლად მთმენი,*

*ვით ჯორ-ცხენი“*

(ჭავჭავაძე, 2007:131).

რაც შეეხება ლუარსაბ თათქარიძეს, ილია რომ საერთო ქართულ სენზე წერს, ეს ძალიან კარგად ჩანს მოთხრობის დასაწყისშივე, სადაც მწერალი არაერთხელ უსვამს ხაზს ქართველი კაცის თვისებებს და განაზოგადებს მასფრაზა -„ეტყობა, რომ ქართველია“ (ჭავჭავაძე, 1974:33) -ერთგვარ რეფრენს წარმოადგენს მთლიანი თავისას და ნათელყოფს, რომ საერთოქართული თვისებები ყოფილა სიზარმაცე, არხეინობა, უდარდელობა, უჭკუობა, ურწმუნობა, უნიათობა... სწორედ ესაა, ილიას აზრით, მოურჩენელი სენი, რომელსაც, ერთი სიტყვით, ეწოდა კიდეც სახელი-თათქარიძეობა. მოთხრობის შესავალში ილია წერს: „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ“-(იქვე, გვ.134)- ეს ის ფრაზაა, სახეში სილის გალაწუნებასავით რომ ჟღერს და თითოეულ ქართველს დღესაც სირცხვილით უწვავს ლოყას. ლუარსაბი კონკრეტული ტიპია ქართველი კაცისა და, შესაბამისად, თათქარიძეობაც მტკივნეული ყოფილა იმის გათვალისწინებით, რომ საერთოქართული მოვლენაა. საინტერესოა, ლუარსაბის დახატვით, კონკრეტულად, რომელ თვისებებს მიიჩნევდა

ილია ჭავჭავაძე ქართველთა საკუთრებად. პირველი და ყველაზე თვალშისაცემი თვისებაა სიზარმაცე, რომლის ილუსტრაციაა ლუარსაბის სახლ-კარი. მოთხრობის პირველივე თავში დახატულია სრული გაპარტახების, ნგრევის, იავარქმნის სურათი. თათქარიძის სახლ-კარის ხილვა ყოველ ნორმალურ ადამიანში ერთადერთ სურვილს უნდა იწვევდეს: არსებობის შესანარჩუნებლად თავდაუზოგავად იშრომოს.

როცა ქართულ ხასიათზე საუბრობენ, ქართულ ლიტერატურაში უცნაური სამკუთხედი იკვრება: ავთანდილი, ლუარსაბ თათქარიძე და თეიმურაზ ხევისთავი. ცალსახაა, რომ „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟი არაფრით ჰგავს დანარჩენ ორს და ისიც აშკარაა, რომ ქართველი კაცის ზნეობრივი დეგრადაციაც ნათელია ამ ყველაფრის ფონზე.

მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ჯაყოს ხიზნებს" 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ეკიდებოდა, ხოლო სული იმ დროის სისხლში მქონდა ამოვლებული. ჯაყო გმინვაა ჩემი სულის"(ჯავახიშვილი, 2000:182). თეიმურაზს ყველაფერი აქვს იმისათვის, რომ ღირსეულად განვლოს ცხოვრება, მაგრამ გადამთიელი ჯაყოს მონა ხდება. მკითხველისთვის მტკივნეულია თეიმურაზის დაცემა. თანაგრძნობა თანდათან სიბრალულში, ხოლო შემდეგ ზიზღში გადაიზრდება. „ნაკაცარი" - ეს სიტყვა საუკეთესოდ გამოხატავს მწერლის დამოკიდებულებას თეიმურაზ ხევისთავისადმი. იგი იტევს სიბრალულსაც, თანაგრძნობასაც, ამავდროულად, ზიზღსაც და სიძულვილსაც. კაცობა გულისხმობს ღვთის მსგავსებას ადამიანში, რადგან, შესაქმეს მიხედვით, ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად თვისად"- ამ მსგავსების დაკარგვამ ათქმევინა ილია ჭავჭავაძეს, როცა ლუარსაბ თათქარიძეს ხატავდა: „კაცია-ადამიანი?!" ხევისთავიც ნაკაცარია, ანუ ღვთაებრივ მადლსაა მოკლებული. რომანში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქართველთა ბუნების გააზრება, მათი ხასიათის თავისებურებების გამოკვეთა, მიხეილ ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში ძალიან ჰგავს

ილია ჭავჭავაძეს, მისი მხილება მწვავეა და ზუსტად აღწერს ქართველი კაცის ისტორიულ და თანამედროვე, მეოცე საუკუნის სახე - ხასიათს.

შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზ ხევისთავი მწერლის ერთგვარი ალტერ ეგოა, ამიტომ ხშირად პერსონაჟის ფიქრთა და განსჯათა მიღმა ჩანს ავტორის კამათი საკუთარ თავთან. თეიმურაზ ხევისთავი პესიმისტურად უცქერის ქართველი ერის მომავალს, ამ შემთხვევაში იგი ქართული ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის შეხედულებების გამომხატველია. იგი ივანეს ეუბნება, რომ ,,ქართული სული ზღაპარია და ჭორი, რომ ერთი სული მხოლოდ ერთ მთლიან ერს აქვს, ქართველობა კი, როგორც ფსიქიური და ეროვნული ერთეული, არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ამერ-იმერი 2000 წელზე მეტია ერთ მიწაზე ცხოვრობს, სახელმწიფოებრივ და ეროვნულ შენობაში მხოლოდ 200 წელია ცხოვრობენ. საქართველო მუდამ ცალ-ცალკე იყო გახლეჩილი. დაღუპვისა და შენების ჟამს და ყოველთვის ორპირი ან სამპირი იყო. ერთი რომ აღმოსავლეთისკენ ჰქონდა მიღრეცილი, მეორე დასავლეთისკენ იხედებოდა, მესამე კი სამხრეთისაკენ ჰქონდა მიბრუნებული, ან ჩრდილოეთისაკენ“ (ჯავახიშვილი, 2000:73).შეუძლებელია, თეიმურაზის ამ მსჯელობამ ილიას „ბედნიერი ერი“ არ გაგვახსენოს.

უნდა ითქვას, რომ ქართულ ლიტერატურაში იშვიათია ისეთი ნაწარმოები, რომელშიც ასე ზუსტად იყოს ქართველთა ბუნება ახსნილი და ფარდაახდილი, როგორც ეს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებშია“. მწერალმა იცის, რომ ერის სიმტკიცეს, უპირველეს ყოვლისა, ერის ზნეობა განაპირობებს და როცა ამ უკანასკნელს წყალი შეუდგება, ერის სულიერი გარდაცვალება გარდაუვალია.

დავუბრუნდეთ ისევ ლუარსაბსა და თეიმურაზს. ორივე პერსონაჟის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ დროის ცვლასთან ერთად იცვლება თათქარიძეობის გარეგნული სახე, თუმცა არსი უცვლელი რჩება. ლუარსაბი უმეცარია, თეიმურაზი -განათლებული, მიუხედავად ამისა, თეიმურაზის ცოდნასა და ლუარსაბის უცოდინრობას შორის არავითარი განსხვავება არაა. თეიმურაზის

ინტელექტი მოუხმარელი და გამოუსადეგარია, იგი არავის არაფერში არგია. ხევისთავმა ვერ გამონახა ხალხთან თავისი ცოდნის მიტანის გზა და საშუალება. ამრიგად,შეიძლებაითქვას, რომ თეიმურაზის ფუჭი ცოდნა თავისი არსით ისეთივე უნაყოფოა, როგორც თათქარიძის უმეცრება.

როგორც უკვე ვნახეთ, ქართულ ლიტერატურაში ტიპური ქართული ხასიათი სამ ძირითად პერსონაჟამდე დაიყვანება: ავთანდილი, ლუარსაბი და თეიმურაზი, თუმცა, ალბათ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავთანდილი მაინც ოცნებაა ქართველი კაცისთვის, ის სიმაღლეა, რომელიც, ფაქტობრივად, იდეალადაა ქცეული და ადვილად შესამჩნევი  სულიერი დეგრადაციის ფონზე მაინც აუხდენელ ოცნებად რჩება დღემდე, რაც შეეხება ლუარსაბსა და თეიმურაზს, ისინი თავიანთი ეპოქის საგანგაშო რეალობას აღწერენ და იმ ზოგად ტიპებად გვევლინებიან, ისტორიულ დაღმართზე მიმავალ ქართველებს რომ განასახიერებენ.

## თავი მე-3.თავისუფლების კონცეპტი „განზომილებაში“

განსაკუთრებით საინტერესოა თავისუფლების ქარჩხაძისეული გააზრება. რა თქმა უნდა, მისთვისაც ნათელია უდავო ჭეშმარიტება: ერი ვერ იქნება თავისუფალი, თუ კონკრეტული ინდივიდი არ მიაღწევს შინაგან თავისუფლებას. ხალხის თავისუფლებას განაპირობებს პიროვნებების სწრაფვა თავისუფლებისაკენ. უკომპრომისობა, პრინციპების ერთგულება უმთავრესია მაშინ, როცა ჭეშმარიტებას მიაგენი, ხოლო გზიდან გადახვევა ასეთ დროს ღალატის ტოლფასია.

ქარჩხაძის აუდიორუქები ზუსტად ასახავენ ოთხმოცდაათიანი წლების ქართულ რეალობას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ესაა ყველაზე მტკივნეული პერიოდი, როცა „განვითარებული სოციალიზმი“ ინგრევა და მის ნაცვლად ახალი ბუნდოვანი „იზმი“ იწყებს  აღმოცენებას,როცა ქართველები კომუნისტების შესანდობარს სვამენ და შენდობას ვერ ახერხებენ. უნდა დაიბადოს წყობა, რომელიც, არავინ იცის, როგორ უნდა აშენდეს და რა სახე უნდა მიიღოს. როცა ადამიანებს ვერ გაურკვევიათ, რაა

უმთავრესი ფასეულობა, შოვინიზმი და პატრიოტიზმი იდენტურ ცნებებად ეჩვენებათ, როცა გაუცნობიერებლად, მაგრამ დიდი რიხით აცხადებენ, რომ „საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. წმინდა სისხლის ქართველებს ძლივს გვყოფნის!“ ამ ფრაზის სარჩულად ალბათ ადვილად ამოსაცნობია საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, პოლიტიკური პოზიცია, როცა ეროვნულობა გაეხვია ცრუპატრიოტიზმის საბურველში და, ფაქტობრივად, გაუთანაბრდა ჰომოფობიას. ამ პოზიციის შედარებით პროგრესული, მაგრამ მაინც სარკასტული ინტერპრეტაციაა: „ზოგი იმ აზრისაა, რომ წკნელით შემოვაკავოთ ეს ჩვენი საყვარელი სამშობლო და ეგრეთ წოდებული ტყრუშული ღობე შემოვავლოთ. ხოლო მე გეტყვით: არავითარი წკნელი, არავითარ ტყრუში! კედელი! სქელი კედელი! აი, რა გვჭირდება დღეს ჩვენ! ოღონდ არა ჩინური, ცხადია, არამედ ქართული. ეროვნული ქონგურებით, ეროვნული სათოფურებით, ეროვნული სათვალთვალოებით! ჩიტი ვერ უნდა გადმოაფრინდეს, თუ ქართული ცნობიერება არ ექნა!“(გვ141)ამდენად, მწერლის აზრით, ხსნა ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებაშია, ცნობიერება გულისხმობს ტრადიციებსაც, კულტურას, ხელოვნებას, მენტალიტეტს, ოღონდ, ბუნებრივია, არა დაკონსერვებული სახით, არამედ ეპოქასთან მორგებულს. თუ დროს ფეხი ვერ ავუწყვეთ, რეგრესი გარდაუვალია, თუმცა პროგრესს რომ მივაღწიოთ, ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რა იქნება წინსვლა და რა- წრეზე ტრიალი, (რადგან ყოველთვის არ ჯობია ცუდად ჯდომას ცუდად შრომა. ეს ქართული ანდაზა ჯერ კიდევ დიდმა ილიამ გააკრიტიკა მეცხრამეტე საუკუნეში). თან ისიც აუცილებელი გასათვალისწინებელია, რომ უმჯობესია, სივრცე-დრო თავისუფლების არენად ჩაითვალოს მხოლოდ, რადგან ყოველგვარი განვითარება, გვინდა-არგვინდა, თავისუფლების ფონზე მიმდინარეობს.

ილიას სიტყვების „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“ (ჭავჭავაძე, 2007:132),(რომლითაც უკვე საუკუნეებია, სულს იბრუნებს ქართველი კაცი), საინტერესო გადააზრებაა ქარჩხაძისეული თეზისი: „თუ გავითვალისწინებთ იმ ინდუქციურ ჭეშმარიტებას, რომ სიცოცხლის, ვითარცა შეფარდებითი მოძრაობის,

ბოლო პუნქტი სიკვდილია, დებულება: „საქართველოს მრავალი გაჭირვება გადაუტანია, მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამასაც გადაიტანს," ცრუ ლოგიკაა, რომლის სწორი ვარიანტი (მას შემდეგ, რაც გადაბრუნებულ ალბათობას ისევ გადმოვაბრუნებთ) იქნება: „საქართველოს მრავალი გაჭირვება გადაუტანია, მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამას ვეღარ გადაიტანს"(120).

მწერლები ყველაზე მეტად არიან მხილებით დაკავებულნი, ტყუილის შელამაზება რომ სახეირო არაა და ჭირი თავს არ დაიმალავს, ეს საკითხი ქართულ მწერლობაში ყველაზე ნათლად გურამიშვილმა წამოსწია წინა პლანზე. მხილება სიძულვილად საღდება ხშირად, თორემ ისე დიდ მამულიშვილობასთან ერთად უზომო გამბედაობასაც გულისხმობს, რადგან, სიმამაცის თვინიერ, შეუძლებელია შედეგის მიღწევა, იმ შედეგისა, რომელიც სასიკეთო იქნება კონკრეტული ინდივიდისთვისაც და ქვეყნისთვისაც. „განზომილებაში" წერია, რომ საქართველო ავგიას თავლაა, რომელსაც ერთი კარგი ჰერკულესი სჭირდება, ცხადია, იგულისხმება მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველო.  საბჭოთა იმპერიის ნანგრევებზე პოსტსაბჭოთა საქართველოს აღმოცენებამ, ორასწლიანი პაუზის შემდეგ, ქვეყანა ისტორიაში დააბრუნა, რაც იმდენად დრამატული პროცესი აღმოჩნდა, ქართლის მეორე მოქცევად რომ აღიქმებოდა. საბჭოთა იმპერიაში შემავალი ერთა „ძმობის" უცნაური კოლაჟიდან თავდაღწევას და მეტნაკლებ ინდივიდუალიზაციას დაპყრობილი ერები ყველაზე უფრო ნაციონალიზმით აღწევდნენ, რაც ხშირად გაუაზრებელი ფსევდონაციონალიზმი უფრო იყო. საქართველო „მოძმე რესპუბლიკებს" შორის ამ თვალსაზრისით პირველი აღმოჩნდა. ეს იყო ნარცისისტულ-ინფანტილური ნაციონალიზმი, რაც რადიკალურად და არსებითად განსხვავდებოდა „თერგდალეულელების" პროგრესული ნაციონალიზმისაგან. „რაც მაგრები ვართ, ქართველები ვართ!"- ეს იყო უმთავრესი გზავნილი არა მხოლოდ ქართული სუფრიდან, არამედ ქართული საგანმანათლებლო პროგრამებიდან, სამეცნიერო სფეროებიდან და სახელოვნებო წრეებიდანაც. ქართველ კაცს უკიდურესობებიც უყვარს და ამიტომ ერთიან ქართველთა სიმაგრე რომ არ კმაროდა,

ყველა კუთხის წარმომადგენელიც გულზე მჯიღის ბაგუნით თავისი მშობელი კუთხის განსაკუთრებულობას იჩემებდა. რას არ ვებღაუჭებოდით, ჩვენი უნიკალურობა რომ დაგვემტკიცებინა დანარჩენი ცივილური სამყაროსათვის და მეასეხარისხოვანი იყო ის, გვჯეროდა თუ არა ამის. ამ ფონზე მსუბუქ ღიმილს იწვევს ქარჩხაძის ერთი პერსონაჟის, ტიპური ქართველის რიხით ნათქვამი: „მოხმარების შნო ვინ მოგვცა ქართველებს, თორემ სამი კოზირი ჯერ კიდევ გვაქვს: ხალხური სიმღერა, კულინარია და გასათხოვარი ქალები. ხალხური სიმღერით შეგვიძლია მსოფლიო მოვხიბლოთ, კულინარიით შეგვიძლია მსოფლიო დავიპყროთ, გასათხოვარი ქალებით შეგვიძლია მსოფლიო დავინათესავოთ!“ (87).

ინფანტილიზმისა და ნარცისიზმის გადალახვის ნაცვლად ქართული ნაციონალიზმი კიდევ უფრო გაიჟღინთა ცრუპატრიოტიზმით. ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმართულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ისტერიული სახე მიიღო: ფაქტია, რომ ისტორიაში ჩვენი დაბრუნება ისტერიული ნაციონალიზმით დაიწყო. ამას მოჰყვა ერთგვარი კარნავალიზაციაც: პატრიოტული ლირიკისა და ლოცვების კოლექტიური სკანდირება, საპროტესტო ცეკვა-თამაში, მტრებისა და მოღალატეების ლანძღვა-გინება, დროშები, ჩოხოსნები, ხატისკაცების უდროო, და ამიტომაც, უშედეგო, თითქოს საგანგებოდ პაროდიზებული პროცესიები. ქარჩხაძის აზრით, ყველაზე დიდი დაბრკოლება ქართველი ერისათვის თავისივე ნებაა. ან უფრო სწორად, ნების არქონა: „უკანასკნელ ხანებში რეალობის მუხტები მოგვაკლდა, სამაგიეროდ ილუზიის მუხტები დაგვიგროვდა და წონასწორობაც დაირღვა. სინამდვილის სამეფოში გამონაგონი შეიჭრა. იქნებ ყოველივე ეს გრანდიოზული უგუნურებაა, მაგრამ უგუნურებაც ღვთისა და აუცილებლობის ნაშიერია, ამიტომაც დაგვტრიალებს თავს გამუდმებით. ასეთ დროს სიფრთხილეა საჭირო. უწინარეს ყოვლისა, სიფრთხილე უნდა შევინარჩუნოთ, რათა მრავალთა და მრავალთა მსგავსად რაციონალიზმის ფესვებზე მდუღარე არ გადავისხათ და ანარქიული ემოციების ამარა არ დავრჩეთ“ (94).

თავისუფლება რომ ყველაზე დიდი მადლია, ამაზე, ალბათ, აღარავინ დავობს, მაგრამ ხშირად ხდება ხოლმე, რომ საზოგადოებას, რომელიც საუკუნეებია, რაც მონობაში ცხოვრობს, შიში იპყრობს, საკუთარი თავის რწმენას ჰკარგავს და ეჩვენება, რომ ვერაფერს შეძლებს, ვერაფერს მიაღწევს, ვერაფერს მოახერხებს და ვერასდროს დადგება მყარად საკუთარ ფეხზე, ვინმემ, „დიდმა ძმამ“ თუ არ შეაშველა ხელი და მერე ამ დახმარების სანაცვლოდ მუდმივ მადლიერებასაც არად დაგიდევთ. საქართველო მთელი თავისი არსებობის მანძილზე იყო მუდმივი არჩევანის წინაშე. ეს ალბათ პატარა ქვეყნების ტრაგედიაა, მცირემიწიანი და მცირერიცხოვანი ერის სატკივარი. ხან ბიზანტია-სპარსეთს შორის გვიწევდა არჩევანის გაკეთება, ხან- ოსმალეთსა და ჩრდილოელ მეზობელს შორის. იშვიათად, ჟამიდან ჟამზე გვახსენდებოდა, რომ ოდესღაც თავისუფლები ვიყავით და ეს კარგი იყო. ვიწყებდით ბრძოლას და ხანდახან ვაღწევდით კიდეც გამარჯვებას და ვაფრიალებდით დროშებს, რაც ზავის ალმის ქნევაში გადაიზრდებოდა ხოლმე, ხან სხვასთან და ხან-საკუთარ თავთან. როცა ამ ჭრილში ოთხმოცდათიანი წლების ქართულ რეალობას განიხილავს, ქარჩხაძე წერს: „თავისუფლებისაკენ სწრაფვა, ქალბატონებო და ბატონებო, სქემატურად რომ წარმოვიდგინოთ, ორგვარია: ემოციური და რაციონალური. პირველი ცხოველის ბუნებაა, მეორე ადამიანის. ქართველების დღევანდელი დაუოკებელი სწრაფვა თავისუფლებისაკენ წმინდა ემოციური სწრაფვა გახლავთ“ (123).

ხოლო როცა ეს ლტოლვა გაუაზრებელი თავისუფლებისაკენ გაუთვითცნობიერებელია და ინსტინქტური, რაგასაკვირია, რომ შედეგებიც ასეთივე იყოს. ქართველების ნატვრას, გათავისუფლებულიყვნენ საბჭოთა იმპერიის სამოცდაათწლიანი საპყრობილიდან, განსხვავებული გზებით ელოდა აღსრულება. როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც დიდი აზრთა სხვადასხვაობა გამოჩნდა. რაკი ემოციური დუღილის ტემპერატურა ძალიან მაღალი იყო, ამიტომ ბუნებრივი და მოსალოდნელიც იყო შედეგი- ძმათამკვლელი ომი. უშუალოდ ფიზიკურ შეხლა-შემოხლასა და სამხედრო დაპირისპირებას წინ უძღოდა თავისებური ძვრები

ქართულ კოლექტიურ ცნობიერებაში. საბჭოურ-ქართული პოლიტიკური, სოციალური და კულტურული იერარქიული სისტემა აყირავდა: მარგინალური და რეპრესირებული ელემენტები წინ მოიწევენ, ყოველივე ორაზროვანი და წინააღმდეგობრივი კიდევ უფრო მძაფრდება. ერთმანეთთან თითქმის არაფერი აქვთ საერთო იმ პოლიტიკურ ლიდერებსაც, რომლებიც, შესაძლოა, ქვეყნის სათავეში აღმოჩნდნენ. თუმცა მანამდე არანაკლებ ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი იყო, რასაც ღირებულებათა გადაფასება ერქვა და რაც საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა. თამამად შეიძლება იმის თქმაც, რომ დღემდე გრძელდება. ეს უპირველესად, კომუნიზმთან მიმართებით გამოიკვეთა. „ბოლო პერიოდს დააკვირდი: რომ დაინახეს, ვიძირებითო, ბიოგრაფიების გადაკეთება დაიწყეს და დისიდენტებად და ნაციონალისტებად გადაიქცნენ... ადამიანს შეუძლია ადამიანის შეფერხება, მაგრამ დროს ვერ შეაჩერებს, გამიგე? წარმოიდგინე, რომ დრო არის მატარებელი და მიქრის. კომუნისტები ამ მატარებლის ერთ ვაგონში შეიყარნენ და იქ ფართიფურთობდნენ. რა იფართიფურთეს? რა და, ვინც ამ ვაგონში მგზავრები ვიყავით, მიგვაწვნენ და ვაგონის ბოლოში მიგვხვეტეს. მორჩა. მეტი მაგათ არაფერი შეეძლოთ. ესე იგი, რა გამოვიდა? ათი-თხუთმეტი მეტრი - პირობითად დაგვაკარგვინეს. დაგვახევინეს უკან ათი-თხუთმეტი მეტრი, მაგრამ მატარებელი ხომ ამასობაში მიქროდა და არ გაჩერებულა! რა მანძილი გაიარა? აი, ამაშია საქმე! მაშასადამე, კომუნისტების წყალობით ჩვენი ჩამორჩენა შეფარდებითი და შედარებითია. გამიგე? ამიტომ, თუ აბსოლუტური ჩამორჩენა და ადგილზე გაყინვა მოხდა, ეს კომუნისტების ბრალი აღარაა, ბაბა. ჩვენ თუ მიხვეტას არ დავჯერდით და ჩვენი ნებით უკანა ვაგონში გადავედით, ამის პასუხს კომუნისტებს ნუ მოვთხოვთ, ჩვენ თავს მოვთხოვოთ. ჩვენ ვისარგებლეთ კომუნისტების სიგლახით და ჩვენი სიგლახე ავუშვით იმის იმედით, რომ ესეც კომუნისტებს დაბრალდებოდა“ (122). ასეთი უტყუარი შეფასება კომუნისტური რეჟიმისა, რამაც ყველაზე მკაფიოდ გაუსვა ხაზი ჩვენს მანკიერებას, ალბათ უპრეცენდენტოა ქართულ მწერლობაში, თუნდაც ქართულ პუბლიცისტიკაში.

საქართველო ჯერ ისევ სამოქალაქო თვითგვემის მდგომარეობაში იყო, როდესაც მას მოუწია აბსოლუტურად უცხო გარემოსთან კომუნიკაცია. ეს მეტად რთული და მტკივნეული პროცესი „განზომილებაში“ პაროდიისა და სატირის, ისტორიზმისა და კრიტიციზმის გამოყენებით აისახა. ტექსტში ჩანს, როგორ ცდილობდა ერი კომუნიზმის ნანგრევებიდან ან სრულ თავდაღწევას, ან იმ ნანგრევებში როგორმე მოკალათებას და ხუხულას მსგავსი სახელმწიფოს შენებას. ამ გაორების შედეგი იყო ის, რომ ქართველი ხალხი მაინც ვერ ახერხებდა თავისუფლების დაგემოვნებას, რადგან წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იყო თავისუფლება და სიმწრით მოპოვებული როგორ უნდა გამოეყენებინა, რაში სჭირდებოდა. ანუ გრძელდებოდა ისევ მონობის პროცესი ფსევდოთავისუფლების სახელით, ამიტომ წერს ქარჩხაძე: „ადამიანი რომ მონა იყოს, აუცილებელი არაა, ბატონი ჰყავდეს!“ (124). ამ განწყობამ, ამ დაბნეულობამ ლამის ნიჰილიზმის სახე მიიღო, ერი ვეღარ ახერხებდა ღირებულებათა გადაფასებას, ამიტომ საერთოდ უარყოფდა ყოველგვარი ღირებულების მნიშვნელობას. ქართველი კაცი პრინციპულად ვეღარასხვავებდა დადებითსა და უარყოფითს, სასიცოცხლოსა და მომაკვდინებელს. ესაა ეთიკურ ფასეულობათა დევალვაციის,ზნეობრივი დეგრადაციის პროცესი.

ნიჰილიზმი საზოგადოების არსებობის უკიდურესი და გაუმართლებელი ფორმაა და ის, როგორც წესი, ახლავს იმედგაცრუებას. როცა მომხდარი ის არ აღმოჩნდება, რაც გეგონა და რისკენაც ილტვოდი, ამდენად, 90-იანი წლების ქართული სოციუმის ნაწილისთვის დამახასიათებელი ნიჰილიზმი ბუნებრივადაც შეიძლება ჩაითვალოს და შეუქცევად პროცესადაც. თავისუფლების ყველაზე დიდი მტერი შიშია. იმისათვის, რომ ხალხი მონობაში იყოს და არასოდეს წაეპოტინოს აკრძალულს, შიში უნდა ჰქონდეს: „შიში სიცხესავითაა: ოცდათექვსმეტს ქვემოთ და ოცდაჩვიდმეტამდე აუცილებელია“ (145).  მით უფრო რთულადაა საქმე, როცა ის, ვინც გაშინებს, ამავდროულად მამა-მარჩენალიცაა: „მოიცა, თუ ძმა ხარ! სანამ რუსეთი რძეს იძლევა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კი არა, მამაზეციერი ვერ მოგვწიწკნის მისი ჯიქნიდან!“ (145).

ქარჩხაძის განსაკუთრებული ირონია მიემართება იმ ადამიანებს, რომლებიც, რაკი წყალი აიმღვრა და ტყუილისა და მართლის გარჩევა გაჭირდა, ქვეყნის „შენების“ პროცესში ჩაერთვნენ აქტიურად და საზოგადო მოღვაწის უჭკნობი გვირგვინის მორგება გადაწყვიტეს. ასეთები მართლაც ბევრნი იყვნენ იმდროინდელ ქართულ რეალობაში და, ბუნებრივია, მწერალი, მათ დახატვას თავს ვერ აარიდებდა. ძნელი იყო ერთმანეთისგან გარჩევა ფსევდოპატრიოტიზმისა და მამულიშვილობისა, ღირსეულისა და უღირსისა, რადგან ყველაზე მღვრიე წყალი სწორედ მორალს შეუდგა, რომელიც უკვე თითქმის გამქრალიყო, და რაც დარჩა, ყველაზე საკამათო გამხდარიყო:

„-ნახე, ეს ჩვენი მოძახილა რავალი აცანცარდა და აცუნდრუკდა და ამჩატდა და აცეტდა და ატროკდა?

-მარტო მოძახილა? რამდენი მაგისთანა!

- რა ჭირთ ასეთი?

-საზოგადომოღვაწეობა.

-გადამდებია?

-გადამდებიაო?! ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნებით გადადის!

-შენ შეეწიე, ღმერთო, ამ გზააბნეულ ხალხს!“ (147).

ზოგადად, თავისუფლებას ნაჩვევი ადამიანი მის გარეშე ცხოვრებას ვერ ეგუება და მუდმივად მისკენ ისწრაფვის, სხვა საქმეა, აღწევს თუ არა მას.

ქართულ მწერლობაში თავისუფლების სიმბოლოდ ბევრი რამ მოაზრებულა: ბარათაშვილის მერანი, ილიას თერგი, გალაკტიონის ლურჯა ცხენები. ეს ის ტრიადაა, თავიანთი დაუოკებელი სწრაფვით ყველაზე მნიშვნელოვანი სათქმელის მიმტანნი რომ იყვნენ მკითხველამდე და მთავარ მისიას ისახავდნენ მიზნად-

გამოფხიზლება-გამოღვიძებას. ალბათ, სწორედ ეს ტრიადა უდევს საფუძვლად ქარჩხაძის სიტყვებს: „თავისუფლება, ქალბატონებო და ბატონებო, ქარიშხალში იბადება და არა ჭაობში. ჭაობში ბაყაყები იბადებიან და ამის საუკეთესო დასტური დღევანდელი ქართული ინტელიგენციაა"(149). არავის ასე ხმამაღლა და ასე ობიექტურად არ განუსჯია იმდროინდელი ქართული ინტელიგენცია, ყველაზე დაბნეული და უმოქმედო რომ იყო და ვერაფრით გადაეწყვიტა, სად ჯობდა ყოფნა: საკუთარი ხალხის გვერდით, რომელიც,შესაძლოა, გაუაზრებლად, მაგრამ მაინც მიილტვოდა ცვლილებებისაკენ თუ „დიდ ძმასთან", რუსეთთან, რომელიც ტაშის დროულად დამკვრელი იყოდა დროდადრო ლუკმის გადმოგდებაც შეეძლო.

არც „გმირის ძიება" ყოფილა ქართველი კაცისთვის და, შესაბამისად, ქართული მწერლობისთვის უცხო თემა. პირიქით, ქართული პროზისა თუ პოეზიის უმთავრესი მოტივი ყოველთვის იყო იმ ასპარეზის მითითება, რომელზეც უნდა გამოსულიყო ის ადამიანი, რომელიც ყველაზე გონივრულ გზას მიაგნებდა და ამ გზაზე მუხლჩაუხრელად ივლიდა. თუმცა, როგორც ჩანს, 90-იანი წლები ამ მხრივ გამონაკლისი იყო. უგმიროდ დარჩენილი ერი ამაოდ ელოდა მხსნელს, რადგან „მშობლიურ ტომს მუდმივად ცრუ ორსულობა სჭირს" (124)და არა და არ დაადგა მხსნელის მოვლინებას საშველი.

აქსიომაა, თავისუფლებისკენ მიმავალ ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს: იყო თავისუფალი, არ ნიშნავს იმას, რომ შენი თავისუფლებით სხვისი უფლებები შეზღუდო და დააკნინო. სხვა განცდაა, როცა თავისუფლება თავსმოხვეულია, ისე მოვიდა, მონობის უღლიდან გამოსვლა რომ არც გიფიქრია და ამიტომ არც იცი, როგორ მოექცე, რა უყო, როგორ და რაში გამოიყენო. უარესია მოუხმარელი თავისუფლება-უზარმაზარი პირადი თუ საქვეყნო ტრაგედიის მომტანი. გათავისუფლება ტვირთია ასეთ დროს, მზად ხარ, იმას შეაჩეჩო, ვინც პირველი შეგხვდება, ოღონდ შენ გათავისუფლდე პასუხისმგებლობისგან. ეს განცდა უცხო არ ყოფილა ქართული საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით-

ინტელიგენციისათვის, ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის: „თავისუფლების ფეთქვა ისეთი შემაშფოთებელი რამ გაუგებრობა აღმოჩნდა, ხელმძღვანელი მუშაკებიც კი საგონებელში ჩაცვივდნენ. მაგალითად, თითქმის ყოვლად ძლიერმა ბატონმა კრეონტმა, რადიოთი გამოსვლა რა დაასრულა, მყისვე მდივანს უხმო, მეორე დღის დილის ათი საათისთვის საგანგებო სხდომა დაანიშვნინა და სხდომაზე ქალაქის მთელი ელიტური ჭკუა-გონება გამოაძახებინა, რათა მათი დახმარებით დაედგინა, რა შეიძლება იყოს თავისუფლება როგორც ასეთი, და რა უნდა იგულისხმებოდეს, კერძოდ, ამ დირექტიულ თავისუფლებაში, ეს წუთია, რომ თავისი პირით გამოაცხადა, ხოლო რაკი „ქალაქის ელიტური ჭკუა-გონება" პირობითი და სწრაფცვლადი ცნებაა, გამოძახებული ხალხის სია თავად უკარნახა მდივანს" (197).

თავისუფლება, მართალია, ძალიან ტკბილია, მაგრამ აღსაქმელად მაინც რთული ცნებაა. შეიძლება იყო თავისუფალი, მაგრამ არ გქონდეს ყველაფრის უფლება. თითოეული ადამიანის თავისუფლება აუცილებლადაა რაღაც ზღვარში, ჩარჩოში მოქცეული, რომელსაც არ და ვერ უნდა გადააბიჯო. კანონდარღვევის, ანუ საზღვრების გადაცდენის შემთხვევაში უნდა გვახსოვდეს, რომ ეს თავისუფლება კი არა, უკვე უზნეობაა.

ცოტათი განსხვავებული საკითხია ქვეყნის თავისუფლება, განსაკუთრებული სირთულე ახლავს ისეთი პატარა ქვეყნის თავისუფლების საკითხს, როგორიც საქართველოა. თუმცა ქართველმა კაცმა ყოველთვის კარგად იცოდა, რომ თავისუფლება ისე არ მოდის, მხოლოდ ღომთა ხვედრია, მაგრამ ისიც უწყოდა, რომ გაღომებაც რთულია. მეოცე საუკუნის მიწურულს ქართველი კაცის ყველაზე უფრო რიხიანი მოთხოვნა სწორედ თავისუფლებისა იყო. ყველაზე ხმამაღლა სწორედ ამ სიტყვას გაიძახოდნენ და ყველაზე ბუნდოვანი სწორედ მისი ფორმულირება იყო: „საქმე ის გახლავთ, რომ, როდესაც ცვლილებები ჩაკეტილ სივრცეში მიმდინარეობს- ვთქვათ, ციხეში, ქვევრში, აკვარიუმში, მოჯადოებულ წრეში, ცირკში, სანაკლიოში და ასე შემდეგ- ასეთი ცვლილებები თითქმის ყოველთვის ბლეფია. ისინი ისეთ ეფექტს

იწვევენ, როგორც წუმპეში ჩაგდებული ქვა. წუმპეში ჩაგდებული ქვა, მოგეხსენებათ, წარმოქმნის კონცენტრირებულ წრეებს, რომლებიც მეთოდურად მიიწევენ პერიფერიისკენ, ხოლო მოვლენის მარილი და წიწაკა ისაა, რომ როცა ბოლოს და ბოლოს ნაპირს მიაღწევენ, მათი ცენტრი- ის ადგილი, სადაც ქვა ჩავარდა- უკვე მოწმენდილია. ანდა უფრო შთამბეჭდავი მაგალითი ავიღოთ: ვარსკვლავები, ღამღამობით რომ ვითომცდა თავს დაგვნათის (რაც ოდესღაც პოეტების ძალუმ გაშმაგებას იწვევდა), რეალურად- თუ გინდათ, ასტრონომებს ჰკითხეთ, მხოლოდ მანამ არსებობენ, სანამ გამოჩნდებიან. ხოლო მას შემდეგ, რაც გამოჩნდებიან, უკვე აღარ არსებობენ. ხედავთ? არა, ხედავთ?! ასეთი მაგალითი კი უამრავია და ყველა მათგანი ბლეფია. მართალია, ზოგჯერ, თუ დიდია, ალაგ-ალაგ ბლეფიც აფეთქდება ხოლმე, მაგრამ მადლი უფალს, უფრო სწორად, ბუნებას, ზემოთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვთ საიმისოდ, რომ ქვა წუმპეს მიუსადაგონ. ... ამიტომ ნუ გაახმაურებთ თავისუფლებას! იგი არავის სჭირდება, ენდეთ ჩემს ნათქვამს, რომელიც, თუ სიმართლე გინდათ, ზეგარდმო რწმენას ემყარება!“ (200).

ყველა ადამიანს აქვს თავისი დაუწერელი და უთქმელი სფერო, რომელიც უკონტროლო აზრების, ფიქრების, სურვილებისა და განსაზღვრებებისაგან შედგება, ჩვენი მიზანი კი მათი ერთგავარად გაფილტვრა და ზნეობრივად განხორციელებაა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ,რომ სხვისი თავისუფლება არ დავარღვიოთ და ღირსება შევინარჩუნოთ. ყველა ადამიანი რაღაც დოზით შეზღუდულია. თავისუფლება გულისხმობს, რომ გქონდეს უფლება გააკეთო თავისუფალი არჩევანი და იმოქმედო ზუსტად მოცემულ ჩარჩოში. ხანდახან ფიქრობენ, რომ როცა ადამიანი საზოგადოებას ემორჩილება და არსებულ ვითარებას ეგუება, ეს მონური ბუნებიდან გამომდინარეა, ხოლო როდესაც იბრძვი და არ კმაყოფილდები აწმყოთი, ეწინააღმდეგები ცხოვრებას იმისათვის, რომ მისგან უკეთესი მიიღო, ეს შეძენილია და თავისუფლებამდე მივყავართ. ანუ იმ თავისუფლებამდე, როცა საკუთარი ძალით უკეთეს მდგომარეობას ვიქმნით: „დირექტივა რომ ხალხისთვის თავისუფლების გვავალებს, მოდით და ერთი ესეც ვიკითხოთ, ვინ არის ის ხალხი, ვისაც

თავისუფლება უნდა მიეცეს? სიის შედგენა რომ დაგვჭირდეს, ვინ უნდა ჩავწეროთ ამ სიაში და ვინ - არა? რა ადგილას გადის ის საზღვარი, რომლის ერთ მხარეს თავისუფლების გამღები დგას და მეორე მხარეს - თავისუფლების მიმღები? თვითონ თავისუფლება სად არის და ვის ხელშია? ანდა, საერთოდ, რა არის თავისუფლება? უკონტროლო კუნტრუში თუ წრეხაზის მიერ ლიმიტირებულ-პროკრუსტირებული რადიუსი? და თუ რადიუსია, ან სად იწყება, ან სად თავდება, ან რამსიგრძეა? თავისუფლების მიცემა რაღას ნიშნავს? როგორ უნდა მიეცეს, ვისაც უნდა მიეცეს, თავისუფლება? როგორც მზე იძლევა სინათლეს თუ როგორც კიტრი იძლევა ნაყოფს? ყველაფერი ეს ჩვენი გადასაწყვეტია და ჩვენს მაგივრად სხვა ვერ გადაწყვეტს“ (204).

თავისუფლებასა და ხელისუფლებას შორის ბრძოლა მსოფლიო ისტორიაში საკმაოდ ხშირი და, ამავდროულად, ხანგრძლივი პროცესია. ამ მხრივ არც საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი. პოლიტიკურ და ფილოსოფიურ თეორიებში, ისევე, როგორც ადამიანებში, წარმატება წარმოაჩენს შეცდომებსა და სისუსტეებს, რომლებიც მარცხს შეიძლებოდა შეუმჩნეველი დაეტოვებინა. თავისუფლების ძიებაში ადამიანმა შეიძლება ბევრჯერ გადაუხვიოს გზიდან, ბევრჯერ აუაროს გვერდი ჭეშმარიტებას და გზააბნეული სასოწარკვეთას მიეცეს, მაგრამ ეს შეცდომაც გამართლებულია, რადგან თითქმის კანონზომიერებადაა მიჩნეული. „განზომილებაში“ წერია, რომ  თუ შეცდომის ჩადენა ცნობიერების ნიშანია, ხოლო ჩადენის ინტენსივობა გონების ხარისხის მაჩვენებელი, შეცდომის აღიარება სულიერების ნიშანია, ხოლო აღიარების ინტენსივობა- თავისუფლების ხარისხის მაჩვენებელი. თუ დავუშვებთ, რომ რომანში აღწერილი სანაკლიო მიკრომოდელია საქართველოსი, მაშინ ქართველი ხალხის პოზიციის განზოგადებაც შეგვიძლია ამგვარად: თავისუფლებაში არსებითია არა თავად თავისუფლება, რომლის განსაზღვრაც დამოუკიდებლად არ შეუძლია, არამედ ის, რომ ყველანი ერთ ტაფაში იხრაკებოდნენ.

ყველასთვის ცნობილია, რომ სანამ თავისუფლება თავისი ჭეშმარიტი არსით დამკვიდრდება, მანამ მისი სახელით ბევრი უზნეობა და უკუღმართობა ცდილობს თავის მოჩვენებას, ფეხის მოკიდებას, ამიტომ ბუნებრივია ის შიში, რაც ახლავს ადამიანთა დამოკიდებულებას. თავისუფლება ასეთ დროს ნაღმს ჰგავს, რომელიც შეიძლება ნებისმიერ დროს აფეთქდეს და ამიტომაა საჭირო განსაკუთრებული წინდახედულება, რომლის გაქრობისთანავე იწყება ანარქია,  რაც დანგრევით ემუქრება ნებისმიერ სისტემას- სახელმწიფოებრივსაც და მორალურსაც, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, რადგან ისეთი ცნებების კომბინაციას წარმოადგენს, როგორებიცაა ტრადიცია, წეს-ჩვეულება, ადათი, მოკლედ, ყველა დაუწერელი კანონი, რასაც ქართველი კაცი, ხშირ შემთხვევაში, დაწერილ კანონზე უპირატესად მიიჩნევდა. როცა ეს აუცილებელი წინდახედულება უქრება ერს, ძალიან ადვილია უფსკრულში გადაშვება. ასე მოხდა სანაკლიოშიც: „(თავისუფლების) ზეიმის მთავარი ლაიტმოტივი, როგორც ყოველთვის, ის იყო, რომ სანაკლიელები ერთმანეთს დაერივნენ. თავისუფლების პირველივე ნაჩვრეტებიდან წლობით ნაგროვები ბალღამი ამოანთხიეს და სულ ნარჩევი სიტყვებით, ხატოვანი გამოთქმებით, ძარღვიან-სურნელოვანი ქართულით  თათხეს და ათრიეს ერთმანეთი, ქვა ქვაზე არ დატოვეს ერთმანეთის სახელიდან და ღირსებიდან. უნდა ითქვას, კარგადაც ამოვიდნენ ერთმანეთის ოხტში. ამის პირუთვნელი და დოკუმენტური მოწმე გახლავთ იმდროინდელი პრესა, რომელიც ერთი პირველთაგანი გადაეშვა თავისუფლების მყრალ ჭაობში, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ იმხანად „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებს უაირწინაღოდ ახლო ვერ გაეკარებოდით, თუმცა მარტო „სოიუზპეჩატებს“?! საერთოდ, ირგვლივ-ყველგან- ისეთი სუნი იდგა, შუა ზაფხულში რომ ერთდროულად მრავალი გვამი გაიხრწნას (გადაჭარბებად არ გეგონოთ. მაშინ მართლა იმდენი- მათ შორის არაერთი ცნობილი და სახელოვანი -გვამი გაიხრწნა, შესაძლოა სიტყვა „მრავალი“ მათ დათვლას ვერც კი აუვიდეს)“ (211).

თავისუფლების გააზრების საინტერესო ვერსიას გვთავაზობს  ჯემალ ქარჩხაძე: „რამდენი კაცი შეიძლება ერთდროულად თავისუფალი იყოს?- ამ სიტყვებით

ერთბაშად, მკვეთრი მოძრაობით წამოჯდა, ასე წამომჯდარი შემოტრიალდა, ფეხები ტახტიდან გადმოაწყო, ისე რომ საბნის კუთხე პიჟამას მუხლებს ზემოთღა უფარავდა, თვალი თვალში გამიყარა და ამჯერად უფრო შემპარავად, ვიდრე ნიშნისმოგებით გაიმეორა:

- რამდენი კაცი შეიძლება ერთდროულად თავისუფალი იყოს?

მე ვერ გავიგე, რას გულისხმობდა.

-ვერ გავიგე, რას გულისხმობ.

-ერთი, მხოლოდ ერთი. მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლება თავისუფალი იყოს, ისიც იმ შემთხვევაში, მეორე ადამიანი თუ არ არსებობს. -აქ შეისვენა და ეფექტს დაელოდა. მე დაბნეული შევცქეროდი. მაშინ მან მცირე ყოყმანის შემდეგ, ისე კი, რომ არ შეტყობია, ჩათვალა თუ არა ჩემი დაბნეულობა საკმარის და დამაკმაყოფილებელ ეფექტად, განაგრძო, - შენ პატარაობიდანვე საკუთარი ჭკუა გქონდა და ისეთ საქმეზე, რაც არ გჯეროდა ან არ მოგწონდა, ვერავინ დაგიყოლიებდა. შენი და-ძმები ფეხის ხმას არიან აყოლილნი. ოღონდაც არაფერზე აფიქრო და თუ გინდა ცეცხლში და ქვესკნელში გამოგყვებიან. კი მართალია, შეხედულებები შენი მცდარია და იმათიც, მაგრამ შენი მცდარი შეხედულებები შენი შეხედულებებია და სხვისი შეცდომების გამეორებას ისა სჯობს, შენ თვითონ ჩაიდინო შეცდომა. გატყობ, არ გჯერა. ნუ გჯერა, შენი ნებაა, ოღონდ ეს მითხარი: ასე გულდანდობით რომ ახსენებ, იცი, რა არის თავისუფლება?- აქ მცირე ხნით შეყოვნდა.- არ იცი, ხომ? არ იცი, არც მე ვიცი. მაგრამ მე ის მაინც ვიცი, რომ თავისუფლება ერთია და მრავალს რომ გაუნაწილებ, რაც მეტს გაუნაწილებ, თითოს მით უფრო ნაკლები შეხვდება. მაინც ვერ გაიგე?“ (269).

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ადამიანი თავისუფალი შეიძლება მხოლოდ შინაგანად იყო და შეუძლებელია, რომ სხვების თავისუფლებისთვის იბრძოლო. თავისუფალი მხოლოდ ადამი იყო, სანამ მოიწყენდა და უფალი ევას შექმნიდა მისივე ნეკნიდან. და რაკი ადამიანი მარტო ვერასდროს იქნება, შესაბამისად, თავისუფლებაც

მეტად ილუზორული ცნება ყოფილა: „როცა მარტო დადიხარ მინდორში- რამდენიც გინდა, იარე, შენს თავისუფლებას მისხალი არ მოაკლდება და ბეწვი არ ჩამოვარდება. როცა ორნი დადიხართ, რაც არ უნდა დიდი იყოს მინდორი, არ შეიძლება ადრე თუ გვიან ერთმანეთს არ გადაეყაროთ. ერთმანეთს რომ გადაეყრებით, ან ერთი უნდა მიდგეთ გვერდზე, ან მეორე. ეს არის თავისუფლების დაყოფა და შეზღუდვა. თუ ორნი ხართ, თავისუფლება ორად იყოფა, თუ სამნი ხართ, სამად, თუ ოთხნი ხართ, ოთხად და რამდენიცა ხართ, იმდენად. ასე რომ, თავისუფლება ის არ არის, შენ რომ გგონია და ბევრს რომ ჰგონია. თუ სიმართლე გინდა, თავისუფლება სულ არ არსებობს. თქვენ რომ თავსუფლებას ეძახით, ის ანარქიაა. ზოგიერთს რომ უანარქიოდ წარმოგიდგენიათ თავისუფლება, ის ილუზიაა. სადაც თავისუფლების მოსურნე ერთზე მეტია, იქ თავისუფლება სახიჩარია. თავისუფლება ძალადობის წყაროა. ჩვენი ცხოვრების საძირკველი არის არა თავისუფლება, არამედ ძალადობა. სანამ სახელმწიფო წარმოიქმნებოდა, ქვეყანაზე განუკითხავი ძალადობა იყო გამეფებული. როცა სახელმწიფო წარმოიქმნა, დალაგებული ძალადობა გამეფდა. სახელმწიფო თავისუფლების ნანგრევებზე შენდება. ამიტომ ძალადობაა. ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები. მაგრამ ყოველთვის ძალადობა. ძალადობა ცუდი არ არის, იმიტომ, რომ აუცილებელია. და რაც აუცილებელია, ის არ შეიძლება ცუდი იყოს. ძალადობის გარეშე საზოგადოება დაიშლებოდა, ძალადობა საზოგადოების წებოა... თუ დაკვირვებიხარ, გოდორში წნელები მოღუნულადაა ჩატანებული და ძალად გამაგრებული. გოდორი რომ დაარღვიო და წნელები ნებას მიუშვა, გაიშლებიან და „თავისუფალნი" გახდებიან, მაგრამ აღარაფრის მაქნისნი აღარ იქნებიან. წნელს მაშინა აქვს ფასი, როცა- გინდა „ხელოვნური" უთხარი, გინდა „ნაძალადევი", გინდა „იდეოლოგიური" -როცა საერთო საქმეს ემსახურება" (270).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უცნაურ, თითქმის პარადოქსულ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ: თავისუფლება, რომელიც ასე საოცნებო და ძნელად მისაღწევია, თურმე მეტად ბუნდოვანი, თითქმის არარსებული ცნება ყოფილა. აბსურდია, ისწრაფოდე იმისკენ, რაც არ არსებობს, რაც ილუზორულია. ამ სათქმელით ქარჩხაძე

კალმის ერთი მოსმით ანგრევს ყველა მითს, გონიერი ადამიანის სწრაფვა რომ ჰქვია ბედნიერებისაკენ, რაც უჩარჩოობაში ეგულება კაცს. პირიქით, შეგვიძლია მსჯელობა ისე განვავითაროთ, რომ არგუმენტებით ვამტკიცოთ: ისტორია იმას ადასტურებს, რომ ხალხს არაფერი ისე არ სწადია, როგორც საზელი და პალო. თუ იმას დავუშვებთ, რომ მთავარია, იდეა გაჩნდეს და მას დროთა განმავლობაში აუცილებლად შეესხმება ხორცი, თავისუფლების იდეალი აქაც ვეებერთელა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება, რადგან, „როცა ქვეყნიერებას ზნეობა აკლია, იქ დიდ იდეას ყოველთვის საკადრო პოლიტიკა დაღუპავს. ეს იცოდე, ზემოთ გვიმტყუნეს კადრებმა, თავში, თორემ ხალხი, იცოცხლე, კი იყო მუშტად შეკრული“ (280) - ეს ერთგვარი შეჯამებაა 90 -იანი წლების ქართული რეალობისა. საკადრო პოლიტიკა, მართლაც, ყოველთვის იყო აქილევსის ქუსლი ქართული სახელისუფლებო სისტემისა. რომ გადავავლოთ თვალი ქვეყნის ისტორიას, აღმოვაჩენთ, რომ სხვა უამრავი ფაქტორის გვერდით, ყველაზე დამღუპველი სწორედ არასწორად შერჩეული გუნდია, ის ანდაზაც ხომ ყველას გვახსოვს, ერთმა ტალახიანმა ღორმა კოლტი რომ გასვარა. სწორედ ამგვარი ადამიანები არწმუნებდნენ პოსტ ფაქტუმ დანარჩენებს იმაში, რომ პატიოსნება სიბრიყვის ბაღში ამოსული ყვავილია, რომელსაც არც ფერი აქვს, არც სუნი და არც დანიშნულება. ის საზოგადოება კი, რომელიც ამგვარ განსაზღვრებას ირწმუნებს, ადვილად დაყრის ფარ-ხმალს,უფრო იოლად და სწრაფად გადაეშვება უზნეობის ჭაობში, სადაც ან ბოლომდე ჩაიძირება ან უნდა გავიდეს დიდი დრო, რომ ქვეყანა ხელახლა იშვას, ისევ მოახერხოს თავისი გზის მონახვა და ამ გზაზე შედგომა.

დაუსრულებლად შეიძლება ვილაპარაკოთ თავისუფლების ქარჩხაძისეულ გააზრებაზე. განსაკუთრებით საინტერესო ალბათ იმიტომაა ეს საკითხი, რომ ავტორი შეულამაზებლად გვიყვება მეოცე საუკუნის მიწურულის ამბებს, რომლებიც ინერციით ოცდამეერთე საუკუნესაც ეხება და განსაზღვრავს კიდეც მის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ და მენტალურ მახასიათებლებს. თავისუფლების არსებობა-არარსებობის საკითხი ალბათ არაა უმთავრესი, რადგან საზოგადოებას ყოველთვის სჭირდება უმაღლესი და მიუწვდომელი იდეალი-

სიყვარული, ღმერთი, თავისუფლება. უფლის ნაბოძები თავისუფლების ძიებაა ასახული ბიბლიაშიც: მოსე ორმოცი წელი მიუძღოდა ებრაელებს უდაბნოში აღთქმული თავისუფლებისაკენ.ბუნებრივია, რამდენიმე თაობა ისე გაქრებოდა, თავისუფლება ილუზიად დარჩებოდა მისთვის. მაგრამ მთავარი ეს არაა, მთავარი მსვლელობაა, სწრაფვაა, ჩემთვის მოსეს ეს თავდაუზოგავი ლტოლვა მიზნისკენ სიმბოლურად იმას გულისხმობს, რომ საზოგადოებამ, რომელსაც მონობაში თვალი აეხილება, მონობაშივე უნდა ამოიქოლოს თავი, წარსულის ლაქები-უმწეობა, უსუსურობა, ურწმუნობა- სიკვდილით მოიშოროს და, რაც არ უნდა პესიმისტურად ჟღერდეს, ნათელია დასკვნა: თავისუფლებას მონობაში დაბადებული ვერ ეზიარება. მას მხოლოდ შემდგომმა თაობებმა უნდა მიაღწიონ და სწორედ ამ თეზისის ნათელი დასტურია დღევანდელობაც, გამეტებით დავეძებთ თავისუფლებას, თუმცა დანამდვილებით ვერ გაგვირკვევია, რაა უმაღლესი იდეალი და აგერ უკვე ორას წელზე მეტია, თავს ვიმშვიდებთ: „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენიაო!“

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ქარჩხაძე თავის რომანში თავისუფლების გააზრების საინტერესო ინტერპრეტაციებს გვთავაზობს, იგი ეხება ადამიანის პიროვნულ თავისუფლებას, თვლის, რომ თავისუფალი ქვეყნის შენება მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, მონებისთვის თავსმოხვეული თუ ნაჩუქარი თავისუფლება ანარქიას ემსგავსება და ქვეყნის დაღუპვას მოასწავებს. იგი ფილოსოფიურ ჭრილშიც განიხილავს თავისუფლების ცნებას და ასკვნის, რომ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, რადგან ადამიანი სოციალური არსებაა და ვალდებულია, სოციუმს ანგარიში გაუწიოს, ქართული ანდაზისა არ იყოს, მხოლოდ გიჟი შეიძლება იყოს აბსოლუტურად თავისუფალი, თუმცა საზოგადოების აზრის გათვალისწინება მონობა და მორჩილება კი არა, ყველაზე დიდი პასუხისმგებლობაა. რომანში მწერალმა აღწერა ის საზოგადოება, რომლის ნაწილსაც თავს მოულოდნელად დაატყდა თავისუფლება და დაიბნა, ხოლო ნაწილს თავს მოახვიეს და აიძულეს, ამ

გაუგებარი იდეალისთვის ებრძოლათ, ეს ბრძოლა, უიდეობიდან გამომდინარე, აბსურდულ შედეგს მოიტანდა.

## თავი მეოთხე

## ეროვნული ხასიათი და „განზომილება“

როგორც უკვე აღვნიშნეთ,ჯემალ ქარჩხაძის შემოქმედება განსაკუთრებით საინტერესოა, როგორც ერთგვარი მატიანე, რომელიც ობიექტურობით აღწერს თავის თანამედროვე ქართველთა სახეს და ზოგადად, ეროვნულ ხასიათს. ესაა მეოცე საუკუნის მიწურულის ქართული ორომტრიალი, ქართული ამღვრეული წყალი, რომელმაც ძალიან დიდი მსხვერპლი გამოიწვია- დემოგრაფიული, მორალური, ეკონომიკური. ამგვარ პოლიტიკურ-ემოციურ-კულტურულ ვნებათაღელვას ხშირად ასრულებს ხოლმე თითქმის გარდაუვალი პროცესი- ნიჰილიზმი. არც ქართულ ხასიათს გადაუხვევია ამ კანონზომიერებიდან. ცნობილია, რომ ყველა ეპოქას თავისი ღირებულებები გააჩნია, რომელსაც ხან შეურყევლად აღიარებს, ხანაც ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ მაინც ემორჩილება. ეს ყველაფერი ეპოქის ხასიათითაა განპირობებული. ანტიკურ პერიოდში მას მითოლოგია და ფილოსოფია განსაზღვრავდა, შუა საუკუნეებში გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა რელიგიამ, რამაც განაპირობა შესაბამის ღირებულებათა წარმოქმნა; აღორძინების ეპოქაში უპირატესობა ჰუმანისტურმა და საერო იდეალებმა მოიპოვეს; ახალ დროში- მეცნიერული და ტექნიკური პროგრესის ეპოქაში - წამყვანი ფასეულობა გახდა მეცნიერება და ტექნიკა. განსხვავებული ვითარებაა, როცა საქმე ეხება ნიჰილიზმს, რომელიც დამღუპველია ერისთვისაც და ბერისთვისაც.

მეოცე საუკუნის მიწურულს, მაშინ, როცა ჯემალ ქარჩხაძე წერდა, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი რთული პერიოდი იდგა, ეს იყო ერთგვარი კარნავალი,

რომელიც სასაცილო აღარ იყო, რადგან ბევრი სისხლი ახლდა მას. აღმოჩნდა, რომ ქართველი ერი არ იყო მზად გაეკეთებინა ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევანი, რადგან ღირებულებების არჩევანზეც ვერ შეთანხმდნენ, რაც სამოქალაქო ომით გამოიხატა და მერე ამ ფასეულობათა გადახედვამ ლამის ნიჰილიზმამდე მიიყვანა ხალხი. ცნობილია, რომ მუდმივი ვნებათაღელვა ხეირს არასდროს დააყრის ერს. კიდევ ერთხელ ვუსვამთ ხაზს:ის ვერც თვითმმართველობას შეგვაძლებინებს, გახელებული ბრბო ვერასდროს მოახეხებს ვერც საკუთარი თავის მართვას და ვერც- საზოგადოებრივი პროცესებისას. ბრბო, მასა ვერასდროს იქნება დემოკრატია, რომელიც ქაოტური სიმრავლის თვითდისციპლინირებულ ხარისხში გადასვლას გულისხმობს. ბუნებრივია, ერი, რომელიც ვერ ახერხებს გაერთიანებას, ვერ მიიღებს ვერც დემოკრატიას და ვერც უმთავრეს ღირებულებას - თავისუფლებას ეზიარება. იგი განწირულია გარდაუვალი მარცხისთვის. დღეს 21-ე საუკუნეა, მაგრამ ძირეული მენტალური ცვლილებები არ მომხდარა, როგორც ჩანს, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეები მემკვიდრეობით გვერგო იმ პერიოდიდან, როცა მონები ვიყავით, მონობა ხომ გადაგვარებასაც გულისხმობს. ჩვენი აზრი და გონება მიმართულია მხოლოდ ელემენტარულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოებას მაინც მოუწევს ძირეული გარდაქმნა და ამისათვის ჩვენ მზად უნდა ვიყოთ. მართალია, პიროვნება არ აგებს პასუხს საზოგადოებრივ პროცესებზე, მაგრამ ჭეშმარიტი სახალხო მმართველობა გულისხმობს თვითდისციპლინას, თვითაღზრდას, ნებისყოფის წრთობას. დემოკრატია, როგორც ღირებულება, გულისხმობს ჩამოყალიბებულ ეროვნულ ხასიათს, ზრდასრულ პიროვნებას, რომელსაც შესწევს თვითგამოხატვის უნარი ერის ცხოვრებაში.

ჯემალ ქარჩხაძის „განზომილებას“ ეპიგრაფად ახლავს სიტყვები: „ტრაგედია კომედიის ერთი აქტია“ და „კომედია ტრაგედიის ერთი აქტია“(გვ:3). ამ ეპიგრაფით თავიდანვე გამოკვეთილია მოვლენათა შეფასების ერთგვარი შეფარდებითობა და ტრაგედიისა და კომედიის გაერთმნიშვნელოვნების მცდელობა. ცხოვრება ჰგავს

სპექტაკლს და სწორედ მაყურებლის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე,მის ინტელექტზე, გემოვნებაზე, სოციალურ სტატუსზეა დამოკიდებული, ტრაგედიად ჩათვლის მას თუ კომედიად. თითქმის ისევე, როგორც სულხან-საბას იგავში „მოცინარი და მოტირალი“.

რომანში მწერალი უხვად იყენებს, ისეთ მხატვრულ ხერხებს, როგორებიცაა ირონია, გროტესკი, სატირა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ტროპული მეტყველების ამ სახეობის წინა პლანზე წამოწევას მწერლობაში ხშირ შემთხვევაში ეპოქა და რეალობის აღქმა განაპირობებს. ქარჩხაძის მწერლური მეტყველების სტილიც, ამ მხატვრული ხერხებიდან გამომდინარე, სერიოზულ-ირონიულია. „დასაბამ სიტყვაში“ , რომელიც რამდენიმე მიმართვისგან შედგება: ღმრთისა მიმართ, ხელისუფალთა მიმართ, საკუთარი თავის მიმართ, მკითხველთა მიმართ- ერთგვარად მონიშნულია რომანის მხატვრული განზომილების პირობითად ოთხი სხავადასხვა ალბათობა, გამოიკვეთება ოთხი უპირველესი შემფასებელი და, შესაბამისად, ოთხი სხვადასხვა სივრცე და არეალი.

„ამ ოთხ მიმართვაში ყურადღებას იქცევს თვითონ ავტორი-მთხრობელი. იგი ისეთივე პერსონაჟია, როგორც სხვები, ოღონდ უსახელო, პირობითად კი ჯემალ ქარჩხაძის სახელს „ამოფარებული“, მასთან სხვა პერსონაჟებზე მეტად იდენტიფიცირებული. ამ „დასაბამი სიტყვით“ იხატება მისი სულის პორტრეტი. „ღვთისა მიმართ“ სიტყვაში იგი წარმოგვიდგება სტილიზებულ მვედრებლად, უპირველესად, ღვთის შესაფასებელ ღვაწლად რომ მიიჩნევს მწერლობას. მას თანაბრად აქვს წყალობისა და რისხვის მოლოდინი დამსახურებისამებრ. ფარისევლებთან შეურიგებლობა და სიმართლის მსახურად თავის გამოცხადება მიმართვას პათოსით მუხტავს“ (ჯალიაშვილი, 2016:147).

სიუჟეტის მიხედვით, რომანის მთავარი პერსონაჟი მიემგზავრება სანაკლიოში, რომელიც, შეიძლება ითქვას, იგივე საქართველოა. სიმბოლურია სახელიც-სანაკლიო. ჩვეულებრივი დანიშნულების გამომხატველი აფიქსების დართვით ირკვევა, რომ ეს

ადგილი ნაკლის, ხინჯის მქონე ადამიანების სამყოფელია და თუ გავიაზრებთ, რომ ის საქართველოს მიკრომოდელია, მაშინ ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორი იყო მწერლის თანამედროვე ქართული რეალობა, ქართული საზოგადოება და რომელი ნაკლის ხაზგასმა წარმოადგენდა ქარჩხაძის მიზანს. რომანის პირველივე თავში - „დეკადენტური დილა“- მწერალი სანაკლიოზე წერს: „რა თქმა უნდა - და ყოველი ღირსი სანაკლიელი (რომელთა რიცხვი, სამწუხაროდ, დიდი აღარ არის) ჩემს ადგილას ამასვე გეტყოდათ- ბიძაჩემის ცნობა, ვითომც სანაკლიო უფსკრულში გადაჩეხილიყოს, არასწორი იყო. უფსკრულში რომ გადაიჩეხო,უფსკრულს ზემოთ უნდა იმყოფებოდე“ (გვ:14).

სანამ ამგვარ განსაცდელში ჩავარდნილ სანაკლიომდე მიაღწევს და მის დახსნას ჯერ დააპირებდეს და მერე შეძლებდეს, რომანის მთავარმა პერსონაჟმა დიდი გზა უნდა გაიაროს. მას თანამგზავრი ჰყავს, ქალი- სალომე ერისთავი. ესეც ერთგვარი, ტიპური ქარგაა - ზღაპრიდან აღებული. თანამგზავრი ქალი თითქოს ის მოდერნიზებული მზეთუნახავია, უმთავრეს სტიმულს რომ წარმოადგენს ზღაპრის გმირებისათვის. რა თქმა უნდა, არც დაბრკოლებებია უცხო რომანის პერსონაჟისთვის, მთავარი ხილული ბარიერი მაინც გვირაბია.

საინტერესოა გვირაბთან შეგროვებული ხალხის სახე. ხალხი, მართალია, ბრძენია, თუმცა ამ სიბრძნეს ხშირად მათივე გონების სიბნელე ეწინააღმდეგება. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ბოლო ათწლეულებშიც იყო პერიოდი, როცა პოლიტიკურმა თუ ანალიტიკურმა სიბეცემ ლამის ეროვნულ კატასტროფამდე მიგვიყვანა. ფაქტია, რომ როცა ერი განსაცდელშია, გამოსავალი გზის ძიების ნაცვლად წარმოსახვა, ხშირად აბსურდული და თითქმის მითიური, ცოცხლდება და კონკრეტული ადამიანი და ერი მენტალურ ჩიხში ექცევა, საიდანაც მისი გამოყვანა არიადნას გორგალს შეუძლია მხოლოდ, რაც, თავის მხრივ, გონიერების მეტაფორაა. რომანის მიხედვით, ხალხი, რომელიც მოულოდნელად აღმოჩნდა გვირაბის- მითოსური გამოქვაბულის წინაშე, უცნაურად ხასიათდება: „მინდა კიდევ რამდენიმე გავრცელებული ვერსია

დავასახელო, რათა თვალნათლივ გაჩვენოთ, თუ რაოდენ ფართო იყო დროისა და სივრცის ამ უცნაურსა და თავისებურ, ვინ იცის, სამყაროს წესრიგიდანაც ამოვარდნილ მონაკვეთში ჩვენი ინტელექტუალური, ფსიქიკური და შემოქმედებითი დიაპაზონი. მაგალითად, აქ მოისმენდით როგორც უაღრესად მწირსა და რეალისტურ (გვირაბის ჭერი ჩამოიქცა, გრუნტის წყლებმა ამოხეთქა, შუქი გამოირთო...) ისე, ნახევრადფანტასტიკურსა (გვირაბში ღამურები დაჩეკილან, ლოკალური მიწისძვრა მომხდარა და დიდ-დიდი ღრმულები გაჩენილა, გვირაბი დანაღმულია, გვირაბი ვიღაცას გადაუტიხრავს...) და საბოლოოდ ლაგამგადაღრღნილ ვერსიებს (მიწისქვეშა გამყინვარება დაწყებულა და გზა ყინულითაა დაფარული, მეტეორიტი ჩამოვარდნილა და გვირაბის ბოლო ამოუქოლავს, ვულკანი ამოფრქვეულა, უცხო მიზიდულობის ძალა გაჩენილა, რომელსაც მანქანები თავს ვერ აღწევენ, გასასვლელში მფრინავი თეფში ჰკიდია და, რომელი მანქანაც მოეწონება, მგზავრებიანად იტაცებს, გვირაბი შეცდომით ჯოჯოხეთის თავზე ყოფილა გაყვანილი და გოგირდს ამოუხეთქავს, შესასვლელში შონიას ხალხი დგას...“ (გვ:134).

რომანის საინტერესო თავია „აუდიორუქა“, რომელსაც, ფაქტობრივად, ეპოქის ამსახველი ეპიგრაფი ახლავს. მასში კარგადაა აღწერილი მეოცე საუკუნის ბოლოს ქვეყანაში არსებულიქაოსი. ეს ეპიგრაფი ერთმანეთისგან თითქოს შინაარსით დაუკავშირებელი, დაწყვეტილი ფრაზებისაგან შედგება და, ამავდროულად, ერგება ამ თავის სათქმელსაც: „დროის უეცარი მოსახვევი თავგადახდილ უფსკრულზე. დეკარტეს კოორდინატთა სისტემა გაზაფხულის ჭრელ ყვავილებში მარხია. მზე შუბლშეკრულია და დაეჭვებული, მოლოდინი- გრძელი და ამაო, მასშტაბი-არეული, კრიზისი- შეშუპებული, და ავტოჰიპნოზია ერთადერთი, რისთვისაც არა ჯებირი და არა დაბრკოლება არ არსებობს“ (გვ:234).

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში პროცესები ისე განვითარდა, რომ რეალობის ესთეტიკურმა სურათმა რეალობის ობიექტური აღქმა გადაფარა. საქართველოს „გლობალური უპატრონობის“ აღქმამ ხალხი ფრუსტრაციამდე

მიიყვანა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ მიმართულმა პროცესებმა ისტერიული სახე შეიძინა: ისტორიაში ჩვენი დაბრუნება ისტერიული ნაციონალიზმის აღზევებით გამოიხატა, ამასთან იწყება ერთგვარი მიტინგომანია, მიტინგური კარნავალიზაცია მიმდინარე მოვლენებისა- გადავედით პერმანენტული აქციებისა და საპროტესტო ყრილობებისრეჟიმში?! ქარჩხაძის აუდიორუქაში ქართველთა სწორედ ეს ქაოტური ხასიათია გამოკვეთილი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ფრაზაში: „ -აუ, აუ, აუ! შეხედეთ, აქეთა რვა ნომერია, იქითა ცხრა, ჭირიმე თქვენი, ახლა მიტინგს გამართავენ!“(გვ:98) და ისიც, რომ ეს მიტინგები და საპროტესტო აქციები უშედეგოა, ერთგვარ ინერციად იქცა, იქვეა დადასტურებული ფრაზით: „არ გტკივათ თქვენ ერის სატკივარი, თქვე გაოხრებულებო!“(გვ:98). ხალხის ამგვარი დაცემა, რა თქმა უნდა, უფრო მეტად ხელისუფლების უნიათობითაა განპირობებული, შეიძლება ითქვას, ხალხი და ხელისუფლება ერთმანეთის დეგრადაციას იწვევენ და ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო სწორედ მეოცე საუკუნის მიწურულსა და 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე. მწერალიც, რომელიც არ ღალატობს ობიექტურობას, პესიმისტურ, თუმცა საფუძვლიან დასკვნამდე მიდის: „თუ, მაშასადამე, სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია, ხოლო ხელისუფლება - მისი ტვინი, მაშინ საქართველოს ქრონიკული ტვინის ანთება სჭირს და, რაც დრო გავა, იგი უფრო და უფრო მძიმე ფორმას მიიღებს“ (გვ:131).ამგვარი პროცესები ყოველთვის დამღუპველად აისახება ხოლმე ერის ცნობიერებაზე და ძალიან ხშირად ერი მიდის იმ საზღვრამდე, როცა ვეღარაფერი გააოცებს და, შესაბამისად, ვეღარც მოქმედების სტიმულს დაინახავს. ანუ, „ყველაფერს ფეხებზე დაიკიდებს“ და რაც თვითონ არ შეუძლია, მოქმედებას ვგულისხმობ, არც სხვისას დაინახავს და თუ დაინახა, არ მოიწონებს და ასე იქნება ავი ძაღლის ფუნქციით, რაც საყოველთაო გულგრილობას და ნიჰილიზმს გამოიწვევს. ამ გულგრილობის ვარიაცია იყო ნაციონალიზმის წინა პლანზე წამოწევა. ქვეყანაში ორი ძირითადი ძალა იყო: გულხელდაკრეფილი მაყურებლები და აქტივისტები, რომლებიც ვერ აცნობიერებდნენ, თუმცა ძალიან ემსგავსებოდნენ იმ უმოქმედო მაყურებლებს, რადგან მათი ქმედება იყო უმიზნო,

გაუცნობიერებელი და ამიტომ-უშედეგო. სწორედ იმ „მაყურებლების“ მხილებასავით ჟღერს ფრაზა: „პატრიოტიზმი ღაბაბია, მგელიკავ, არაფერი საჭირო არ არის, მაგრამ არც არაფერს გიშავებს, თუ მეტისმეტად დიდი არ გაგეზარდა“(გვ:298).

აუდიორუკებში ჩანს ქართველი ხალხი- დაბნეული, მეზღაპრე, ცინიკოსი, მშიშარა, ცუდმედიდი, თავისუფლების სახელით მონობის მქადაგებელი. ის, როგორც ყველა წამხდარ სოციუმს სჩვევია, მხოლოდ სხვის ნაკლს ხედავს და საკუთარს საგულდაგულოდ მალავს, სხვისი დამდაბლებით თავის ამაღლება რომ სურს, რადგან თვითონ ვერასდროს ავა იმ სულიერ სიმაღლეზე, რაც, ზოგადად, მისაწვდომია. ცნობილია, რომ ყველაზე ხშირად უზნეობის მხილებას ის გადაწყვეტს, ვისაც მაინცდამაინც მოწესრიგებული არ აქვს ეს მხარე, ამიტომ თავად მწერლის სათქმელს ჰგავს ფრაზა: „ყველამ ჩვენ-ჩვენ გულში ჩავიხედოთ, ჩემო ვილმა. „ვერ ხელ-ეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა“, შენიშნავს მახარებელი. ჩვენ თუ ვბოზობდით იმ პერიოდში, შენც ბოზობდი. პარალელურადაც ბოზობდი, მიმდევრობითაც ბოზობდი და საერთოდ არავის არასდროს არაფერში ჩამორჩენილხარ. რაში გჭირდება ახლა ეს ფარისევლობა და ლეღვის ფოთლების აფარება, ვერ გამიგია“(გვ:190).

რომანის ერთ ეპიზოდში საუბარია იმაზე, რომ გვირაბში, რომელმაც მოძრაობა და გადაადგილება შეაფერხა და უამრავი ფანტასმაგორია შვა, შესვლა-შეუსვლელობა ადამიანთა ნებაზე  იყო მხოლოდ დამოკიდებული. იქ დაყოვნება ვიღაცის გადაწყვეტილებაზე ინერცია იყო. ეს, შეიძლება ითქვას, ერთგვარი ალეგორიაცაა: ნებისმიერი ერი ყოველთვის თვითონ აკეთებს არჩევანს, ნებით თუ უნებურად, თვითონ ქმნის იმ აწმყოს, რომელში ყოფნაც სურს. დაბრკოლებაც და წინსვლაც პიროვნული და მერე ერის საერთო არჩევანია: „აბა, რაღა გვაბრკოლებს? - ჩვენივ ნება. უკანასკნელ ხანებში რეალობის მუხტები მოგვაკლდა, სამაგიეროდ, ილუზიის მუხტები დაგვიგროვდა და წონასწორობაც დაირღვა. სინამდვილის სამეფოში გამონაგონი შეიჭრა. იქნებ ყოველივე ეს გრანდიოზული უგუნურებაა, მაგრამ,

როგორც ბიძაჩემი იონა იტყვის, უგუნურებაც ღვთისა და აუცილებლობის ნაშიერია და, რაკი შესაქმეში წვლილი აქვს შეტანილი, წილიც ერგება. ამიტომაც დაგვტრიალებს თავს გამუდმებით. ასეთ დროს სიფრთხილეა საჭირო. უწინარეს ყოვლისა, სიმშვიდე უნდა შევინარჩუნოთ, რათა, მრავალთა და მრავალთა მსგავსად, რაციონალიზმის ფესვებზე მდუღარე არ გადავისხათ“(გვ:370).

ჯემალ ქარჩხაძე ქართველი კაცის ფუნქციაზე, მის მორალურ სახეზე არა მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებებში საუბრობს, არამედ თავის პუბლიცისტიკაშიც. ეს გასაკვირი არაა, რადგან მწერლის უმთავრესი ფუნქციამხოლოდ საკუთარი თავის აღმოჩენა კიარაა, არამედ კონკრეტული ერის ტიპური ნიშნების აღიარება საკუთარ თავში. მწერალი თვლის:ჩვენი მთავარი პრობლემაა  ის სიყალბის პერანგი, რომელიც ეპოქამ ჩაგვაცვა, სხვაზე უკეთესად მოვირგეთ და მოვიხდინეთ. ქვეყანაში წყალი აიმღვრა, ორიენტირები გადაადგილდა, საზოგადოებრივი და სოციალური კრიტერიუმები დაიკარგა და ზნეობას საყრდენი გამოეცალა. უზნეო საზოგადოება ვერასდროს დააყრის ხეირს ვერც თავს და ვერც სხვას დაეხმარება, რომ იმ ვიღაც სხვამ მისი გადარჩენა შეძლოს. „განზომილებაში“ ვკითხულობთ: „საქართველო რომ დღეს ყრუ ჩანს, ბრმა და შეურაცხადი, მართლა ყრუ, ბრმა და შეურაცხადი არ გეგონოთ. მიზეზი სხვა ჭრილშია საძებნელი. კერძოდ: დღეს ქვეყანას ერთი ის დრო დაუდგა, როცა მორალურ და ინტელექტუალურ ფასეულობათა დიდი გადანაწილება უნდა მოხდეს და, ამ პროცესის გაიოლების მიზნით, ეს ფასეულობანი დროებით გარეთაა გამოტანილი. ამიტომ შიგნით სიცარიელემ დაისადგურა. დღეს, ჩემო კარგებო, საქართველო საგამოფენო დარბაზს ჰგავს, რომელშიაც ექსპოზიციის განახლება ხდება და ამიტომ სურათები ჩამოხსნილია“(127). ცხადია, რომ „ექსპოზიციის ამგვარ განახლებაში“ უმთავრესი ფუნქცია ინტელიგენციას ეკისრება და საზოგადოების სწორედ ამ ფენამ უნდა იკისროს ის უმნიშვნელოვანესი მისია, რასაც ქვეყნის ხსნა ჰქვია. თუმცა მეოცე საუკუნის მიწურული ამ თვალსაზრისითაც ერთგვარი გამოცანების წინაშეაღმოჩნდა, როცა ძნელი გახდა გარჩევა, ვინ იყო ინტელიგენციის ნაწილი და ვინ უბრალოდ ამ

იარლიყს იხდენდა. ამ მტკივნეულ საკითხს ჯემალ ქარჩხაძე შედარებით ვრცლად მიმოიხილავს თავის პუბლიცისტურ წერილში: „როგორც სინდისსა აქვს ბიოლოგიური შემკავებლის ფუნქცია, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარია, ისე ინტელიგენციას აქვს საზოგადოებრივი შემკავებლის ფუნქცია, რაც უფრო მაღალი ზნეობრივი საფეხურია და კანონიერებისა და სამართლიანობის საწინდარი. ამავე დროს, ინტელიგენცია, როგორც ერის სახე და მისი პოტენციის საზომი, სულიერი განვითარების მამოძრავებელი ძალაა, ზღაპრული რაშების მათრახიცა და ლაგამიც.

საქართველოში ასეთი ინტელიგენცია მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. საუკუნის მიწურულს ჩამოყალიბდა კიდეც და ჩვენმა ისტორიამაც შვებით ამოისუნთქა, რადგან სწორედ ეს იყო ერის გადარჩენის ერთადერთი პირობა. მეოცე საუკუნის დასაწყისში კი უკვე შეიძლებოდა ლაპარაკი არა მარტო იმაზე, რომ საქართველომ საბოლოოდ დააღწია თავი შუა საუკუნეების სიბნელეს, არამედ იმაზეც, რომ საქართველოს ამისთვის მინიმალური დრო დასჭირდა, რაც ერის დიდი შინაგანი ძალის მაჩვენებელი იყო.

დღეს ინტელიგენცია, არსებითად, არ გვყავს. ის რამდენიმე სანთელი, რომლებიც ჯერ კიდევ ანთია, მხოლოდ რამდენიმე სანთელია და ერთიან სინათლეს ვერ ქმნის. ოცდაათიანი წლების ნაჯახმა ჩვენსეროვნულ ხეს მთავარი ტოტები დააჭრა. საქართველო უმთავრესად სწორედ ინტელიგენციისაგან გაიწმინდა (ხეპრე ვერ იტანს!), ტრადიცია კი ჯერ კიდევ ვერ იყო ისეთი ძალისა, რომ გადაჭრილი ტოტების ადგილას ახალს ამოეყარა. ამას არც დრო უწყობდა ხელს და არც გონიერება. ინტელიგენცია რომ შეიქმნას იქ, სადაც ინტელიგენცია არ არის, პირველ რიგში, საჭიროა იმის აღიარება, რომ ინტელიგენცია არ არის. „ჩვენში კი დრომ და უგუნურებამ ხელოვნური ინტელიგენციის გამოჩარხვა სცადა. ეს უაზრობაც იყო და ძალადობაც, რადგან არაინტელიგენტს ისევე ვერ მოსთხოვ ნამდვილ ინტელიგენტობას, როგორც კოჭლს ვერ მოსთხოვ გამართულ სიარულს. კოჭლს

შეუძლია იხტუნოს, იცეკვოს, ირბინოს, მაგრამ გამართულად ვერ ივლის. ინტელიგენტობა კი სწორედ გამართულად სიარულია“(გვ:36). საინტერესოა ამ კუთხით ერთი პატარა „იგავი“, რომელსაც აუდიორუკაში ვკითხულობთ: ორმა ძმამ მიწის ორი ნაკვეთი რომ იყიდა, ერთმა დაამუშავა მიწა, გადააბრუნა, მეორემ იზარმაცა. შემოდგომაზე ბეჯითმა კარგი მოსავალი მიიღო, ზარმაცმა კი „ჩვენ რომ ვიცით, ის მიიღო“. ნათელია ამ „იგავის“ მორალიც: „საქართველოს გადაბრუნება სჭირდება. ერთი კარგად, ღრმად, საფუძვლიანად გადახვნა“ (გვ:348). ქვეყნის „გადახვნა“ ინტელიგენციას არ შეეძლო, ამისი არც ფიზიკური ძალა ჰქონდა და არც სულიერი პოტენციალი.

ქარჩხაძე ცდილობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამომწვევი მიზეზები იპოვოს და ახსნას. მწერალი თავის ერთ მოთხრობაში „რაჰათ ლუხუმი“ ქართველთა ერთ ყველაზე თვალშისაცემ თვისებაზე, ღალატზე ამახვილებს ყურადღებას. საქართველოს ისტორიასაც რომ თვალი გადავავლოთ, დავრწმუნდებით, რომ ყველაზე უფრორაც გვღუპავდა, სწორედ ჩვენი ხასიათის ეს თვისება იყო. თუ მტერი ვერაფრით გვამარცხებდა, ისევ ქართველი ხდებოდა იუდა და დიდი ყოყმანის გარეშე უღებდა ბოლოს თავის სამშობლოს: „ბუნებით ყველა გურჯი მოღალატეა, ოღონდ ეგ არის, ზოგს ეძლევა ღალატის საშუალება და ზოგს-არაო, მერე დაუმატა,- მაგრამ მოღალატესთან საქმის დაჭერას სიბრძნე სჭირდება, რადგან, ვინც მოყვარეს უღალატებს, ის მტერსაც უღალატებს, შენი მტრის მოღალატე ან უნდა მოკლა, ან დიდი ჯამაგირი გაუჩინო“ (გვ:77).ამ აზრს ავითარებს „აუდიორუკაში“ ერთი ქართველის გულწრფელი ამოძახილიც: „სამშობლო რავა უნდა გაყიდო, შე იუდა, და თუ ეშმაკმა არ მოგასვენა, ნუ გააპუსტიაკებ მაინც, ისეთი ფასი დაადე, ღირდეს!“(გვ:288). ეს ფრაზა, და ზოგადად, მთელი აუდიორუკა, ერთგვარი იუმორით იკითხება, თუმცა, როცა ეს შენ გეხება, ხვდები, რომ სულაც არაა უმტკივნეულო იუმორი, რადგან შენი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკლის მხილებაა და ამ ფონზე, საკმაოდ მძაფრი ემოციაც ახლავს. ბევრმა ქართველმა, როცა ნახა, რომ სამშობლოში წყალი აიმღვრა და საქართველო იმ გუბედ იქცა, რომელიც ყარდა და,

ამავდროულად, ძალიან მალე შრებოდა და ვერც მატერიალურად, ვერც სულიერად თავის შვილებს ვერ უზრუნველყოფდა, როცა ის აღარ იყო „მშობელი“ ქვეყანა იმ თვალსაზრისით, რომ ვეღარ კვებავდა თავის შვილებს, ჭკუა იხმარა და თავს უშველა, თავის მამულს გაეცალა. ეს იყო მშობელი ხალხით, ქვეყნით იმედგაცრუების ფიქსაცია: „მითხარით „შარაგზის ყაჩაღები“, „მათხოვრები“, „მონები“, „ხეპრეები“, „გაუთლელები“, მითხარით „სიბნელე“, მითხარით „ინსტინქტები“. მე ქართველი, ბატონო- ჩემი გულუბრყვილობით ალბათ- სხვა რამ მგონია. და თუ ვცდები, თუ ქართველი მართლა ეს არის და არა ის, მაშინ ჩაიბარეთ ჩემგან ქართველის სახელი და იმ პატიოსანი კაცისა არ იყოს, ეგერ რომ დაყუნცულა, მომეცით ჩემი ჰექტარნახევარი. მე გავდივარ, ბატონებო, საქართველოს შემადგენლობიდან!“(გვ:121). თუმცა არც ის ვარგა, მხოლოდ საკუთარი ქვეყნის ნაკლს ხედავდე და გეგონოს, რომ ყველგან უკეთესია, სადაც არ ხარ. ქართველი კაცის ხასიათში ეს ორი უკიდურესობა დომინირებს: ან ბრმა სიყვარული ან გაუაზრებელი გულგრილობა მშობელი ქვეყნის მიმართ. თუმცა არსებობს რაციონალური დამოკიდებულებაც და აუდიორუკის ერთი პერსონაჟიც გულწრფელი გაოცებით ესარჩლება ქართველს- თავის თავს: „რას გვერჩიან ამ ქართველებს ნეტა გამაგებინა! ან იქნებ ვინმეს ჰგონია, ასეთი რამ მარტო საქართველოში ხდება, აჰ?! ქურდებიც მარტო ჩვენში არიან, ბოზებიც, ჩათლახებიც, მკვლელებიც, ფარისევლებიც, უნამუსოებიც, დედლებიც, გამყიდველებიც, მკრეხელებიც, დამსმენებიც, ქვეშიდან გამომსვლელებიც, გონებადაბნელებულებიც, გაპიროტყვებულებიც, ხარბებიც, წამგლეჯებიც, მონებიც, ლაქუცებიც, პირმოთნეებიც, შემძრომებიც, გამომლოკავებიც, ვირეშმაკებიც, ბაქიებიც, ლაქიებიც, გოშიებიც, გუდაფშუტებიც, ორპირებიც, სამპირებიც, მრავალპირებიც, ორგულებიც, სამგულებიც, მრავალგულებიც, ჩასაფრებულებიც, მოღალატეებიც, დაუნდობლებიც, უკეთურებიც, ქვემძრომებიც, ქვეწარმავლებიც, ნაძირალებიც, გარეწრებიც. აჰ?! სხვებს ფრთები ასხიათ და ყოველ საღამოს ანგელოზებში დაიარებიან ყავის სასმელად, აჰ?!“ (გვ:122).

ჯემალ ქარჩხაძე თვლის, რომ ხალხის წახდენა ყველაზე მეტად ხელისუფლების უზნეობიდან გამომდინარეობს. თევზი თავიდან ყროლდება და ალბათ საზოგადოების გახრწნაც და დაცემაც ხელისუფლებაში მყოფებს უნდა მოეკითხოთ უპირველესად, რადგან ტახტზე ვინც ზის, ის არის ქვეყნის სახე და ღირსება, ჩონჩორიკი რომ დადო ტახტზე- ჩვენში ეს საკვირველი არცაა- ჩონჩორიკი იქნება ქვეყნის სახე და ღირსება. ისიც საკითხავია, რაში სჭირდება ქართველ კაცს ხელისუფალი და მის მიერ მიღებული კანონი. რაა მთავარი- გონივრული კანონის უზენაესობის აღიარება და მორჩილება თუ ხელისუფლის შიში, მონობა ან მლიქვნელობა. მწერლის დასკვნა ასეთია: „ქართველებს, ჩემო, იგი კი არ უნდათ, რომ კანონი ქონდესყენ, ქართველებს იგი უნდათ, რომ კანონი ყავდესყენ" (გვ:148). ამგვარი დამოკიდებულება იწვევს იმ ქაოსს, ბოლო ათწლეულებია რომ გრძელდება და ვერაფრით ჩამოგვაყალიბა იმ ერად, ანგარიშგასაწევ ინტელექტუალურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სამხედრო ძალად რომ მოიაზრება მსოფლიო ასპარეზზე. ქართული ენერგია, ბუნებრივია, არსებობს, მაგრამ ის არაპროგნოზირებადი, უმართავი, უჯებირო ძალაა- შესაბამისად, ვერასდროს იპოვის თავის ადგილს და მუდმივად უშედეგო იმპულსურ ქმედებად დარჩება. „რა არის ისეთი, მეორეხარისხოვან ნიშნებს რომ მოვეშვათ, რაც არც სულიერია და არც უსულო?

-კერძოდ?

-ფალოსი!

-ფალოსი... თქვენ ამტკიცებთ, რომ ფალოსი ვართ?.. ასე ერთობლივ...

- ჩვენ არა გვაქვს მწყობრი ცნობიერება და თეორიული საყრდენი. ჩვენ გვაქვს ფეთქებადი ენერგია და სტიქიური მგრძნობელობა. ჩვენი მოქმედება იმპულსური და შემოქმედებითია. ამაზე მეტს რა საბუთს ითხოვთ?" (გვ:186).როცა ერს ამგვარი ხასიათი გააჩნია, ბუნებრივია, ყველაზე სახიფათო, რასაც შეიძლება, რომ ითხოვდეს, თავისუფლებაა. თავისუფლება ისედაც ძალიან სახიფათო ცნებაა. რა არის

თავისუფლება? ხშირად ადამიანი ამას უფრო გრძნობს, ვიდრე განმარტავს. საფრთხეც ამაშია! ეს ცნება იმდენად ახლოა ადამიანის სულთან, რომ ყველაფერი, რაც მას უკავშირდება, ორ ნაწილად იყოფა- ბედნიერებად და უბედურებად. თუ თავისუფლება მხოლოდ გულთან არის დაკავშირებული, საქმე ცუდადაა- ემოციური აღქმიდან ფანატიზმამდე ერთი ნაბიჯია. არც მხოლოდ გონებასთან კავშირია მოსაწონი, აბსოლუტური რაციონალიზმი მთავარ ხიბლს- ემოციურ მუხტს უკარგავს თავისუფლების ცნებას.

ხშირად ამბობენ, რომ თავისუფლება მიზანია. ამ მოსაზრებას ალბათ, ძნელია, დავეთანხმოთ, რადგან ადამიანის არსებობის მიზანი მხოლოდ ერთი რამეა- ბედნიერება. თავისუფლება საშუალებაა იმისათვის, რომ ბედნიერი იყო. გაცნობიერებული თავისუფლება ადამიანს საშუალებას აძლევს, რომ უფრო სამართლიანად იცხოვროს და ვინც თავისუფლებას უზენაეს მიზნად მოიაზრებს, ძალიან ზარმაცია იმისათვის, რომ დაფიქრდეს, რა უნდა გააკეთოს მისი მოპოვების შემდეგ.

ეს იყო სწრაფვა ფორმალური, გაუაზრებელი თავისუფლებისაკენ, რასაც აკლდა უმთავრესი რაციონალური ასპექტი: ადამიანი რომ მონა იყოს, აუცილებელი არ არის ბატონი ჰყავდეს. არც ის იცოდა ქართველმა ერმა იმ პერიოდში, რომ მხოლოდ სამოქალაქო დაუმორჩილებლობით ეროვნულ დამოუკიდებლობას- თავისუფლებას ვერ მოიპოვებდა. არც შიშის ფაქტორი იყო გამოსარიცხი იმ პერიოდის ვნებათაღელვიდან. არა აქვს მნიშვნელობა, ვისი გეშინია, შინაურის თუ გადამთიელის. ეს შიში ხანდახან სიყვარულსაც შეიქმსო, ამბობენ და ჩნდება ერთგვარი დამოკიდებულება ვინმეზე, შეჩვეული ჭირის სიყვარული და შეუჩვეველ ლხინთან მისვლის დაზარება, ეს სიტყვებიც ქართული ხასიათის გამომხატველია.ამგვარი ხედვის სიმპტომები დღემდე შესამჩნევია, მართალია, უფროს თაობაში, მაგრამ მაინც. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფრაზით

ქართველთა კიდევ ერთ თვისებას გაესვა ხაზი- უმოქმედობას, სხვისი ხელის შემყურეობას, რაც სიზარმაცესაც გულისხმობს და მორჩილებასაც.

„განზომილებაში" ქარჩხაძე დეტალურად აღწერს სანაკლიოში თავისუფლების ფეხის მოკიდების მცდელობას. ეს პროცესი ერთგვარი პაროდიაა რეალობისა. ამავდროულად, ობიექტური ასახვაც, გვერდიგვერდ თავსდება ისეთი შეუსაბამო ცნებები, როგორებიცაა დირექტიული თავისუფლება. ესეც 90-იანი წლების კარნავალის კარგად მორგებულ სათაურს ჰგავს. რომანის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი, იონა კამკამიძე კარგახნიანი, მაგრამ მაინც უშედეგო კრების დასასრულს ამბობს: „რაკი კონცენტრირებული წრეების თეორია- თავისთავად სავსებით სწორი- შექმნილ პოლიტიკურსა და ფსიქოპოლიტიკურ ვითარებას ვერ მიესადაგა, ისღა დაგვრჩენია, ბატონი კრეონტის მოსწრებული თქმისა არ იყოს, ხალხს თავისუფლება მივცეთ, - აქ ცოტა შეყოვნდა, რათა მსმენელთათვის საშუალება მიეცა კარგად მიმხვდარიყვნენ, რა კატასტროფის წინაშე იდგნენ. მერე, ამ მიზანს რომ ასე თუ ისე მიაღწია, დამსწრეთა ნერვიული ჩურჩულის ფონზე განაგრძო, - სამწუხაროდ, ქვეყანა დღეს განვითარების (თუ ამას განვითარება ჰქვია) ისეთ სტადიაშია, როცა ცხადზე უცხადესი დებულებებიც კი აქსიომათა ნუსხაში ვერ მოხვდა და დასაბუთებას საჭიროებს. ხოლო რაკი ყველაზე ძნელი სწორედ ამ დებულებათა დასაბუთებაა, რომლებიც უსაბუთოდაც ნათელია, ჩვენც მძიმე და მომქანცველი შრომა მოგველის.

ქარჩხაძე „განზომილებაში" იმ დაბნეულობას გამოხატავს, რომელიც ყოველთვის ახლავს ხოლმე ნაჩუქარ, ნაბოძებ, თავს მოხვეულ თავისუფლებას. ესაა ალბათ სწორედ „მოუხმარელ-ტრაგიკული" თავისუფლება. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამ პროცესმა იდეოლოგიური ქაოსიც შვა. ამ ქაოსის ფიქსაციაა იონა კამკამიძის შეფასება: „თუ შეცდომის ჩადენა ცნობიერების ნიშანია, ხოლო ჩადენის ინტენსივობა გონების ხარისხის მაჩვენებელი, შეცდომის აღიარება სულიერების ნიშანია, ხოლო აღიარების ინტენსივობა თავისუფლების ხარისხის მაჩვენებელი. და რაკი სანაკლიოში თავისუფლება სწორედ თავისუფლებისგანაა თავისუფალი, ჩვენი

რეფორმისტული ვალია, პირველ რიგში, ქალაქის თავსა და ტვინს ავყაროთ ბორკილები, რათა სრულიად სანაკლიოს ამით ბორკილთმსხვრევის ნიშანი მივცეთ, - აქ, ბატონ კრეონტს რომ დაღრეჯილობა შეატყო, ხმაში თაფლი და შაქარი შეურია, - საშიში არაფერია, დასაწყისისთვის ერთი პატარა შეცდომა გვეყოფა, რომელსაც ვინმე ერთგული და სანდო მუშაკი პრესის მეშვეობით საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანს, რათა ამ პატარა სასწაულის შემხედვარე ქალაქმა თქვენი რეალური თავისუფლება თავის პოტენციურ თავისუფლებასთან გააიგივოს და საბოლოოდ დარწმუნდეს, რომ იერარქია მოჩვენებითია. ყველანი ერთსა და იმავე პალოზე ვართ გამობმული. მთავარიც ეს არის. სანაკლიელი კაცი ხომ თავისუფლებას განიხილავს, როგორც შეფარდებით სიდიდეს, რომელშიაც არსებითია არა თავად თავისუფლება, რომლის განსაზღვრა მას დამოუკიდებლად არ ძალუძს, არამედ ის, რომ ყველანი ერთ ტაფაში ვიხრაკებოდეთ“ (გვ:204).

სანაკლიოს მალე მოედო თავისუფლების ეპიდემია, თავისუფლების ცნება იმ მეწველ ძროხად იქცა, მთელი ქვეყანა რომ დაედევნა და ყველა იმას რომ ცდილობდა, როგორმე თავის ქოთანში მოეწველა, დაიწყო მასშტაბური თამაში იმ თავისუფლებობანასი, რასაც არც თამაშის წესები მოჰყოლია თან და არც მეთვალყურე. შეიქმნა უამრავი აბსურდული იდეის და იდეოლოგიის მქონე პარტია თითო-ოროლა მიმდევრით და ეს პროცესი ტოტალური პატრიოტიზმის ფონზე მიმდინარეობდა, პატრიოტიზმის ცეცხლზე შედგმულ ქვაბში კი, სადაც ნაკურთხი წყალი თავდაუზოგავად დუღდა, ყველაფერი ჩაიხარშა. ამ ყველაფერს თან ახლდა სინდისის ხმის შესუსტებაც ადამიანში, შესაბამისად, ერშიც. ყველა ადამიანში არსებობს დაკვირვების და თვითმხილების ერთი წერტილი, რომლის დაბინდვისა თუ გაქრობის შემდეგ მის ადგილს ათასი უშედეგო ინერცია დაიკავებს და ადამიანი დაკარგავს ყველაზე მთავარს, გულწრფელობას. არადა, გულწრფელობა სულის ის წარმოსახვითი კუნთია, რომლის ფუნქციის მოშლამაც შესაძლოა ბევრი დაავადება გამოიწვიოს, ასე დაემართა ქართველ კაცს და ასე დაემართა საქართველოსაც. ქართველებმა ვერ გააცნობიერეს ყველაზე მთავარი, როცა თავისუფლების არსს

ჩაჰკირკიტებდნენ, რომ თავისუფლება შეუძლებელია დისციპლინის, კანონმორჩილების გარეშე. თავისუფლება აზროვნების თანმხლებია, აზროვნება კი გულისხმობს საგნების გარჩევას და მათ შორის ღირებულებათა გადახედვას. ხოლო დისციპლინა ამ პროცესის მომწესრიგებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქაოსი გარდაუვალია. და რაკი ქართველებს პერიოდულად შემოგვიტევს ხოლმე ჩვენი მითოლოგიური წინაპრის- ამირანის ხასიათი, ერთბაშად ავჯანყდით ყველას და ყველაფრის წინააღმდეგ, საკუთარ ძმასაც და საკუთარ თავსაც ავუმხედრდით, ამის ყველაზე ნათელი და დრამატული მაგალითი სამოქალაქო ომია, რომელმაც ზუსტად გახაზა ჩვენი ხასიათის მთავარი ნიშანი- ცუდმედიდობა და გაუაზრებელი მოქმედება. თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს ქაოსი, რამაც მეოცე საუკუნე „დააგვირგვინა", მხოლოდ ქართული რეალობა იყო. იგივე ხდებოდა ყველა „მოძმე რესპუბლიკაში", გარდაქმნა მშვიდობიანი არსად ყოფილა. დაიწყო არა კონკრეტული პერიოდის, არამედ მთლიანად ისტორიის გადაფასების პროცესი. ყველაზე ნიშანდობლივი ასპექტი იყო ბელადის ძებნა, იმ ადამიანის, ვინც წინ წაუძღვებოდა, იხსნიდა მასებს და გადაჭრიდა ყველა პრობლემას. ეს კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ძალაუფლების ყველა ძველი ავტორიტეტი დაემხო და აუცილებელი გახდა მათი ჩანაცვლება ახალი ავტორიტეტით, რომელსაც მასების კოლექტიური სიშმაგე აძლევს დასაბამს. არავინ აფიქსირებდა ხმამაღლა, მაგრამ აშკარა იყო ხალხის ემოციურ-ინსტინქტური მოთხოვნა- ბელადი პურს უნდა არიგებდეს და სანახაობებს მართავდეს. პურის დარიგება, მართალია, კვლავაც პრობლემად რჩებოდა, მაგრამ სანახაობაზე არც ერთი ბელადობის მსურველი არ ამბობდა უარს.

ყველაფერი, რაც „განზომილებაში" აღწერილ მოვლენებში ხდება, უფრო მეტია, ვიდრე ისტორიული ეპოქის დასასრული. ეს ერთგვარი სამსჯავროა, თითქოს სწორედ მეოცე საუკუნის დასასრულს გამოვლინდა ხანგრძლივი ისტორიული პროცესის ყველა შედეგი, ამასთანავე, გარდაუვალი გახდა ისტორიისა და მისი მარცხის გამოაშკარავება და სამსჯავროზეგამოტანა.ამ შედეგებმათავი იჩინა ნაციონალურ,

პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, სულიერებაშიც: კულტურაში, ლიტერატურასა და ფილოსოფიაში, რადგან აქაც დაირღვა ადამიანური არსებობის მთლიანობა. „განზომილება“ ამ კუთხით ეპოქის გასამართლების მცდელობას წარმოადგენს.

ქარჩხაძემ მოგვცა თავისუფლებისძალიან საინტერესო ინტერპრეტაცია:ის სოციალურ ცხოვრებაში პარადოქსია და მრავალ წინააღმდეგობას ბადებს მენტალურ ასპექტშიც და პრაქტიკულ ცხოვრებაშიც. ესაა პერიოდი, რომელსაც თავისუფლების დეკადანსი შეიძლება ვუწოდოთ. თავისუფლების ფორმალურმა გაგებამ არათავისუფლებამდე მიგვიყვანა. თავისუფლება გამოცხადებულია, ნაზოძებია, მორთმეულია, მაგრამ შეუძლებელია რეალიზებულ იქნას საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ. მით უმეტეს, რომ ეკონომიკური თავისუფლება ადამიანის რეალური თავისუფლების აბუჩად აგდებად და გამასხარავებად იქცა. განზე დარჩა და შეუმჩნეველი აღმოჩნდა თავისუფლების ოპტიმალური გააზრება, რომ ადამიანის პიროვნული თავისუფლება სოციალური კი არა, სულიერი სათავიდან იღებს სათავეს, ის სოციალურ კი არა, სულიერ სამყაროშია საძიებელი.

ასე ზუსტად იმ პერიოდის აღწერა და დახასიათება, როგორც ამას „განზომილებაში“ ვხვდებით, შეუძლებელია. ქართული ხასიათი ყველაზე კარგად სწორედ თავისუფლებასთან მიმართებით გამოვლინდა და ისევ ტიპური ნაცარქექიული სურათი იხატება: სანამ გვეშინია, ჩუმად ვართ, ჩვენთვის ვართ, თვალებსაც ყველაზე მაგრად ვხუჭავთ, რომ რეალობა, რაც შეიძლება გვიან აღვიქვათ - მაშინ, როცა ის უკვე წარსულად იქცევა, რომ პასუხი ჩვენ აღარ მოგვეკითხებოდეს და პასუხისგებლობის მძიმე ტვირთი ვერც სხვამ აგვკიდოს და არც ჩვენ დავიმძიმოთ თავი. მაგრამ საკმარისია, ვიღაცის ან რაღაცაზე გამარჯვების იმედი გაგვიჩნდეს, მაშინვე ნაცარქექიობის მეორე ეტაპზე გადავდივართ და ხრიკებით ვცდილობთ ფონის მოძებნას, ისეთი ფონის, ჩვენ რომ სამშვიდობოს გაგვიყვანს და სხვას ბოლოს მოუღებს.

როცა ქვეყანაში ყველა ფიქრობს მხოლოდ გადარჩენაზე და ეროვნული სხეული, ეროვნული და ტერიტორიული მთლიანობა არავის ადარდებს, ეს ერისთვის ერთგვარი კოლაფსია, რომელიც, დიდი ალბათობით, შესაძლოა, რომ პირდაღებული უფსკრულით დამთავრდეს. ასეთი დამოკიდებულების ლოგიკური შედეგია ანარქია. ამ ქაოსს ისევ სატირულად აღწერს ქარჩხაძე:

„ვიღაცამ რაღაცა ვერ მოზომა და არაფერს, რომელზედაც თავისუფლება ისე იყო გამობმული, როგორც ძროხა თეორიულ პალოზე, ყავლი გაუვიდა. პალო დრომ შთანთქა და ძროხამ თავი აიშვა. იდეა იდეოლოგიის კონტროლს დაუსხლტა და თავისუფლება ეპიდემიად იქცა.

თუმცა - მეტაფორა მეტაფორად- და შიგადაშიგ თუ რეალურ ღრმულებსა და შვერილებსაც არ მივხედეთ, შეიძლება მეტი მოგვივიდეს. მეტაფორა მხატვრულ ნაწარმოებში იგივეა, რაც პილოტი თვითმფრინავში. უპილოტოდ თვითმფრინავის ფრენა ძნელია, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია უთვითმფრინავოდ პილოტის ფრენა.

როდესაც არაფერი მზეზე გადნა, როგორც ყინულის პალო, და თავისუფლების ძროხა თავისუფლების უპატრონო ძროხად გადაიქცა, მთელი ქვეყანა მას დაედევნა. ყველა იმას ცდილობდა, ძროხა თავის ქოთანში მოეწველა. ამას ანარქია ეწოდება“ (გვ:219).

ბუნებრივია, სამყაროსგანვითარებისპრინციპიდანგამომდინარე, როცაერთიკვდება, მისნაცვლადსხვავინმეუნდაიშვას, ესააბუნების კანონი დაესაახანდახან- პროგრესიც. საქართველოცთავისნანგრევებსუნდადაყრდნობოდადახელახლაწამომდგარიყოფეხზე, უნდაგაეგრძელებინაგზა. თუმცაძალიანდიდიიქნებოდაცდუნებაუკან- მისტიკურგამოქვაბულშიდაბრუნებისა. „განზომილებაში“, აუდიორუკაშიერთიასეთიფრაზაისმის: „ჯერსადახართ! სანატრელიგაგიხდებათკომუნისტები!“ (გვ:122)დასაფიქრებელიაიმკუთხით, რომუკვეოცდამეერთესაუკუნისმეხუთედილამისჩავლილია, მაგრამმენტალურირევოლუციაჯერკიდევშორსაადადღემდეშევხვდებითჩვენსქვეყანა შიამსინანულითმცხოვრებადამიანებს.

განსაკუთრებული ირონიით აღწერს ჯემალ ქარჩხაძე პროცესს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მას მერე განვითარდა, რაც ერმა კონსოლიდაცია გადაწყვიტა, რა თქმა უნდა,სრულ გაერთიანებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო, მაგრამ ის მცდელობაც საინტერესოა, რასაც რამდენიმე ადამიანის სურვილი განსაზღვრავდა, ყოფილიყვნენ ლიდერები, წინამძღოლები, იდეოლოგები. როგორც სოკო ნაწვიმარზე, ასე წამოიშალა სანაკლიოშიც სხვადასხვა პარტიები, კავშირები, ჯგუფები, გაერთიანებები, ასოციაციები... ცალკე აღნიშვნის ღირსი იყო ქალთა ორგანიზაციები: სანაკლიელ ზანოვანთა კავშირი, სრულიად თავისუფალ მანდილოსანთა ასოციაცია, ვეტერან დიაცთა კლუბი, მამალი ქალების გაერთიანება, უბიწო ასულთა საქველმოქმედო საზოგადოება, ასოციაცია „ჟუჟუნა", შავგვრემან ქალთა კავშირი, ყოფილ ქალწულთა ინტელექტუალური ცენტრი, მოიერიშე დედათა ორდენი, ღმერთთან მოუბარ ქალთა სექტა ... ამ დაჯგუფებათა სახელწოდებებიც უკვე ირონიულია. ბუნებრივია,ისინი ხეირს ვერ დააყრიდნენ საქართველოს, პირიქით, კიდევ უფრო დააჩქარებდნენ მის განადგურებას. მართალია, სანაკლიოში ყველა თვლიდა, რომ საჭირო იყო გაერთიანება, რადგან ყველას წაკითხული ჰქონდა „წკეპლების კონის იგავი", მაგრამ აღმოჩნდა, რომ თეორიული ცოდნა სხვა რამეა და ამ ცოდნის პრაქტიკული განხორციელება- სხვა. ერთადერთი საერთო ნიშანი, რომელიც ყველაზე ადვილად შეიმჩნეოდა და რომელზეც არავინ დაობდა, იყო მმართველი კასტის თითქმის თანდაყოლილი სიძულვილი, ოღონდ ისეთი, რომელიც ალტერნატიულ ოპტიმალურ ცვლილებებზე ფიქრს გამორიცხავდა. ამ ნიშნით რომ დააპირეს გაერთიანება, „ფეთიანმა და პანიკიორმა მორალისტებმა, რომელთა რიცხვი ჩვეულებრივ მით უფრო დიდია, რაც უფრო გავარვარებულია საზოგადოება, სავარაუდო გამაერთიანებელ ნიშანს მყისვე ზნეობრივი სარცხვინელი გაუშიშვლეს და ისეთ დროს დაიწყეს ჭიჭყინი, - სიძულვილის ირგვლივ შემოკრებილი ძალა, -შენ ხარ ჩემი ბატონი, - არ შეიძლება თავისი უღრმესი დანიშნულებით ბოროტების სამსახურში არ იდგესო, რომ ორჭოფთა, დაეჭვებულთა და გულსუსტთა ჯერ კიდევ რიცხვმრავალ გუნდში ბევრი დაფრთხა" (გვ:220). მერე პატრიოტული ნიშნით სცადეს გაერთიანება.

სანაკლიელებიც დიდი ნეტარებით ჩაიძირნენ პატრიოტიზმის თბილ აბაზანაში, მაგრამ პარტიებმა საერთო ენა მაინც ვერ გამონახეს, პატრიოტიზმის წახნაგები დაითითოვეს და ერთმანეთზე იერიშით გადავიდნენ, მერე, რაკი სახალხო შეიარაღების ახალი ეტაპიც შეესწროთ, კრიჭაში დგომა აღარ იკადრეს და პირდაპირ ბრძოლის ველს მიაშურეს: „იარაღის ჟღარუნმა მალე მოსახლეობაც აატროკა, ატროკებულმა მოქალაქეებმა ფსიქიკის ინდიკატორზე ისარი ლმობიერებიდან მსწრაფლ ულმობელობაზე გადაიყვანეს, გულჩვილობიდან გულქვაობაზე, შემწყნარებლობიდან დაუნდობლობაზე, თვინიერებიდან აგრესიულობაზე და, რაკი რომანტიზმის ისარი ადრევე ჰქონდათ გადაყვანილი პრაგმატიზმზე, გატაცებით ეკვეთნენ ერთმანეთს.

სწორედ ეს კვეთება, სწორედ ეს დუღილი, სწორედ ეს უცნაური და უჩვეულო ამოძრავება, სწორედ ეს ეროვნულ-პატრიოტული აპილპილება გახლდათ მეორე ნასკვი და იგი, თუ სანაკლიელის ბუნებრივ მიდრეკილებებს გავიხსენებთ, არანაკლებ საკვირველი და მოულოდნელი იყო, ვიდრე პირველი ნასკვი." (გვ: 133)

მიუხედავად იმისა, რომ მწერალი საუბრობს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, ერთგვარ საკვანძო მომენტებზე ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, დაუფარავად ამხელს ქართველს, ეს მხილება თავისთავად უზარმაზარი სიყვარულია და იმედი, რომ ნაკლის გამოსწორება და მისი ღირსებით ჩანაცვლება შესაძლებელია, თუ მოინდომებ.

თხრობა შემსუბუქებულია მთხრობელის ირონიულ-მორალისტური შეფასებებით. ყველა მორალისტური სენტენცია, რომლებიც აუდიორუკაში „გვესმის", იმიტომ იწვევს ღიმილს, რომ საზოგადოებაში, სადაც ადამიანები ცხოვრობენ ტოტალურ ცრურწმენაში, შიშში, მორჩილებაში, შეუძლებელია ყველაზე ღრმა მორალსაც საფუძველი არ ჰქონდეს შერყეული. ხანდახან ისეც ხდება, რომ ყველა მორალი სასაცილოა იმ დიდ მორალთან შედარებით, რომელიც არ ჩანს, რომელიც მაშინ ხდება საცნაური, როცა საზოგადოება ზნეობრივ სრულყოფას შინაგანად

მიელტვის და აღწევს კიდეც. სხვა შემთხვევაში, როცა ადამიანებს კუჭი უხმებათ, როცა განუკითხაობაა, როცა იმარჯვებს ის, ვისაც ფიზიკური ძალა აქვს, როცა უპირატესია ის, ვისაც ბევრი ფული აქვს და ნაკლები ჭკუა, ბუნებრივია, ამგვარ სოციუმში მორალის ქადაგება წყლის ნაყვას ჰგავს და ამიტომ, როგორც ყველა უშედეგო შრომა, სიცილს იწვევს.

ჯემალ ქარჩხაძე მკითხველს უხსნის, რატომ აღწერა თავისი რომანის პირველ ნაწილში ასე დაწვრილებით თანამედროვე ამბები, ის, რაც მწერალმა თავისი თვალით ნახა, მომდევნო თაობებისთვის დაიწერა.მისიაზრით, ასეთი მომენტები და ეპიზოდები აუცილებლად უნდა აღინუსხოს იმ კეთილშობილური მიზნით, რომ, როცა მომავალი თაობაც მსგავს ჩიხში მოექცევა, და ეს, ქართული ხასიათიდან გამომდინარე, გარდაუვალია, სწორედ მაშინ გადაიკითხოს და შედარება-გაანალიზება შეძლოს: „რა არის, კაცმა რომ იკითხოს, ისტორია? ვინც ჩაუღრმავდა, ალბათ მიხვდა კიდეც, რომ ისტორია არის  არა ფაქტი, არა ხდომილება, არა რეალობა, არამედ სუბიექტურ ინტერპრეტაციათა სპექტრი, თავის მხრივ, სწორედ სუბიექტური ინტერპრეტაცია გახლავთ ის უპირველესი დინამიური უნარი- ამას ისე ვამბობ, სასხვათაშორისოდ, -რისი წყალობითაც ადამიანი ფაზერია და არა კომპიუტერი). დიახ, ისტორია სუბიექტურ ინტერპრეტაციათა სპექტრია და რაც უფრო ფართოა ეს სპექტრი, რაც უფრო მეტი განსხვავებული ინტერპრეტაცია ჩაიდება ისტორიის კართოტეკაში, მით უფრო მტკიცე იქნება დროთა კავშირი, ისტორიაც მით უფრო მიუახლოვდება საკუთარ თავს და შთამომავლობასაც საშუალება მიეცემა- ამასაც ხომ, ბოლოს და ბოლოს, მნიშვნელობა აქვს- ისეთი ძეგლი დაგვიდგას, როგორსაც ვიმსახურებთ“ (გვ:229) - ამ სიტყვებიდან გამომდინარე, ნათელია მწერლის მიზანი. ის, რაც ძლივს გადავიტანეთ, ის, რამაც გამოგვააშკარავა და გამოგვავლინა, უნდა აღიწეროს სამომავლო პროგნოზებისთვის.

რაც შეეხება ეროვნულ ხასიათს, ის ყველაზე მეტად მაშინ იკვეთება თავისი უამრავი წახნაგით, როცა ქვეყანაში წყალი იმღვრევა და არსებობისთვის ბრძოლა

ადამიანებს აიძულებს მიჩქმალული ენერგია წარმოაჩინონ, თავი გამოავლინონ. მეოცე საუკუნის მიწურულს ალბათ ქართულ ლიტერატურაში არ დაწერილა ასეთი ტექსტი, რომელიც პირუთვნელად გამოკვეთდეს ქართულ იდენტობას. რომანის დასაწყისში მთავარი პერსონაჟი ჩვეულებრივი ინდივიდია, რომლის ინდივიდუალურობა მაშინვე ქრება, როცა გამოქვაბულის- მისტიკური განსაცდელის წინაშე აღმოჩნდება და ძალიან მალე ის ემსგავსება დანარჩენებს- დემოსს, რომელსაც სასწაული ძალა აქვს, თავის ტაფაში მოხრაკოს ყველა და დაიმსგავსოს, თავისი სახე მისცეს, მოირგოს. გზის მოდელს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხელოვნებაში. გზასთან დაკავშირებული ტექსტური პარადიგმები მოქმედების დაუსრულებლობის, მიღმურ სამყაროსთან კავშირის და მომავლის მეტაფორაა, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს კინოფილმების დასასრულს - ბევრი ფილმი მთავრდება კადრით, როცა მთავარი პერსონაჟი გზას მიუყვება ან გზაჯვარედინთან დგება, რაც მის ცხოვრებისეულ არჩევანს გულისხმობს სიმბოლურად.

„განზომილებაში" ქართული ხასიათი ბევრი წახნაგით გამოიკვეთა, ირკვევა, რომ ყველაზე თვალსაჩინო თვისება, რაც მეოცე საუკუნის მიწურულში მცხოვრებ ქართველ კაცს ახასიათებს, დაბნეულობაა. მას უჭირს ერთმანეთისგან მტრის და მოყვრის გამიჯვნა, მონობის და თავისუფლების გარჩევა, მას არც მიზანი აქვს, უბრალოდ ინერციას ირჩევს და ასე ცდილობს თავის გატანას და დამკვიდრებას, მას არც ღირსეული წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია მოწინააღმდეგისთვის, რადგან აკლია ყველაზე მთავარი- ერთსულოვნება. ქართველები, რომანის მიხედვით, ვერ ახერხებენ საერთო იდეით გაერთიანებას და ამიტომ მხოლოდ ერთმანეთის მტრობაში, გაკიცხვასა და ფსევდოაქტიურობაშიხედავენ ეროვნული ენერგიის გამომზეურების საშუალებას.

## თავი მეხუთე.

## „განზომილების“ სახეთა სისტემა და მისი ხორცშესხმის მხატვრული საშუალებები

### 1. „განზომილება“- პოსტმოდერნისტულიტექსტი

მეოცედაოცდამეერთესაუკუნეებისმიჯნაზესაზოგადოებაშიმომხდარიყველატიპ ის -ისტორიული, სოციალური, ფიქოლოგიური -ცვლილება, რასაკვირველია, ლიტერატურაშიცაისახა,რისშედეგადაცმივიღეთრთული, მრავალგანზომილებიანი, წინააღმდეგობრივილიტერატურულიმიმართულება, რომელიცპოსტმოდერნიზმისსახელითააცნობილი. ამმიმდინარეობისშესახებზევრისმთქმელიაის, რომლიტერატურათმცოდნეებიდღემდევერშეთანხმებულანარათუპოსტმოდერნიზმი სთვისდამახასიათებელარსებითნიშან-თვისებებზე, არამედტერმინთანდაკავშირებითაცკი. მათიერთინაწილიმიიჩნევს, რომაღნიშნულილიტერატურულიმოვლენაქრონოლოგიურადწინამორბედსაკმაოდპო პულარულმიმდინარეობას - ავანგარდიზმსმოსდევს, მასეფუძნებადა, ამდენად, უფროგამართლებულიამასთანმიმართებითტერმინ „პოსტავანგარდიზმის“ გამოყენება.დღესდღეობითპოსტმოდერნიზმიჩამოყალიბებულისახითარსებობსროგო რცამერიკულდადასავლეთევროპულლიტერატურებში, ასევეპოსტსაბჭოურსივრცეში, სადაც, უნდაითქვას, რომგავრცელებისთვისსაკმაოდსაინტერესონიადაგიდახვდა.

პოსტმოდერნიზმიყველაქვეყანაშიეროვნულინიშნითვითარდებოდა, თუმცალიტერატურისთეორეტიკოსებიმასშიორძირითადმახასიათებელსგამოყოფენ:

1) დასავლური, რომელსაცახასიათებსმჭიდროკავშირიპოსტმოდერნისტულთეორიასადაფილოსოფია სთან; ენისადამხატვრულისახეებისგამორჩეულიმრავალფეროვნება, რომელიცგარდაიქმნებასიმულაკრებისენად. ოპტიმისტურიტონი;

2) აღმოსავლური, რომელიცჩამოყალიბდადასავლურილიტერატურისახალიტენდენციებისშესახებსრუ ლიინფორმაციულივაკუუმისპირობებში.

იგივითარდებოდადაიძენდააშკარაეპატაჟისხასიათს „სახელმწიფოსოცრეალიზმის“ ნორმებისმიმართ.

თანამედროვესამყაროშიტერმინები ,,პოსტმოდერნი“ და ,,პოსტრმოდერნიზმი“ ძალიანაქტუალურია. ხელოვნებისსხვადასხვადარგისნიმუშებისშეფასებისასკრიტიკოსებიდაექსპერტებიხშ ირადსაუბრობენმათზე. ესტერმინებიგასცდახელოვნებისფარგლებსაცდაძნელია, მოძებნოსფერო, რომელშიცვერშეაღწიეს. თუმცაყველაშემთხვევაშიცხადიდაგასაგებიუნდაიყოსმათიმნიშვნელობა, რადგანაცთანამედროვეინტელექტუალურსამყაროშიხშირადგანიხილავენმათსხვადას ხვამიმართულებით, როგორცრაიმესგანმსაზღვრელსადადამახასიათებელს. ამისსაპირისპიროდ, უნდაითქვასისიც, რომესტერმინებიძალიანსაკამათოდაარაცალსახაა. შეიძლებაითქვას, რომამლიტერატურულიმიმდინარეობისკულტურულიფენომენიჯერკიდევარარისამ ოხსნილიდამისიმრავალიასპექტიერთმანეთთანმჭიდროდდასაკავშირებელი, ერთირაკურსითაღსაქმელიდაშესასწავლია.

თავადტერმინ ,,პოსტმოდერნის“ ჩამოყალიბებისისტორიაშიძალიანსაინტერესოაირვინგჰაუსმიერ 1959 წელსგამოთქმულიმოსაზრებაიმდროინდელილიტერატურისშესახებ, როდესაციგითავისიეპოქისმწერლებზემსჯელობდადაამბობდა, რომელიოტის, პაუნდის, იეიტსის, ჯოისისშემოქმედებისგანგანსხვავებით, მათინაწერებიგამოფიტული, უემოციო, უსიცოცხლო, ძალაგამოცლილიიყო. იგისწორედამშინაარსითდამნიშვნელობითტვირთავდაპოსტმოდერნისცნებას. ცხადია, რომამშემთხვევაშიტერმინიაღნიშნავსარაახალკულტურულმწვერვალს, არამედპირიქით - დაღმავლობასადაუკუსვლასმოდერნისშემდეგ.

უარყოფითიდამოკიდებულებაახალილიტერატურულიმიმდინარეობისმიმართმ ალევეშეიცვალა, კრიტიკოსებმადაინახეს, რომპოსტმოდერნსშეეძლოელიტარულიდამასობრივიკულტურებისახლებურიშერწყმ

ა:

თუადრელიტერატურამხოლოდსაზოგადოებისზედაფენისათვისიყოხელმისაწვდომი, ახლაიგიმოიცავდაყველაფენას, ტექსტითანაზრადმოთხოვნადიდასაინტერესოხდებოდაარამხოლოდღრმაინტელექტისმქონემკითხველისთვის, არამედიმადამიანებისთვისაც, დიდილიტერატურულიგემოვნებითრომარგამოირჩეოდნენ. ამმოსაზრებასასახავსკრიტიკოსლესლიფიდლერის 1969 წელსგამოქვეყნებულიწერილისათაურით ,,გადალახეთსაზღვრები, ამოავსეთთხრილები“, რომელშიციგიამბობს, რომ პოსტმოდერნისპობსმანძილსხელოვანსადაპუბლიკასშორის, ყოველშემთხვევაში, პროფესიონალსადადილეტანტებსშორისხელოვნებისსფეროში(ფიდლერი, 2016:11).

რადგანაცტერმინიპოსტმოდერნისაკუთართავშიმოიცავსმოდერნს, შეუძლებელია, ლიტერატურისმკვლევარიგაექცესმათშედარებასდაურთიერთშესაბამისობისსაკითხებისძიებას. მიუხედავადიმისა, რომლათინურიწარმოშობისწინსართიმხოლოდდამხოლოდშემდგომსაღნიშნავსდაარასაპირისპიროს, პოსტმოდერნიხშირადგაიაზრებახოლმეროგორცანტიმოდერნი. ესარისმცდარიგაგება. პოსტმოდერნიკიარუარყოფსმოდერნს, პირიქით, იგითავისთავშიმასაცშეიცავს. განსაკუთრებითსაინტერესოაჟანფრანსუალიოტარისშეხედულებაამორიმიმდინარეობისურთიერთმიმართებაზე: პოსტმოდერნიგანთავსდებაარამოდენისშემდეგ, არამედმისპირისპირ, მასუკვეშეიცავდამოდერნი, მხოლოდფარულად (ლიოტარი, 2016:13).

რათქმაუნდა, კრიტიკოსებიდათავადავტორებიცწლებისმანძილზეცდილობდნენგანესაზღვრათპოსტმოდერნიზმისთვისდამახასიათებელიპარადიგმები. პოსტმოდერნიზმზეარსებულისაკმაოდმდიდარილიტერატურიდანჩვენთვისსაინტერ

ესონაშრომებზეგავამახვილებთყურადღებას.

ფრანგიმკვლევრისიულიაკრისტევასმიერდამკვიდრებულიტერმინიინტერტექსტუალობაერთ-ერთიქვაკუთხედიაპოსტმოდერნიზმისდასახასიათებლადდააღსაქმელად, რაცგულისხმობსშემდეგს:

ტექსტიარარისგანცალკევებულიდაიგიინტერტექსტუალურადუკავშირდებასხვატექსტებს.რათქმაუნდა, კავშირიშეიძლებასხვადასხვასახითგამოვლინდეს: პირდაპირითუფარულიციტირებით, პერსონაჟებისსახელებისათუიმავეტოპონიმებისგამოყენებით, ალუზიით, რემინისცენციით, პლაგიატითდაა. შ. თუროლანბარტსდავეყრდნობით, ინტერტექსტუალობააუცილებელიწინაპირობაანებისმიერიტექსტისარსებობისთვის დახშირადშესაძლებელია, რომწყაროდაგავლენისგანმაპირობებელისრულიადაცვერაღმოვაჩინოთ(ბარტი, 2013: 56).ლიტერატურის,დაარამხოლოდპოსტმოდერნისტულილიტერატურის,ისტორიაში ამთვალსაზრისითსაინტერესომოვლენააჟაკრივესმიერ 1979 წელსგამოცემულიწიგნი ,,ქალიშვილებია-დან“, რომელიცმხოლოდციტატებითაადაწერილი. ტექსტშიმწერალმაგამოიყენა 408 ავტორის 750 ციტატა: მიუხედავადიმისა, რომთავადავტორსარდაუწერიაარაფერიახალიდამანმხოლოდშეკრიბაუკვედაწერილი წიგნებიდანფრაზები, შეიქმნაახალიწიგნი. ესაატიპურიპოსტმოდერნულიტექსტი - არაფერიახალი, მაგრამსხვადასხვაავტორისერთმანეთთანდაუკავშირებელიფრაზებისსაინტერესოკოლაჟი.

სწორედპოსტმოდერნისთვისდამახასიათებელამგვარფრაზებითჟონგლიორობაზეამბობდაუმბერტოეკო, რომყველაწიგნიშედგებამხოლოდსხვაწიგნებისგან.ამგვარისამწერლო „მეთოდის“ გამო, რათქმაუნდა, ცხადიხდება,რომპოსტმოდერნისტულიტექსტისსრულყოფილადგასაგებადდასხვაწიგნებისამოსაცნობადსაჭიროაგარკვეულიკულტურულიდალიტერატურულიბაზისი,

ერთგვარილიტერატურულიკომპეტენცია. თუმცა, როგორცზემოთაღვნიშნეთ, პოსტმოდერნიზმიერთგვარიმასობრივიკულტურაა. ერთიშეხედვით, ცოტაუცნაურიცაა, როგორშეიძლებატექსტიმოითხოვდესგანათლებულმკითხველსდა,ამავდროულად,იყოსმასობრივიც?!პოსტმოდერნშიესმიიღწევაორმაგიკოდირებისგამოყენებით. ამმიმდინარეობისნაწარმოებისერთიტიპისკოდიმიმართულიაპოპკულტურისმკითხველებისადმიდააკმაყოფილებსმათმოთხოვნებს, ხოლომეორეკოდითტექსტიიპყრობსინტელექტუალურიმკითხველისყურადღებასაც დაღრმაანალიზსმოითხოვს.

პოსტმოდერნისტულინაწარმოებისგააზრებისთვისძალიანმნიშვნელოვანიაფრანგიფილოსოფოსის, ჟაკდერიდასმიერშემოტანილიმეთოდი, დეკონსტრუქცია, რომელსაცქართულადძალიანსაინტერესოდთარგმნისქართულიპოსტმოდერნისტულილიტერატურისერთ-ერთიუპირველესიწარმომადგებელიზურაბქარუმიძედამას ,,დაშლა-არმოშლას“ უწოდებს(ქარუმიძე, 2011:12).დეკონსტრუქციისელემენტმა, შეიძლებაითქვას, ამოაყირავატრადიციულიგააზრებატექსტისშემადგენლობისა. პაროდირება, რომელიცყველაზემთავარიპრინციპიაპოსტმოდერნისტულილიტერატურის, სწორედდეკონსტრუქციისსახესხვაობაა. პოსტმოდერნისტულილიტერატურისმრავალფეროვნებასადამისგანსხვავებულობას,ამავდროულად, კავშირსაცტრადიციულლიტერატურასთან, სწორედდეკონსტრუქციახსნისყველაზეკარგად:ესააკლასიკური, მსოფლიოლიტერატურისთითქმისშაბლონებადქცეულითემების, ტრადიციულიპერსონაჟებისახლებურადგადააზრება, მათიახლებურიდანახვადაშეფასება. უნდააღინიშნოს, რომკლასიკურდაანტიკურლიტერატურაშიარსებულისაკითხებისადმიინტერესითანამედროველიტერატურაშიკვლავაქტუალურია, ოღონდესინტერესიბევრადთავისუფალიადა, ხშირშემთხვევაში,

დამოკიდებულებაირონიითგამოიხატებაიმჩარჩოებისმიმართ, ძველიმსოფლიოლიტერატურარომსთავაზობსმკითხველს.

მსოფლიოშიმიმდინარეამკულტურულეპოქას, რასაცპოსტმოდერნიჰქვია, შეიძლებაითქვას, რომსაქართველომაცნელ-ნელადაშეძლებისდაგვარადაუწყოფეხი. საინტერესოა, რომკრიტიკოსთანაწილისაზრით, არამხოლოდმეოცესაუკუნისბოლოათწლეულში, არამედუფროადრინდელიპერიოდისქართველავტორებთანაცშეინიშნებაპოსტმოდერნიზმისთვისდამახასიათებელიტენდენციები (რევაზინანიშვილი, ჯემალქარჩხაძე, გურამდოჩანაშვილი, ნაირაგელაშვილიდაა. შ). თუმცა, ჯერკიდევსაფუძვლიანადააშესასწავლიესსაკითხი, რადგანაცერთია, როცამწერლობაშიაქა-იქგაბნეულადჩნდებალიტერატურისრომელიმემიმდინარეობისთვისდამახასიათებელინიშნები, ხოლოსხვასაკითხია, რამდენადაქვსამყველაფერსსისტემურიხასიათიდარამდენადშესაძლებელია, ვისაუბროთმიმდინარეობისმასობრივადჩამოყალიბება-გამოყენებასადალიტერატურულტრადიციაზე. თუმცაერთირამმაინცუდავოა: ქართულპოსტმოდერნშისრულიადახალისულისკვეთებაშემოიტანაზურაბქარუმიძემ. აღსანიშნავიაისფაქტი, რომიგიარამარტომწერალი, არამედთეორეტიკოსიცაა. გავრცელებულიმოსაზრებისთანახმად, ზურაბქარუმიძის 1990 წელსდაწერილინოველა ,,Blow Up” პოსტმოდერნისპირველისრულფასოვანიტექსტიაქართულლიტერატურაში. მასახასიათებსყველაისნიშანი, რომლებიცშეინიშნებაპოსტმოდერნულნაწარმოებებში.

მეოცესაუკუნისუკანასკნელიოცწლეულიდაოცდამეერთესაუკუნისდასაწყისიერთ-ერთიყველაზესაინტერესოდამნიშვნელოვანიმონაკვეთიაქართულიმწერლობისისტორიაში, განსხვავებულითემატიკით, მხატვრულისტილითადააზროვნებისმრავალფეროვნებითგამორჩეული.

განსაკუთრებითსაინტერესოა 70-80-იანიწლები, რომლებსაცპირობითადშეიძლებავუწოდოთ „გარდამავალი“ პერიოდი, რამდენადაცსხვადასხვამიმდინარეობისთვისდამახასიათებელიტენდენციებიშეერწყა ერთმანეთს, თითქოსგაჩნდაქაოსიმწერლობაშიდასწორედამქაოსისერთსფეროშიგამაერთიანებელს ეწოდაპოსტმოდერნიზმი, როგორცსიტყვისადააზრისშემაკავშირებელი „ელემენტი“. გასულისაუკუნისოთხმოციანიწლებიდანქართულლიტერატურაშიშეიცვალაშეფასები სადაგანხილვისკრიტერიუმები. თუკიადრეამათუიმმწერალზემსჯელობისასიმთავითვეშესაძლებელიხდებოდამისიშე მოქმედებისკონკრეტულლიტერატურულმიმდინარეობაშიმოთავსება (მაგალითად, რომანტიზმი- ნიკოლოზბარათაშვილი;კრიტიკულირეალიზმი-ილიაჭავჭავაძე, აკაკიწერეთელი, მოდერნიზმი-კონსტანტინეგამსახურდია, გრიგოლრობაქიძედასხვა), დღეისთვისისეთითანამედროვემწერლებისკონკრეტულმიმართულებაშიმოთავსება, როგორებიცააგურამდოჩანაშვილი, ნაირაგელაშვილიდაოთარჭილაძე, მეტადრთულია. ლიტერატურულკონტექსტშიგაჩენილიამგვარიქაოტურობახელსუწყობსახალიფორმე ბისადასიუჟეტებისგაჩენას, რაცავტორსაღარზღუდავს. უკვე 80-იანწლებშიიქმნებაისეთიპოსტმოდერნისტულიმანერითდაწერილინაწარმოებები, რომლებიცთავისუფლადგაუწევენკონკურენციას მსოფლიოლიტერატურაშიარსებულნებისმიერპოსტმოდერნისტულტექსტს. ამისმაგალითადშეიძლებამოვიყვანოთნაირაგელაშვილის„ჩვენება“ (ანაბეჭდები),გ. დოჩანაშვილის „ვატერ(პო)ლოოანუაღდგენითისამუშაოები“ დასხვაცნობილინაწარმოებები. მოდერნიზმისშემდეგწარმოქმნილი „დუმილი“ ო. ჭილაძემ, გ. დოჩანაშვილმა, ჭ. ამირეჯიბმადასხვაქართველმამწერლებმადაარღვიეს. მათსრულიადახლებურადწარმოგვიდგინესადამიანისროლი, მისიმსოფლაღქმა,

სამყაროსშინაგანიგანცდა. მათთანთითქოსსაბოლოოდმოიხსნაისჩარჩოები, რომლებშიცმოქცეულიიყომოდერნისტიმწერალიდათავისუფლებისგანცდითაავსორ ოგორცავტორი, ასევემკითხველიც. როგორცროლანბარტიაღნიშნავს, „თანამედროვემწერალისაკუთარტექსტთანერთადიბადება... ყოველიტექსტიიწერებააქდაახლა“. (ბარტი, 2013:111).

დასავლურლიტერატურაშიპოსტმოდერნიზმისწარმოშობამოდერნიზმისმაღალ იიერარქიულიკულტურისდეკონსტრუქციისპროცესებსდაუკავშირდა. რუსულდა, საერთოდსაბჭოთამწერლობაშიპოსტმოდერნიზმისგანვითარებაუფრორთულსაკითხე ბთანიყოდაკავშირებული. საბჭოთაპერიოდისლიტერატურაარიყომონოლითური, ისიყოსხვადასხვაფორმებითადათვისებებითგანპირობებულიდაგანსხვავებული. მკაცრიცენზურისპირობებშილიტერატურისგანვითარებამძიმეპროცესებთანიყოდაკა ვშირებული, მაგრამპოსტმოდერნიზმისმიერახლებურადშემოტანილიინტერპრეტაციისთეორიაერ თნაირადმისაღებიგახდაყველასაღადმოაზროვნეშემოქმედისათვის. რაცშეეხებაქართულპოსტმოდერნიზმს, მისსაფუძვლადუპირველესადსაკუთარივინაობის, არსისადარაობისგაურკვევლობაშეიძლებამივიჩნიოთ, რაზეც, რათქმაუნდა, საქართველოსისტორიულმამდგომარეობამაციქონიაგავლენა. თუკიდასავლურიპოსტმოდერნიზმისსაფუძველიშეიძლებაგანიმარტოს, როგორცდიდიიმედგაცრუებარაციონალიზმით, რადგანასეთიმსოფლხედვაუძლურიაღმოჩნდასამყაროსადეკვატურწვდომაში, ქართულიპოსტმოდერნიზმისსაფუძველივინაობისადარაობისგაურკვევლობასდაუკა ვშირდა.

პოსტმოდერნისტულიტექსტიმხატვრულითვალსაზრისითითავსებსსხვალიტერ ატურულიმიმდინარეობებისტექსტებისათვისდამახასიათებელპრინციპებსდათვისებ ებსდა, ამასთანავე, ქმნისახალ, განსხვავებულფორმებს, პრობლემებს, რომლებიცუკვეიყოწამოჭრილიმოდერნიზმისპირობებში,

მაგრამმოდერნიზმმამათიგადაჭრავერშეძლო. ახალმადრომშეცვალანაწარმოების „დრო“ და „მდებარეობა“, არარსებობს „აქ“ და „ახლა“, მხატვრულმატექსტმა „ყველგანმყოფის“ მნიშვნელობაშეიძინა. მთავარიატრიბუტები: აზრი, წარმოდგენა, მოქმედება-ორგვარიბუნებისაა: წარმოდგენაწინადადებისადაატრიბუტი- მოქმედებასაგნებისა, წინააღმდეგობრიობადაზემოქმედება- გახდამნიშვნელოვანი. აუცილებლადაღსანიშნავიათანამედროვექართულპროზაშიარსებულისტილურიეკლ ექტიზმი, თამაშისიტყვისპოლისემიით, სინტაქსურიწყობისრღვევა, გრამატიკულიდაპუნქტუაციურიწესებისდარღვევადაზოგჯერუარყოფა.

პოსტმოდერნისტებიმთელმსოფლიოშიჯიუტადიმეორებდნენ, რომსულაცარიყოსაჭიროახლისშეთხზვა, ყველაფერიდაიწერადაითქვა, ჩვენკიმასთავიდანგადავწერთდასაკუთარტექსტებსამითვასაზრდოებთ, სამყაროცხომერთიდიდიტექსტია, მილიონობითტექსტშიგაბნეული.

მიუხედავადიმისა, რომპოსტმოდერნისტულიესთეტიკისშესახებქართულმაკულტურულმაცნობიერებამე ვროპულთანშედარებითგვიანშეიტყო, მაინცუნდაითქვას, მასსაქართველოშიამლიტერატურულტენდენციასმომზადებულინიადაგიდახვდა. ამის დამადასტურებელია ჯემალქარჩხაძის „განზომილება“, რომელიც ავტორმავერანარდაამთავრა.თითქოსწინასწარმეტყველურადთქვა, არავინიცის, გავალთუარაბოლოშიო. შეიძლებაესეცერთგვარილიტერატურულიხრიკიიყომკითხველისდასაინტერესებლა დდასაგონებელშიჩასაგდებად, თუმცაიმისილუზიაციქმნება, რომნაწარმოებისბოლოწერტილიმწერალმაკიარა, სიკვდილმადასვა(მსოფლიოლიტერატურაშიბევრიაისეთიტექსტი, რომელიც „დაუსრულებლობით“ ქმნისდაუვიწყარდამოულოდნელეფექტს. მაგალითად, ტოლკინისდაუმთავრებელიმოთხრობებიდაესეები, კაფკას „პროცესი“ დასხვ.)

მეოცესაუკუნისმწერალთაგანჯემალ ქარჩხაძეგამოირჩევათხრობისგანსაკუთრებულიოსტატობით,

კრიტიკოსებიაღიარებენ, რომიგიინტელექტუალურიტიპისმწერალია. მისშემოქმედებაშიერთმანეთსენაცვლებაპერსონაჟებისფსიქოლოგიურიპორტრეტები მისინაწარმოებებისცენტრშიდგასადამიანი - სისუსტით, სიძლიერით, იღბლით, უიღბლობით... „განზომილება“ ისტექსტია, რომელშიცდახატულია ისტორიულადერთ-ერთ ყველაზერთულპერიოდში - მე-20 საუკუნის 90-იანწლებში - საყოველთაოქაოსში, განუკითხაობაში, ნგრევასადაარაფრისშენებაში ჩაძირული საქართველო.

რომანშიმწერალიმიმართავსირონიას, გროტესკს, სატირას, დოზირებულსკაბრეზსაც. მისისტილიცირონიულ-სერიოზულია. ამ ტროპული საშუალებების გვერდიგვერდდათანჭარბიგამოყენებასავსებითბუნებრივადხდისტექსტისპოსტმოდე რნისტულიმიმდინარეობისთვისმიკუთვნებას. „დასაბამსიტყვაში“, რომელიცრამდენიმემიმართვისაგანშედგება, ერთგვარადთითქოსმონიშნულიარომანისმხატვრულიგანზომილებისოთხისხვადასხვ აალბათობა, ოთხივეთანაბარიმნიშვნელობისადამხატვრულიღირებულებისმქონე. ტექსტშიგანსაკუთრებულყურადღებასიპყრობსორიგინალურიმიგნება - „აუდიორუქა“, რომლისსაშუალებითაცმწერალიაღწერსიმხალხს, რომელმაცგადაკეტილგვირაბთანმოიყარათავიდარომელიც, შეიძლებათამამადითქვას, ქართულისაზოგადოებისერთგვარიმიკრომოდელია. ამაუდიორუკისგამოყენებითთითქოსერთსიბრტყესადაგანზომილებაშიმოექცევამკით ხველისსხვადასხვაგარიფიქრი, აზრი, განცდა. ერთიშეხედვით, ამგვარისაუბარიქაოსურიდაუწესრიგოუნდაიყოს, მაგრამტექსტზედაკვირვებისას, ნათელიხდება, რომშინაგანადესდიალოგებიდამონოლოგებიმოწესრიგებულიადაემსახურებამასისმთ ლიანობისგააზრებასადამისიშინაგანიდუღილისწარმოდგენას.

რაკი „განზომილებას“ მივაკუთვნებთპოსტმოდერნიზმს, განვიხილოთისრამდენიმეძირითადიმახასიათებელი, რომლებიცსაანალიზო ტექსტს ამ ლიტერატურული მიმდინარეობის კუთვნილებად აქცევს.

ერთ-ერთიდაყველაზეთვალშისაცემიალბათტექსტისდა, შესაბამისად, სათქმელისდაუსრულებლობაა.რომანიმთავრდებაიონაკამკამიძისჩანაწერებით, საიდანაცამპერსონაჟისმსოფლმხედველობაჩანს. ამშემთხვევაშიისმწერლისალტერეგოდაცშეიძლებაჩაითვალოს. მისისიტყვებიჯემალქარჩხაძისცხოვრებისეულმრწამსსაცგულისხმობს, ხოლომისიფილოსოფიამწერლისსუბიექტურმსოფლხედველობადგაიაზრება. ტექსტის ტრაგიკომიკურობაცალსახადშეიძლებამიგვანიშნებდესპოსტმოდერნიზმისთვისდამა ხასიათებელნიშანზე- ანტონიმურიცნებებისგვერდიგვერდდაყენებასადაერთგვარლიტერატურულოქსიმორ ონზე. რომანიუხვადააგაჯერებულიმისტიკურიდარელიგიურიინტონაციებით, ამასთანავე, უნდაითქვას, რომ,მიუხედავადამისა, არსადხდებათხრობაბუნდოვანიდაყველაფერინათელიადაგასაგები. ბიბლიურითუმითოლოგიურიიგავმეტყველებამარტივიაღსაქმელიაქარჩხაძესთანდა თითქოსდაცლილიაგანსაკუთრებულისაიდუმლოსგან, ესკიმწერლისენისმოქნილობისადარაფინირებულობისდამსახურებაა.

ტექსტშითავიდანვეყურადღებასიქცევსგვირაბი, სადაცრომანისმთავარიპერსონაჟიმთელითექვსმეტისაათისგანმავლობაშიშეჩერდებამ ოულოდნელადდამგზავრებულქალთანერთად. აქმწერალიდანაწევრებულად, მოზაიკურადაღწერსპერსონაჟისშინაგანსამყაროშიმიმდინარეპროცესებსადაგარეთატ ეხილქაოსს, თუმცაამდანაწევრებისმიუხედავად, ტექსტიმაინცაღიქმება, როგორც ერთიანი დასათქმელიცსაკმაოდნათლადაღსაქმელია.

პოსტმოდერნისტულელემენტადშეიძლებაჩაითვალოსპირველითავისსათაურიც : „დეკადენტურიდილა“ დამისივეეპიგრაფი: „ბიძაჩემისუადგილოდეპეშა,

ეწერელიდათიკოსაკუსტიკურიგამოცხადებადასხვადამაფიქრებელინიშნები“. ასეთიმინიშნებებიახასიათებსამლიტერატურულმიმდინარეობას - პოსტმოდერნიზმს, რომელიცკოდურისიტყვებისდახმარებითმიგვანიშნებსუმთავრესზე, მწერლისსაფიქრალსათურომელიმესაზოგადოებრივპრობლემაზე.

საინტერესოაისლიტერატურულიარქეტიპებიც, პერსონაჟთაუდავომსგავსებაზერომდაგვაფიქრებენ.არქეტიპებისადაპროტოტიპებისს იჭრელეცერთგვარიპოსტმოდერნისტულიხრიკია, რომელიცერუდირებულმკითხველსითხოვს. იონაკამკამიძე, ერთიშეხედვით, ნაცარქექიასთარგზეგამოჭრილიპერსონაჟია, დიდიფანტაზიითშემკული, რასაცთითქოსფარავსუმაქნისობადაფუჭიფახიფუხი. ისმოაზროვნეა, ანალიტიკოსი, მაგრამუასპარეზო, უმოქმედო, ამიტომესპერსონაჟიორნაირადაღიქმება: ერთდროულადმთავარიცაადამარგინალურიც.საინტერესობიბლიურალუზიასიწვევს მისისახელიც - იონაწინასწარმეტყველი.ვეშაპისმუცელშისამიდღეყოფნადამერეხელახლაშობასიმბო ლურადქრისტესგარდაცვალებასადამკვდრეთითაღდგენასგულისხმობს. შესაბამისად, ამპასუხისმგებლობისამოცნობაშეგვიძლიაიონაკამკამიძისპერსონაჟში, ვგულისხმობიმას, რომსწორედიონასირონიულიდათვითკრიტიკულიმიდგომებიდააღმოჩენებიშეგვიძ ლიაჩავთვალოთხსნისგზად. საკუთარიდასხვისინაკლისმხილებაშეიძლებაიყოსისგამოსავალი, ერსრომვეშაპისმუცლიდან-სამოცდაათწლიანისიკვდილიდან- ხელახლაშობს.

პოსტმოდერნისტულიმისტიფიკაციისნიმუშიაიდუმალისატელეფონოზარი, რომელმაცმთავარპერსონაჟსაუწყასოფლისეკლესიისგაქრობისშესახებ, რაცალბათკომუნისტურირეჟიმისერთგვარმხილებასწარმოადგენსდამინიშნებასიმსაფ რთხეზე, რასაცეკლესიისადა, ზოგადად, რწმენისგარეშედარჩენილისაზოგადოებაწარმოადგენსსხვისთვისაცდასაკუთარითავი სთვისაც.

ყველაზედიდპოსტმოდერნისტულხერხადშეიძლებამივიჩნიოთტექსტშიაუდიორუქა, რომლისსაშუალებითაცნათლადიხატებაცალკეულიადამიანისადა, ზოგადად, სოციუმისსახე. აუდიორუკებისსაშუალებითერთსიბრტყეზეთავსდებასხვადასხვაფიქრი, განცდა, პოზიცია, პრობლემა. რუკისთითოეულიფრაზაანდიალოგია, ანმონოლოგი, ანუბრალოდამოძახილი - ხანროყიო, ხან-გულწრფელი, თუმცა, ერთიშეხედვით, უკონტექსტო, მაგრამერთმანეთთანმაინცდაკავშირებული. ამმეთოდისგამოყენებითმწერალიშეულამაზებლადგადმოგვცემსხალხისშინაგანსახეს, მისერთგვარკალეიდოსკოპურმთლიანობას.ზოგიფრაგმენტი, ხშირად-ერთწინადადებიანი, დამოუკიდებელღირებულებასიძენსდასათქმელისსიძლიერით, დინამიკითადაემოციითცალკეულინაწარმოებისტოლფასიხდება. მაგალითად, სხვადასხვაგვარ „ყაყანში“ უცებამოყვინთავსფრაზა, რომელიცგამოჩნდებათუარა, გადაფარავსყველასხვასათქმელსდაგასაოცარშთაბეჭდილებასტოვებს. მაგალითად: „თვითონაცხოიღლება“,- თქვაჯალათისდედამ“ (გვ:167).ესსტრიქონიტრაგიკომიკურობისუმაღლესიმწვერვალიადაცხოვრებისგანზომილებასაცდიდებულადგამოხატავს, ასეთიღირებულებისმქონეფრაზებიისეუხვადაარომანში, რომმწერლისერთგვარსტილურმახასიათებლადაცშეიძლებამათიმიჩნევა.

როგორცპოსტმოდერნისტულიტექსტისთვისაადამახასიათებელი, რომანისავსეაპარადიგმებით, რომლისგარეშეცწარმოუდგენელიაინტელექტუალურიპროზა. თუმცასახე-სიმბოლოებიისეაკოდირებული, რომსიუჟეტიცხადიდანათელია. აუცილებელიდაერთგვარისაგანგებოცოდნაკიმკითხველსგაუხსნისგზასტექსტისსხვა, ფარულიდონეებისაკენ. ამშემთხვევაში, გზაგვირაბამდე, გვირაბშიშეღწევადაიქიდანგასვლაასოციაციურადჯოჯოხეთშიმოგზაურობასემსგავსება, ერთადერთიმიზნით- გაიოლდესსამყაროსშეცნობა. გვირაბამდედაგვირაბისშემდეგმთხრობელიშეიგრძნობსდიდგანსხვავებასსაკუთართა

ვში. მეტამორფოზაგარდაუვალიიყო, თუმცა -გამაოგნებელიც. მწერალიისედაწვრილებითაღწერსამპროცესს, რომცხადია, მასყველაზემეტადსხვაგანზომილებაშიგადანაცვლებააინტერესებს. გვირაბშიუეცრადგზათითქოსგაორდა (სამოთხედაჯოჯოხეთი) დამთხრობელიც, შესაბამისად, ორსხვადასხვახაზშიაღმოჩნდა, რომელთაშორისარანაირიკონტაქტიარარსებობდა. გვირაბისალეგორიულობაიმეპიზოდიდანაცდასტურდება, როცამთხრობელიმიხვდება, რომაუცილებელია „გვირაბშიშესვლადაგამოსვლა“, ვისაცგასვლაუნდა, ჯერუნდაშევიდეს,ამრიგად, გვირაბშიშესვლა-გამოსვლასიცოცხლისუმთავრესპირობად -კვდომადდააღდგომადგვევლინება.

## 2. „განზომილების“ ნარატივი

მხატვრულიტექსტისსრულყოფილიგააზრებისთვისუდიდესიმნიშვნელობაენიჭ ებანარატივისგანსაზღვრას, რაცთანაბრადითვალისწინებსროგორცთხრობისპროცესს, ისემონათხრობს. ნარატოლოგიაგულისხმობსისეთცნებებს, როგორებიცაანარატივი-თხრობა (ზეპირადანწერილობითგადმოცემულიამბავი); ნარაცია- თხრობისპროცესი დანარატორი-მთხრობელი.რაცშეეხებათვითონტერმინსნარატოლოგია,მისიავტორიაფრანგულისტ რუქტურალიზმისწარმომადგენელიც. ტოდოროვი, თუმცა, ნარატოლოგიისფესვებითავდაპირველადანტიკურიეპოქისპოეტიკაში (პლატონიდაარისტოტელე), ხოლომოგვიანებითრუსულფორმალიზმსადაბახტინისთეორიულშეხედულებებშიუნ დავეძიოთ.

ფაბულისადასიუჟეტისპრობლემისანალიზმაინოვაციურისახემიიღოსტრუქტურ ალისტურიდაპოსტსტრუქტურალისტურილიტერატურათმცოდნეო-ბითისკოლებისფარგლებში:ტოდოროვის, ბრემონის, ბარტის, გრეიმასის, კრისტევას,

ჟენეტისდასხვათაშრომებში. სწორედამავტორთაკვლევებშიწარმოჩნდანარატივის - ლიტერატურულითხრობისმნიშვნელობისდაგააზრებისმცდელობა. განსაკუთრებითსაინტერესოაჟერარჟენეტისთეორიადამისინაშრომი „ნარატივისდისკურსისგადასინჯვა“. ჟენეტისთეორიისმეთოდოლოგიურსიახლესწარმოადგენსსიუჟეტისგააზრებანარატოლოგიისთვალსაზრისით. მისმოსაზრებაშიბევრირამაასაგულისხმოდახელჩასაჭიდი. ისშლისტრადიციულადდადგენილსაზღვრებსწმინდარეალისტურდაწმინდამხატვრულ-გამოგონილტექსტსშორისდაამგადაწყვეტილებითაფართოებსლიტერატურულინარატივისცნებას, ააქტიურებსფაბულისადასიუჟეტისტრადიციულურთიერთმიმართებას. განიხილავსფაბულას, როგორცავტორისეულითხრობისგანმაპირობებელფორმასადამთლიანიმხატვრულისისტემისუმნიშვნელოვანესნაწილს.

ნებისმიერილიტერატურულინაწარმოებითხრობისპრინციპების, ფორმების, ხერხების, მოდელებისადაკომბინაციებისგამორჩეულობითფასდება. სწორედამკომბინაციებისოსტატურიგამოყენებითავტორიხაზსუსვამსმოყოლილიამბებისურთიერთკავშირს. ტექსტშითხრობასეძლევაგარკვეულიშინაგანიმიმართულება, შესაბამისად, მასახასიათებსაზრობრივიდაემოციურიწიაღსვლები, რაცტექსტისკონკრეტულეპიზოდებსგანაპირობებსდამისიშინაარსობრივიმრავალფეროვნებისგანმსაზღვრელიცაა.

ნაშრომში შევეცადეთ თანამედროვე ნარაციის ხერხების ანალიზის გამოყენებით განგვესაზღვრა მწერლის უმთავრესი სათქმელი. დავკვირვებოდით, როგორ ახერხებს ქარჩხაძე ტრადიციული გზის მოდელის შენაცვლებას თანამედროვე ლიტერატურული ზღაპრით, როგორ იკვეთება აუდიორუქების პოლილოგში ერთი მთლიანი მონოლოგი - ქართველი კაცის ნაამბობი საკუთარ თავზე, როგორ უკავშირდებიან პერსონაჟები ერთმანეთს და რა აქვთ ამ ერთმანეთისთვის უცხო

ადამიანებს საერთო. როგორ იქმნება ნაწარმოების ფაბულა და რამდენპლანიანი შეიძლება იყოს რომანის სიუჟეტი.

ჯემალქარჩხაძისრომანში „განზომილება“ გასულისაუკუნისბოლოათწლეულისფონზეიხატებაისმოვლენები, რომელთამიხედვითმთელიეპოქისშეფასებააშესაძლებელი. განსაკუთრებით, 30-იანიდა 90-იანიწლებისა. 30-იანიწლებიისპერიოდია, როცარომანისერთ-ერთიმთავარიპერსონაჟი, პრომეთედიდებულიძე, ბავშვობიდანსიყმაწვილეშიგადადისდარაცმისგარშემოხდება, იგულისხმებასუბიექტურიდაობიექტურირეალობა, მისპიროვნებადჩამოყალიბებასგანსაზღვრავს. ტექსტშიერთიკონკრეტულიპერსონაჟისცხოვრებისაღწერასახლავსმეოცესაკუნისქართულირეალობისშეულამაზებელიჩვენება - ერთიადამიანისყოფაქაოსურქვეყანაში, ერთიპერსონაჟისთვითგამორკვევისპროცესიერთიქვეყნისთვითგამორკვევისპროცესი სმტკივნეულფონზე. რომანშიფილოსოფიურადააგაანალიზებულიისეთიცნებები, რომელთასაფუძვლიანიგააზრებანებისმიერიკულტურულიერისთვისმთავარიპრიორიტეტია, ესენია:სიმართლე, სამართლიანობა, თავისუფლება, იდენტობა- ცნებები, რომელთაგასიგრძეგანებაცკონკრეტულიადამიანისათუსაზოგადოებისყოფის, მისიმენტალიტეტისგანმსაზღვრელია. მეოცესაუკუნისმიწურულისსაქართველოსდათავისუფლებობანათიერისგართობასგამორჩეულირომანიმიუძღვნაოთარჭილაძემაც, თუმცა, მისი „გოდორი“ გაცილებითმძიმეტექსტიაიმთვალსაზრისით, რომმასშიავტორიშეულამაზებლადაშიშვლებსიმდროინდელქართულსაზოგადოებას, მისდეგრადაციას, დაცემას, ღირებულებათაგაუფასურებას. ამდენად, შეიძლებაითქვას, რომმიუხედავადიმისა, რომერთითაობისმწერლებიერთსადაიმავეეპოქაზემსჯელობისასერთსადაიმავეპრობლემასგანიხილავენ, ქარჩხაძის „განზომილებაში“თხრობაუფრო სიღრმისეულია,ამიტომაცააალბათ, რომჩვეულებრივაღწერასჭარბობსანალიზი,

მსჯელობა, რაციონალურიგამოსავლისძიება, რაცსატირისადაიუმორისგამოყენებით ხორციელდებადადიდტკივილთან, თანაგრძნობასთანერთადმკითხველისგულწრფელღიმილსაციწვევს.

ახლაძნელიადაბეჯითებითიმისმტკიცება, რომანისდაუსრულებლობანებაყოფლობითიფინალიიყოთუმართლა „არდასცალდა“ მწერალს. მითუფრო, რომმსოფლიოლიტერატურაიცნობსამგვარმწერლურხრიკს, დაუსრულებელტექსტებსდამათისათქმელისორაზროვნებას, რაცმკითხველისთვისუამრავიშეკითხვისაღმძვრელიადაესმრავალაზროვნებაუფროსა ინტერესოსხდისამათუიმნაწარმოებს.დაუსრულებელიტექსტების, მაგალითადკაფკას „პროცესის“ ანკორტასარის „კლასობანას“,დასახელებაცშეიძლება. აქედანგამომდინარე, ეს „დაუმთავრებლობაც“ პირობითიხდებადათითქოსგადამწყვეტმნიშვნელობასაცკარგავს. ამელინოტომითავისწიგნში „მკვლელისჰიგიენა“ წერს, რომწარმატებულკარიერაშიმეტიდამაჯერებლობისთვისუნდაიყოსდაუმთავრებელირ ომანი, თორემდაბალიდონისმწერლადჩაგთვლიანო(ნოტომი, 2016:45).არავინიცის, ასეათუარა, მაგრამფაქტია, რომ „განზომილება“ მეოცესაუკუნისმიწურულისერთ-ერთიყველაზესაინტერესოტექსტიაქართულლიტერატურაში.

## 2. გამოქვაბულის პარადიგმა

ჯემალ ქარჩხაძე თავის „განზომილებაში“ პლატონისეული გამოქვაბულის გააზრების საინტერესოცდას გვთავაზობს. ესაა, ფაქტობრივად, ეპოქის შეფასება. 90-იანი წლები ისტორიული და ერის მენტალური ფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ ის წარმოადგენდა ერთგვარ გამოქვაბულს, რომელში დაბრუნებაც ერისთვის უფსკრულში გადაჩეხვის ტოლფასი იქნებოდა, საიდანაც ამოსვლას, ალბათ, საუკუნეები დასჭირდებოდა, თუ, რა თქმა უნდა,

ცოცხალი გადარჩებოდა. გამოქვაბულის მისტიკურობას ის ხილვაც უსვამს ხაზს, რიკოთის გვირაბის გახსნის შემდეგ პერსონაჟებს რომ ექნებათ დასავლეთისკენ მიმავალ გზაზე,ესაა ერთგვარი მოგზაურობა სცილასა და ქარიბდას შორის. ამავდროულად, გამოქვაბულის ცნება ცალსახად გულისხმობს პირველყოფილი საზოგადოების ასოციაციას ცრურწმენის თვალსაზრისით. ამიტომ მწერლის თვალით დანახული ადამიანები ძალიან ჰგვანან იმ პირველყოფილ საზოგადოებას, რომლის შესახებაც პლატონი მოგვითხრობს თავისი „სახელმწიფოს" მეშვიდე წიგნში.პლატონისეული მითი ასეთია: ადამიანები ჩაკეტილნი არიან მიწისქვეშა გამოქვაბულში, რომელშიც შუქი შედისშესასვლელიდან. ისინი ბავშვობიდანვე არიან ბორკილებსა და ჯაჭვებში ჩაჭედილები და მხოლოდ პირდაპირ ყურება შეუძლიათ. ამ დროს ადამიანების ზურგს უკან, ზევით და შორს ანთია ცეცხლი; ხოლო ცეცხლსა და ტყვეებს შორის გადის გზა, რომელზეც თითქოს პატარა კედელია აგებული, რომლის ზემოდანაც საოცრებებს აჩვენებენ. ეს ხალხი ხედავს ჩრდილებს, მათ შორის, ისინიც, ვისაც თეჯირის უკან ფიგურები დააქვს. ასეთები ხელოვნური საგნების ჩრდილებსთვლიან ჭეშმარიტებად (პლატონი: 2016:73). სოკრატე ჰყვება, რა მოუვა იმას, ვისაც გაათავისუფლებენ და აიძულებენ შეხედოს, რა ხდება გამოქვაბულში. მას, რა თქმა უნდა, ძალიან გაუჭირდება და შეეცდება დაამტკიცოს, რომ,რასაც ადრე ხედავდა, ის უფრო ჭეშმარიტია, ვიდრე ის საგნები და მდგომარეობა, რომელთაც ახლა ხედავს და თუ მას აიძულებენ აფოფხდეს ზევით და მიწის ზედაპირზე ამოვიდეს, მისთვის ძალიან ძნელი იქნება უყუროს საგნებს და მზეს.მან ჯერ ნელ-ნელა უნდა მიაჩვიოს თვალი, ხოლო შემდეგ შეხედოს მზეს და მიხვდეს, რომ სინამდვილეში მზეა ყველაფრის არსებობის საფუძველი. (მოგვიანებით ქრისტიანული სახისმეტყველება უფალს, მამაზეციერს დაუკავშირდება და ახლა ის ჩაითვლება სამყაროს უხილავ საზრისად).

პლატონისეულ გამოქვაბულთან თუ გავაიგივებთ ქარჩხაძის გვირაბს, ნათელი გახდება, რომ რიკოთი სიმბოლურად გულისხმობს იმ საფრთხეს, რომელსაც პირველყოფილ, უღმერთო, უთანადგომო, უსიყვარულო საწყისთან დაბრუნება ჰქვია.

ეს საფრთხე მუდმივად ემუქრება ქვეყანას, რომელიც თავისუფლების მოპოვების ჟინითაა გონდაკარგული და ამ მაღალი იდეალის სახელით ნებისმიერ სიმდაბლეს ჩაიდენს. ამდენად, ქარჩხაძესთან გვირაბი იგივე უმეცრებაა, ბნელ წიაღში დაბრუნების საფრთხეა. მასთან შეჯგუფებული ადამიანებიც სიმბოლურად დგანან ამ უზარმაზარი საფრთხის წინაშე-დაბრუნება წარსულში, სადაც სიბნელეა და საიდანაც ადამიანმა ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს.

„განზომილების" აუდიორუკებით მწერალი ქართველი ხალხის საინტერესოდ ირონიზებულ პორტრეტს ხატავს. ესაა ერი, რომელსაც მანქანურ საუკუნეს მიღწეულს, ჯერაც ვერ დაუღწევია თავი ცრურწმენებისათვის და ყველა მითის თვალდახუჭულს სჯერა. შედეგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ უმეცრება ქმნის შიშს და შიში-ქაოსს. მწერლის ირონია მიმართულია ადამიანთა აზროვნებისკენ.

„განზომილება" იმითაცაა საინტერესო, რომ ქარჩხაძე ქმნის ძალიან საინტერესო საუკუნის არანაკლებ საინტერესო მითს. არარსებული გველეშაპი ძალიან ჰგავს თავისი არსით ბერძნულ მინოტავრსა და ეგვიპტურ სფინქსს. პარადოქსული და, ამავდროულად, მძაფრად სატირული კი ისაა, რომ ამ მითოსურ არსებებს და მათ მიმართ ხალხის რწმენას უამრავი ასწლეული აშორებს ერთმანეთისგან. თურმე საუკუნეები არაფერს ცვლიან. საკმარისია, ადამიანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს და შიში იგრძნოს, მაშინვე უკან იხევს რაციონალიზმი და წინა პლანზე გამოდის ისევ ის თვალებგაფართოებული პირველსაწყისი-ყველაფრის მიღმა რომ მხოლოდ საფრთხე ეჩვენებოდა და ყველაფერში ეძებდა მშველელს საკუთარი თავის გარდა. ამიტომაც აღწერს ასეთი მსუბუქი ირონიითა და დიდი თანალმობით მწერალი გვირაბთან შეჯგუფებულ ადამიანებს.

გამოქვაბულის ალეგორია საინტერესოა ბიბლიური პარადიგმის თვალსაზრისითაც. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „როცა მოსაღამოვდა, მოვიდა მდიდარი კაცი არიმათიიდან, სახელად იოსები, რომელიც თვითონაც იესოს მოწაფე

იყო. მივიდა პილატესთან და გამოითხოვა იესოს გვამი. მაშინ პილატემ ბრძანა, მიეცათ. აიღო იოსებმა გვამი და შეახვია იგი სუფთა ტილოში. და დაასვენა იგი თავის ახალ სამარხში, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი; სამარხის კარს დიდი ლოდი მიაგორა და წავიდა“(ახალი აღთქმა, 1991:67). სწორედ გამოქვაბულში ქრისტეს ცხედრის შესვენება იქცა ყველაზე დიდ ქრისტიანულ მისტერიად. ქრისტეს ცხედრის გამოქვაბულიდან „გაღწევა“ კაცობრიობის სასუფეველში „შეღწევის“ წინაპირობად იქცა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ გამოქვაბულში შეღწევა აუცილებელია იმისათვის, რომ კონკრეტულმა ადამიანმა თუ ზოგადად, კაცობრიობამ, კათარზისი განიცადოს, რაც არსებობის უმაღლეს მიღწევად გაიაზრება.

გამოქვაბულის ალეგორიული დატვირთვა იკვეთება „ვეფხისტყაოსანშიც“: პოემაში ტარიელის მკვიდრობა გამოქვაბულში განსაკუთრებული მოვლენაა. ყველას, ვინც გამოქვაბულში ცხოვრობს, აქედან გასვლა უნდა უნდოდეს და ერთგვარი „მღვიმური ცნობიერების“ დასაძლევად მას დახმარება სჭირდება. ყოველივე ეს ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრისას უნდა გაირკვეს და ამის წინაპირობაა „ჭაში ჩავარდნილის არაკი“, რომელსაც ავთანდილი უამბობს ასმათს და ზუსტად გამოხატავს პოემის გონიერი პერსონაჟების ცხოვრების ფილოსოფიას.

მითოსური, რელიგიური, ფილოსოფიური და ლიტერატურული თვალსაზრისით, მღვიმეს, გამოქვაბულს და მათი ანალოგიით- ჭას, ორმოს, ქვაბულს განსაკუთრებული ფუნქცია აკისრია. „ვეფხისტყაოსანშიც“ გამოქვაბული მრავალმხრივ ალუზიასა და სიმბოლოს წარმოადგენს, რის გამოც იგი ამბივალენტურ მნიშვნელობას იძენს. მღვიმის, გამოქვაბულის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის მითოსური ტრადიციის მიხედვით, პირველი ადამიანი, რომელიც ქვესკნელიდან გამოვიდა, გამოქვაბულში ამოყოფს თავს. მღვიმეს, გამოქვაბულს, ჭას უკავშირდება ტრიადა: სიცოცხლე-სიკვდილი-აღდგომა, ამ სამი კომპონენტის შერწყმის შედეგად შესაძლებელია გამოქვაბულის ტაძრად გამოყენება. ამგვარი მღვიმე სამყაროს მოდელია.

გამოქვაბულში მყოფი ადამიანის ცნობიერება, პლატონის მღვიმის მითის კვალობაზე, კაცობრიობის ორგვარი ცნობიერების არსებობას მიუთითებს: მღვიმური ანუ მონური და თავისუფალი ცნობიერების. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ: გამოქვაბული ესაა საფრთხე, დაყოვნება, განსაცდელი, საიდანაც თავის დაღწევა მხოლოდ რაციონალიზმითა და სულიერი ძალების მოკრებითაა შესაძლებელი, ამავდროულად, აუცილებელიც. რადგან განწმენდა უმთავრესია, რისკენაც ადამიანი უნდა მიისწრაფოდეს. საგულისხმოა რუსთაველის უმთავრესი იდეაც: ბოროტების მთავარი ციტადელის- ქაჯეთის ციხის აღება წარმოუდგენელია მხოლოდ სიკეთითა და გონიერებით: ქაჯები სამმა მნათობმა გამოქვაბულის ბინადარი დევების იარაღით დაამარცხა.

გამოქვაბულში ყოფნა სულიერი განწმენდისა და ამაღლების წინა საფეხურია. ლიტერატურასა და მითოლოგიაში ადამიანის სულიერი განწმენდა წარმოუდგენელია ტანჯვისა და კათარზისის გარეშე, რომელიმეს გამოკლებით შეუძლებელია ადამიანის სულიერი განვითარება. ამდენად, ყოფნის მიზანი მღვიმიდან თავდაღწევა და სულის ამოყვანაზე ზრუნვა ყოფილა. „განზომილებაში“ აღწერილი გვირაბის და მისი გადაკეტვის გამო ატეხილი ხმაურის პლატონისეულ გამოქვაბულის ალეგორიასთან კავშირი, შინაარსობრივი მსგავსების გარდა, ფილოსოფიისადმი ჯემალ ქარჩხაძის განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამაც გვაფიქრებინა. ერთგან ის დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ მწერალი კარგად უნდა იცნობდეს ფილოსოფიურ ლიტერატურას, გარდა ამისა, ნიშანდობლივია ისიც, რომ მეტად საინტრესოდ განმარტავს ხელოვნებასაც: ადამიანის სულიერი აქტივობა მძლავრი ვულკანური რხევაა, რომელსაც ერთი ბოლო უკიდურეს მისტიციზმში აქვს გადგმული, მეორე- უკიდურეს რაციონალიზმში, ხოლო შუაში, სადაც რელიგია და ფილოსოფია ერთმანეთში გადადის, არის ხელოვნება. ქარჩხაძისათვის ფილოსოფოსებიდან გამორჩეული ადგილი პლატონს უკავია. იგი ერთგან წერდა, რომ ფილოსოფიიდან ჩემთვის მუდმივი თანამგზავრი და ხშირი მონატრების საგანი პლატონიაო (ქარჩხაძე, 2005:19).აქედან გამომდინარე, ჯემალ ქარჩხაძის პროზაში

პლატონის ფილოსოფიის გავლენისა თუ რეცეფციის ძიება მოულოდნელი და ალოგიკური არ უნდა იყოს. გვირაბთან შეჯგუფებული ადამიანები, რომლებსაც წასასვლელი არ გააჩნიათ, იძულებულნი არიან, ერთად იყვნენ და ამ თანადგომით თავი გამოამჟღავნონ. აუდიორუქებით მწერალი ქართველი ხალხის საინტერესოდ ირონიზებულ პორტრეტს ხატავს. ესაა ერი, რომელსაც მანქანურ საუკუნეს მიღწეულს, ჯერაც ვერ დაუღწევია თავი ცრურწმენებისათვის და ყველა მითის თვალდახუჭულს სჯერა. შედეგად, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ უმეცრება ქმნის შიშს და შიში-ქაოსს. მწერლის ირონია მიმართულია ადამიანთა აზროვნებისკენ, რომლებსაც სწამთ, რომ მეოცე საუკუნეში რიკოთის გვირაბში მართლა შეიძლებოდა გველეშაპი გამოჩენილიყო და გამვლელთათვის გზა გადაეკეტა.

## 3. გზისსახისმეტყველება

ანტიკურობიდან მოყოლებული დღემდე გზა მხატვრული ლიტერატურის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. მისი სიმბოლიკა რთულია და ტრანსფორმირდება ეპოქათა სააზროვნო ტენდენციების ცვალებადობის კვალობაზე. გზა განსაზღვრავს ნაწარმოების კომპოზიციას, მის სტრუქტურას და გავლენას ახდენს მხატვრული სახის აგების პრინციპებზე. გვაქვს „გზის“ მისტიკური გაშიფვრის ცდაც. გზის სიმბოლიკა უკავშირდება ღმერთთან, კოსმოსთან ადამიანის კავშირის პრობლემას. ბოლომდე განვლილი „ამოხსნილი“ და დაძლეული გზა გულისხმობს აბსოლუტური ჭეშმარიტების შეცნობასა და შინაგანი მთლიანობის აღდგენას.

ნაწარმოების გზას აქვს ჰორიზონტალური (ფიზიკური) და ვერტიკალური (სულიერი) ფორმა. მხოლოდ მითოლოგიურ პერსონაჟს ან გამორჩეული თვისებების მქონე კულტის მსახურს შეუძლია აღასრულოს ვერტიკალური მოგზაურობა ზევით

ან ქვევით. ვერტიკალური სტრუქტურაა დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, სადაც სხვადასხვა სიბრტყეები (ჯოჯოხეთი, სალხინებელი, სამოთხე) ვერტიკალურ ღერძზეა განლაგებული და სულიც ამ გზას გადის.

სამყაროს შემეცნებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნიშნებს. სწორედ ნიშანთა გაგება და ინტერპრეტაცია ქმნის სამყაროს ხატებს. გზა ის ლინგვოკულტურული კონცეპტია, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ტიპის ნიშნად კვალიფიცირდება. გზა, როგორც სიმბოლო, განსაკუთრებული საკითხია ქრისტიანულ ლინგვოკულტურებში. იესო ამბობს: „მე ვარ გზაი და ჭეშმარიტებაი და ცხორებაი“ (იოანე, 14:6).

იესოსა და გზის გაიგივება ქრისტიანობისა და გზის გაიგივებას ნიშნავს, სწორედ ასე ჩნდება ქრისტიანულ კულტურაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ამაღლებული სიმბოლო „გზა“, რომელიც დღემდე მრავალპასუხიან ამოცანად რჩება. უფალია ცხონების გზა. რადგან გზის გავლა სიოცხლეა, გზის დასასრული კი - გარდაცვალება, გზა რეალურ, ამქვეყნიურ ცხოვრებასა და ადამიანის წუთისოფელში არსებობა მიმოქცევას გულისხმობს. ამავე მნიშვნელობითაა მოხმობილი ეს სიტყვები პავლე მოციქულის ეპისტოლეშიც: „სრბაი აღმისრულებიეს“ (II ტიმოთე 4:6-8)

კაცობრიობის ისტორიაც გზაა, ადამიდან ახალ ადამამდე, გზა, რომელსაც საფუძვლად უდევს ძე შეცდომილის სევდა, სამოთხიდან გამოძევება და მარადიული მსვლელობა უკან, მამის სახლში დასაბრუნებლად, ძეობის პატივის აღსადგენად. „ძე შეცდომილის“ იგავი მაცხოვრისა და მთელი კაცობრიობის, უფლისა და ყოველი ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების პარადიგმაა: ადამიანი - უძღები შვილი, მამისაგან განმდგარი და დაკარგული, თავისი სულის, სახლისა და სამოთხის გზას ეძიებს. გზა გულისხმობს შესაქმიდან მსვლელობას ესქატოლოგიურ აღსასრულამდე. ესაა მსვლელობა წინ-წარსულისაკენ.

გზა სიმბოლური შინაარსისაა: ადამიანის მთელ ცხოვრებას გამოხატავს და მის ზნეობრივ სახესაც გვიჩვენებს, ჩანს მისი მსვლელობა ზეცისა თუ მიწისაკენ.

უმნიშვნელოვანესი სწავლებაა, რომ ცხონების მოსურნე ადამიანმა სულიერი გზაც: დაცემისა და ამაღლების, დაბრკოლებათა გადალახვის გრძელი ჯაჭვი- სიფრთხილითა და დაკვირვებით უნდა განვლოს, რათა არ „გარდაიდრიკოს გზისაგან სიმართლისა“ (საბანისძე, 1999:8), მოთმინებით იაროს ზეციური მამულისაკენ და „სრბის აღსრულების“ შემდეგ შეურცხვენლად წარდგეს მაცხოვრის წინაშე. საბანისძისეული „მამულისა ჩვეულებისამებრ სვლა“(იქვე, 9) მამულს ორივე მნიშვნელობით გულისხმობს: მიწიერსა და ზეციურსაც. გაუფრთხილებლობა და უყურადღებობა ორივე შემთხვევაში გზიდან გადაცდენას იწვევს. „შევედით იწროისაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედლად, და მრავალნი ვლენან მას ზედა. ვითარ იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი, რომელი მიიყვანებს ცხონებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოებენ მას“ (მათე, 7. 12-13).

გზაზე მსვლელობის მისტერიას გამოხატავს ძველი და ახალი აღთქმის რამდენიმე პასაჟი: აბრაამი- ღვთის მოწოდებას რწმენითა და იმედით რომ მიჰყვებოდა და აღთქმულ ქვეყანაში მივიდა; უდაბნოში ორმოცი წლის განმავლობაში იტანჯებოდნენ ებრაელები, ხან მოსეს რომ უწყრებოდნენ და ხან-უფალს, ამიტომ მათმა მცირე ნაწილმა მიაღწია სანუკვარ მიზანს. მსვლელობა-ამაღლებას კი ყველაზე ნათლად გამოხატავს მაცხოვრის გოლგოთის მთაზე ასვლა და სიკვდილით სიკვდილის ძლევა.

საინტერესოა ჰაგიოგრაფიული გზის მოდელიც- სულიერი ამაღლება და სასულიერო მოღვაწეობისათვის მზაობა: ნინოს ჩამოსვლა ქართლში კაბადოკიიდან, აბო არაბეთიდან მოემართება ქართლში და გრიგოლ ხანძთელს ურთულეს გზაზე თვით უფალი მიუძღვის ოპიზამდე.

წმინდა დიონისე არეოპაგელის აზრით, უფალთან სიახლოვის მიხედვით, ადამიანები ჯგუფებად იყოფიან და „კიბის საფეხურებზე“ განლაგდებიან. ადამიანი თანდათან უახლოვდება ღმერთს, მაღლდება, უფლისკენ მიმავალ კიბეზე ადის. ეს

მსვლელობა სიმბოლურად მოიაზრება ილიას „განდეგილშიც“- ჯაჭვის რგოლები ინიციაციის ის საფეხურებია, სულიერ კათარზისს რომ გულისხმობს.

გზას ფოლკლორშიც თავისი საკრალური დანიშნულება აქვს, ის არის დამაკავშირებელი სამყაროს მრავალგანზომილებიანი სისტემისა. ერთი მხრივ, მკვეთრადაა გამიჯნული საიქიო და სააქაო. თუმცა სამყარო ხშირად სამგანზომილებიან სისტემაშიცაა მოაზრებული: ზესკნელი, შუასკნელი და ქვესკნელი. ერთი განზომილებიდან მეორეში გადასვლა- გარდაცვალება - სწორედ გზის მეშვეობით ხორციელდება. სიკეთის გზა განსაკუთრებულია იმითაც, რომ კანონზომიერებას, რომელსაც ეს გზა ემორჩილება, ვერავინ შეცვლის.

ფოლკლორის მიხედვით, გზას აქვს საკრალური დანიშნულება. გზის ფენომენი წრიულია და მთლიანი. ის იწყება აქ, ამ სამყაროში და მთავრდება იქ, - საიქიოში. თითოეული ადამიანი ამ გზას აქ, სააქაოში იწყებს და როცა გარდაიცვლება და სულთა სამეფოში შეაბიჯებს, წრე იქ იკვრება. ქართული ფოლკლორული შემოქმედება თითქმის მთლიანად გზაზე გასვლის, გზის დასახვის მოტივს ეფუძნება. მითოლოგიის და ზღაპრის გმირები ინიციაციის გასავლელად გზას ადგანან. გზაშივე იკვეთება წინააღმდეგობა და მისი დაძლევის საშუალებანი. ქართული ზეპირსიტყვიერების ტექსტებში გზა მოიაზრება, როგორც ჰორიზონტალზე, ისე ვერტიკალზე. ჰორიზონტალის გამომხატველია სწორხაზოვანი გზა, რომელსაც პერსონაჟი გაჰყავს ფუნქციურად მნიშვნელოვან სივრცეში,- მინდორი, მდინარის ნაპირი, გამოქვაბული, კლდე... ვერტიკალის გამომხატველია პერსონაჟის მიღმა სამყაროში გადასვლა, რაც მოიცავს ზემო და ქვემო ყოვლადობის ელემენტებს. ის შეიძლება გამოიხატოს კოშკით, ღრუბლებით, ქვესკნელით - ორმოთი, რომელშიც თოკით ეშვებიან.

გზის ნაირსახეობაა ლაბირინთი. იგი მნიშვნელოვანი არქეტიპი და მეტაფორაა, რომლითაც განისაზღვრება კულტურული, ფილოსოფიურ-ლიტერატურული და სხვა პროცესები. თავდაპირველ, ნეოლითის ხანის, მისტერიულ ლაბირინთებს ერთგვარი კავშირის ფუნქცია ჰქონდათ მიწიქვეშა სამყაროსთან და დამკრძალავ თუ ინიციაციის

რიტუალებში გამოიყენებოდა. ლაბირინთს ერთი შესასვლელი ჰქონდა, რომელიც გამოსასვლელიც იყო.

შუა საუკუნეებიდან დაწყებული, ლაბირინთი გაიაზრება, როგორც ადამიანის რთული ცხოვრების მეტაფორა. ხელოვნურად დაგრძელებული გზა ლაბირინთის ცენტრში (დაკარგულ სამოთხეში) შესაღწევად აუცილებელი პირობაა. მითოლოგიურ თეზევსს, მინოტავრის დამმარცხებელს, ახალ დროში ენაცვლება ქრისტე, რომელმაც გაიარა მიწიერი ლაბირინთი და დაამარცხა მინოტავრი - სატანა, შესაბამისად, მისი არიადნეს გორგალია რწმენა.

ადამიანი მუდამ სადღაც მიდის, მუდამ რაღაც გზას ირჩევს - გზა უსასრულოა, რადგან ადამიანი არასდროს დგას. ამდენად, ის შეიძლება აღვიქვათ გზაზე მდგარ პიროვნებად, მგზავრად, რომლის სვლაც დაბადებიდან იწყება: „გზის მოდელის გააზრება სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად ხდებოდა. ძველი აღთქმის ადამიანისთვის დროში განფენილი გზის სათავეში წინაპრები არიან, ხოლო მათ მოსდევენ შთამომავლები, ანუ შემდეგი თაობები, რომლებიც წინამორბედთა ცხოვრების წესითა და კანონების დაცვით ცხოვრობენ, მათთვის ღირებული წარსულია, რომელიც არქეტიპებშია დაპრესილი“ (ყურაშვილი, 2007:12).

პარადიგმული თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ეკოსეული ბიბლიოთეკა, რომლის მიხედვით სამყარო ერთგვარი ლაბირინთია, შემსვლელთათვის რომ განიერია და გამომსვლელთათვის ვიწრო, თუ შეხვალ, ზუსტად არ იცი, გამოხვალ თუ არა.

ბორხესის პროზაც ლაბირინთის პრინციპზეა დაყრდნობილი, საიდანაც გამოსასვლელი გზა არ არსებობს: „ქვეყნიერება (რომელსაც სხვა ბიბლიოთეკას დაარქმევდა) შედგება ექვსკუთხა გალერეების განუსაზღვრელი ან სულაც უსასრულო რიცხვისგან, რომლებსაც შუაგულში დატანებული აქვს დაბალი მოაჯირით გარშემორტყმული - ფართო სავენტილაციო ჭები. ყოველი ექვსწახნაგიდან მოჩანს ზედა და ქვედა სართულების დაუსრულებელი რიგი... გალერეებში საგნების განაწილება უცვლელია. ოცდახუთი ფართო თარო - ხუთ-

ხუთი თითოეულ კედელზე - ყველა კედელს ფარავს ერთის გამოკლებით... თავისუფალი კედელი ვიწრო დერეფანში გადის, რომელსაც, თავის მხრივ, სხვა გალერეაში მივყავართ, რომელიც პირველისა და ყველა სხვა დანარჩენის იდენტურია...“ (ბორხესი, 2015:23).

მსოფლიო ლიტერატურაში გზის პარადიგმა საკმაოდ ვრცლადაა გამოყენებული. ამ მოდელს- თითქმის მარადიული მსვლელობის, განწმენდის, ინიციაციის მნიშვნელობით, ჯერ კიდევ ჰომეროსი იყენებდა თავის „ოდისეაში“. ითაკის ძლევამოსილი მეფე ოდისევსი ტროას ომის შემდეგ სახლში ბრუნდება, ოღონდ საკუთარ სახლში დაბრუნება (ანუ კათარზისი) უამრავი დაბრკოლების დაძლევის შემდეგაა შესაძლებელი. ოდისევსს ებრძვიან ღმერთები და ადამიანები, მას თითქოს მთელი სამყარო ეღობება წინ, მაგრამ საწადელს მაინც აღწევს და ბრუნდება. თუმცა მისი ოდისეა მხოლოდ სწორ გზაზე ხეტიალი როდია, იგი მოახერხებს ქვესკნელში ჩაღწევასაც, რაც მითოსური პასაჟია და სიმბოლურად ქვეცნობიერში მოგზაურობას გულისხმობს, დროის კანონზომიერების რღვევას და ერთდროულად წარსულსა და აწმყოში ყოფნას. საგულისხმოა, რომ ოდისევსი სახლში გლახაკად და მათხოვრად შემოსილი ბრუნდება, რაც, ფაქტობრივად, ბიბლიური „უძღები ძის“ რემინისცენციად შეიძლება ჩაითვალოს.

გზის მოდელია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური ღერძიც. პოემის მთავარი პერსონაჟები ერთად გადიან გზას ბოროტების ციტადელის, ქაჯეთის ციხის დასამხობად და ტექსტის უმთავრესი სლოგანის - ბოროტი რომ უნდა დამარცხდეს- აღსასრულებლად. ამ გზაზე ავთანდილის დაუღალავი მოგზაურობა სიკეთისკენ სწრაფვაა და კეთილშობილურ მისიას ემსახურება: ბოროტება უნდა დამარცხდეს და სიკეთემ უნდა იზეიმოს, ტარიელის და ნესტან-დარეჯანის სიყვარულს ამ გზაზე სიარულით და ამ გზით თუ გადაარჩენს ავთანდილი. ის არასოდეს იბნევა: ყოველთვის პოულობს გზას, რომელიც აუცილებელია მიზნის მისაღწევად: „ის რომ არ იყოს, არაფერი განვითარდება და პოემის სიუჟეტი ერთ ადგილზე გაჩერდება, რადგან ყველა დანარჩენი პერსონაჟი თავისი პირადი გრძნობებით იმდენად ღრმად

არის შეპყრობილი, რომ უჭირს საღი განსჯა“ (ბაქრაძე, 2014:52). „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟების გზაზე ბევრი მსხვერპლია, მაგრამ იდეა, რომლისთვისაც ისინი იბრძვიან, ამ ზვარაკს ითხოვს. სიყვარულმა რომ გაიმარჯვოს, დიდი მსხვერპლია საჭირო. თითქმის იმავეს ამბობს მაცხოვარიც: „ნუ გგონიათ, თითქოს დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი, მშვიდობის კი არა, მახვილის მოსატანად მოვედი“ (მათე, 10: 34).

გზის როლი და საინტერესო სიუჟეტური ფუნქცია კარგადაა გადმოცემული კერუაკის ბესტსელერში „გზაზე“. წიგნში ამბავი 1947 წლიდან იწყება, როცა სალ ფარადაიზი გადაწყვეტს, თავი დააღწიოს მომაბეზრებელ რუტინას და ცდილოს ახალ ცოდნას ეზიაროს. იგი დინ მორიარტრთან ერთად იწყებს მოგზაურობას. ისინი- უმიზნო და უპროგრამო მეამბოხეები- მთელ ამერიკაში მიდი-მოდიან, წიგნი სავსეა საგზაო ეთიკითა და ლირიკით, გზისპირული, მოხეტიალე დრამატიზმითა თუ კომიზმით. რაც მთავარია, გზა საკუთარი ცხოვრების გავლასთან ერთად საკუთარ თავში მოგზაურობასაც გულისხმობს სიმბოლურად და ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენების კეთებასაც.

პარადიგმული თვალსაზრისით საინტერესოა რომანი „სული რომ ამომდიოდა“. მასში მოთხრობილია ბანდერების ოჯახის ისტორია. ენს ბანდერი, თავის ხუთ შვილთან ერთად ოჯახის დედას- ედი ბანდნერს- მისი სურვილის თანახმად, ჯეფერსონში მიასვენებს. მართალია, ბანდნერების ოჯახის „ოდისეა“ სულ რაღაც ათ დღეს გრძელდება, მაგრამ მკითხველის თვალწინ რომანის გმირების მთელი ცხოვრებაა გადაშლილი. განსაკუთრებით მრავლისმთქმელია ენსის მონოლოგი, როცა ცოლის ცხედარს უკან მიჰყვება: „გზა ზედ ჩემს კარამდე მოდის. ყველა ავლილ-ჩავლილ უბედურებას შეუძლია კარი შემომიღოს... ღმერთს გზა სასიარულოდ გამოუგონია: ამიტომ არის მიწაზე გაწოლილი. და თუ ღმერთს განზრახული აქვს, რომ რაიმე აამოძრაოს, წინ გზას გაუშლის“ (ფოლკნერი, 1989:25).

რაც შეეხება ჯემალ ქარჩხაძის „განზომილებას“, რომანი პარადიგმებითაა სავსე. მათ შორის გამორჩეულია სწორედ გზის სიმბოლიკა. სხვაგვარად ალბათ

წარმოუდგენელი იქნებოდა ინტელექტუალური მწერლის პროზა. თუმცა სახეები ისეა კოდირებული, რომ სიუჟეტის დონეზე ყველაფერი ცხადია. „საგანგებო ცოდნა" კი მკითხველს სჭირდება იმისათვის, რომ ტექსტის უფრო ღრმა შრეებს ჩასწვდეს და სრულყოფილი აღქმა შეძლოს. ამ ინტერპრეტაციით „განზომილების" გზა გვირაბამდე, გვირაბში და გვირაბის შემდეგ ჯოჯოხეთში შთასვლას ემსგავსება. ნაწარმოების წინასიტყვაობაში ვკითხულობთ ერთგვარ მოწოდებას: „ვიაროთ წინ, რაკი სხვა გზა არ გვაქვს". მკითხველისთვის ეს იძულებითი მსვლელობა ბედისწერის გზას ჰგავს, რადგან ის არცერთი სულდგმულის ნებას არ გულისხმობს, ის თვითონ მიედინება და ყველას და ყველაფერს თან მიიდევნებს.

ქარჩხაძის რომანის სიუჟეტური ქარგა ასეთია: მთავარი პერსონაჟი მოულოდნელად ბიძისგან მიიღებს უცნაურ დეპეშას, რომლის ქარაგმის ამოსაცნობად ის სანაკლიოში გაემგზავრება. ამით, ფაქტობრივად, იწყება ის ოდისეა, რაც რომანის ფაბულაცაა. ტექსტის შესავალ ნაწილში ქარჩხაძე წერს: „არ მოგატყუებთ და მოფრთხილების მომიზეზებით არ დაგიმალავთ: გზა, გარდა იმისა, რომ შორია, ძნელი სავალიცაა. ალაგ-ალაგ ალბათ მოყინულიც იქნება (ასეთ მონაკვეთებს, ვიდრე ყინულზე ფეხის მოკიდებას მიეჩვევით, შეგიძლიათ მოურიდებლად გადაახტეთ). სამაგიეროდ არც თავმდაბლობის მომიზეზებით იმას დაგიმალავთ, რომ ამ ხანგრძლივ მოგზაურობაში სიამოვნებაც ბევრი გელით, ხოლო თუ ბოლომდე გაძლებთ, თქვენი მოთმინება და შეუპოვრობა თქვენი მოთმინებისა და შეუპოვრობის ჯილდოდ იქცევა" (10). ამრიგად, ნათელი ხდება, რომ გზა ის სიუჟეტური ხაზია, რომელიც ბევრ საკვანძო ეპიზოდს კრავს, სწორედ გზაზე მსვლელობისას მთავარი პერსონაჟი აღმოაჩენს ბევრ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანჭეშმარიტებას, რაც მის ცხოვრებას ძირეულად შეცვლის.

მგზავრობა იწყება განთიადისას, რაც სიმბოლურად ცხოვრების ახალი ეტაპის დადგომასაც გულისხმობს, მას წინ უძღვის რამდენიმე გამაფრთხილებელი მინიშნება, რამაც მგზავრს წასვლისაგან, სულ თუ არა, დროებით მაინც უნდა შეაკავებინოს თავი, მაგრამ სულ ტყუილად. მოიხაზა მარშრუტიც: თბილისი-

სანაკლიო. ნიშანდობლივია ეს უკანასკნელი ტოპონიმიც - ის თითქმის საკუთარ თავში მოგზაურობას გულისხმობს, საკუთარი ნაკლის დასანახად და აღმოსაჩენად. ეს ნაკლი ხანდახან სცდება პიროვნული ხარვეზის ვიწრო ჩარჩოს და მასშტაბურ-ეროვნულ, და ამ თვალსაზრისით, საგანგაშო სახეს იღებს.

გზაზე დადგომა იმთავითვე სირთულეებთან გამკლავებას გულისხმობს, ესეც ერთგვარი ლიტერატურული ქარგაა, ერთგვარი შაბლონი, რომელსაც ჯემალ ქარჩხაძე საინტერესო მიზნით იყენებს. რომანის მთავარი პერსონაჟის მგზავრობისას უამრავი გაუთვალისწინებელი შემთხვევა ხდება, რაც ამ ოდისეას უფრო საინტერესოს ხდის. მგზავრობა იწყება მისტიკური დილით, დაცლილი და გაუკაცრიელებული ქალაქი ავის მოლოდინს ბადებს, განსაკუთრებით, მისი პომპეისთან შედარება: „მომეჩვენა, თითქოს ეს ქალაქი, რომელსაც ჩემს გულში სიყვარულის სკალაზე მეორე ადგილი უჭირავს, პომპეუსი იყო და მის ბინადართ დიდი ხანია, ვეზუვის სქელი ლაბის ქვეშ მარადიული ძილით ეძინათ, მე კი თავზარდაცემული გავრბოდი. გავრბოდი უკანმოუხედავად, გავრბოდი და ვცდილობდი, რაც შეიძლება, მალე გავცლოდი აქაურობას, ვინაიდან ამდენი სიკვდილის გვერდით ჩემი სიცოცხლე როგორღაც უადგილო და უხერხული ჩანდა.“ (ქარჩხაძე, 2001:20). თუმცა ეს შედარებაც და შიშიც უსაფუძვლო აღმოჩნდა, მთხრობელი ხვდება ადამიანებს, რომლებიც უცნაურები არიან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მათთან დიალოგისას მგზავრი ნელ-ნელა კარგავს შიშს და სიფხიზლეც უბრუნდება.

თბილისიდან გასვლისთანავე, მცხეთასთან, მთხრობელი დაიმგზავრებს უცნობ ქალს- სალომე ერისთავს- იმ იმედით, რომ ეს ერთობლივი მგზავრობა დროებითია, ქალს მანქანა გაუფუჭდა და გზის გაგრძელება აღარ შეეძლო, მალევე გაირკვევა, რომ ეს უცნაური ქალი მისი თანამგზავრია სანაკლიომდე, თთქმის იმავე მისამართამდე- პაპასქირის რვამდე. ქალი „თხელი იყო, საშუალო ტანის, პირმრგვალი და შავგვრემანი. მოკლე თმა ჰქონდა, მორკალული წარბები და დედოფალ კლეოპატრას არა, მაგრამ თვალების სიღრმეში რომ წამით ის ელვა არ გაკრთომოდა (ერთი მხრივ, უცნობი და მოუხელთებელი, მეორე მხრივ, შინაური და გარდაუვალი), რომელიც

იოტისოდენა ეჭვს არ ტოვებს, ვიტყოდი, სპარსს უფრო ჰგავს, ვიდრე ქართველს-მეთქი“, (ქარჩხაძე, 27) გარდა გარეგნობისა, თანამგზავრი ქალი ხასიათით და მანერებით, ჟესტიკულაციითაც უცნაური აღმოჩნდება, რაც მთხრობელში ერთდროულად იწვევს მორიდებას და ცნობისმოყვარეობას, პროტესტს და აღფრთოვანებასაც. მთელი მგზავრობის განმავლობაში ის საკუთარ თავს ელაპარაკება და ეს ლაპარაკი წინააღმდეგობას გამოხატავს საკუთარ თავთან, მერე გადაწყვეტს, ინერციით იაროს წინ და დააკვირდეს, რა მოხდება.

ყველაზე საინტერესო მაინც რიკოთის გვირაბი აღმოჩნდება, რომელიც დროებით გადაუკეტავთ და მის შესასვლელთან უამრავ მანქანასა და კიდევ უფრო მეტ ადამიანს მოუყრია თავი. ამ ხელოვნური ბარიერით იწყება რომანის ყველაზე მთავარი სათქმელი: გვირაბი იძენს სიმბოლურ სახეს, ის გულისხმობს წარსულში დაბრუნების საფრთხეს, ხოლო ხალხი - იმ ეპოქის თაობას, რომელშიც ავტორი თავის უკანასკნელ რომანს წერდა. ეს იყო ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე რთული პერიოდი, საუკუნეთა გზაგასაყარი, როცა ერის ცნობიერებას ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი სამოცდაათწლიანი მონობისათვის, თუმცა თავისუფლების გემოც გაეგო და მისკენ ილტვოდა.

გვირაბთან გაჩერებით თითქოს დროც ჩერდება და ეს გაჩერება ძალიან ჰგავს მოზაიკურ ნახატს, ზუსტად რომ ასახავს თანამედროვეობას თავისი ცრურწმენებითა და რაციონალიზმით, შიშითა და ოპტიმიზმით, სიბრიყვითა და უკეთესი მომავლისკენ სწრაფვით. თანამედროვე გვირაბი იგივე გამოქვაბულია, მღვიმე, რომელში შესვლაც ადვილია, გამოსვლა- რთული. ის საფრთხეა, რომლის დაძლევა რჩეულებს შეუძლიათ მხოლოდ. თუმცა ის შესაძლოა ყველაზე საიმედო თავშესაფრის ფუნქციითაც მოგვევლინოს.

## 5.სახელდების პრინციპი

ლიტერატურაში ხშირად ხდება ხოლმე, როცა მწერლები აღწერენ გარემოს და ეს აღწერა ალეგორიულ ნიშნებს ატარებს. ალეგორია ხომ სათქმელის გამოხატვის ყველაზე „უსაფრთხო“ გზაა - ის, რასაც პირდაპირ ვერ იტყვი, ადვილი სათქმელია მინიშნებებით, ქარაგმულად. დღეს აღარავინ დავობს იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსნში“ არაბეთში თინათინის გამეფება საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდის - თამარის ტახტზე ასვლის გამომხატველია, სულხან-საბას იგავების ზნესრული უფლისწული ჯუმბერი ალეგორიულად იმ იდეალს გამოხატავს, რაც, მწერლის აზრით, ერთადერთი მხსნელი იქნებოდა იმ ეპოქის საქართველოსთვის - დაღუპვის პირას მისული ქვეყანა მხოლოდ ჯუმბერისნაირ უფლისწულს შეეძლო გადაერჩინა; ალეგორიულია XX საუკუნის ბევრი რომანის სათქმელიც - „დიდოსტატის მარჯვენაში“ სასიყვარულო სამკუთხედის მიღმა გაცილებით მტკივნეული პრობლემაა ხაზგასმული - რა ელოდება ჭეშმარიტ ხელოვანს ტირანულ სახელმწიფოში და ა.შ.  ბევრი მსგავსიმაგალითის მოხმობა შეიძლება, თუმცა ამ შემთხვევაში, ჩვენს ყურადღებას გავამახვილებთ მწერლების მიერ არჩეულ მხატვრულ ხერხზე - სახელდების პრინციპზე, როცა ერთი რომელიმე კუთხე ან სოფელი გაცილებით ბევრისმთქმელია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ვიგულისხმოთ. მაგალითებად კმარა ჯოისის „დუბლინელები“  ან ედგარ ლი მასტერსის „სფუნრივერსის ანთოლოგია“, თუმცა ხშირად ავტორები თვითონვე იგონებენ ტოპონიმებს, რომელთა მიღმა კონკრეტული კუთხის ან, ზოგადად, ქვეყნის ამოცნობაა შესაძლებელი. მაგალითად დემნა შენგელაიას  „სანავარდო“. 1924 წელს, როცა ეს რომანი გამოქვეყნდა, საქართველო უკვე სამი წლის გასაბჭოებული იყო. ერთმანეთს დროში ორი პროცესი დაემთხვა: ევროპის სულიერი კრიზისი და პოლიტიკური რყევები ქვეყანაში. სნეული, არაჯანსაღი გარემოს მოლოდინი ეპიგრაფიდანვე ნათელია.მნიშვნელოვანიაგრეთვე პარალელი საქართველოსთან - რწმენაშერყეული ქვეყანა, ფუნქციადაკარგული ჭილაძეები - ქართველების ზოგადი სახე და გაუცხოებული მამული - სანავარდო. საინტერესოა მწერლის პროგნოზი - სულიერ დაცემას, შეუძლებელია, არ მოჰყვეს ხორციელი განადგურებაც - სანავარდო (საქართველო) ისჯება ზნეობრივი დაცემის გამო- ეს ქვეყნის მომავლის განსაზღვრაა.

სახელდების პრინციპით საინტერესოა აკაკი წერეთლის მოთხრობა „კუდაბზიკეთი“, რომელსაც, სამწუხაროდ, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა. ტექსტი ალეგორიულია და მწერალი მძაფრი სატირით აღწერს ქართულ ხასიათს, - უღირსის გაუაზრებელ გაფეტიშებას და მუდმივ ბრძოლას რწყილისა და ტილის - ცუდისა და უარესის მომხრეებს შორის. კუდაბზიკეთი - ეს ალეგორიული სახელწოდება განაჩენივით ჟღერს, მწერალი ფიქრობს, რომ მისი  თანამედროვე ქართველობა

რეალურად არაფერს წარმოადგენს, რადგან განსჯის უნარი დაუკარგავს და ვერაფერს შველის ვერც თავს და ვერც - ქვეყანას.

სახელდების პრინციპი საინტერესოდ გამოიყენა ჯემალ ქარჩხაძემაც. რომანში „განზომილება" გვხვდება ერთი საინტერესო ტოპონიმი- სანაკლიო. ნათელია, რომ სიტყვის ძირი არის ნაკლი, რაც უკვე ზევრისმთქმელია. მწერალი აღწერს სანაკლიოს მკვიდრთა ცხოვრებას და მკითხველთათვის ცხადი ხდება, რომ ეს პატარა ქალაქი ალეგორიულად სწორედ საქართველოს გულისხმობს, უფრო კონკრეტულად კი 90-იანი წლების საქართველოს. მწერალი ასე გვაცნობს სანაკლიოს - „იქ რომ სიმართლე ჩაიყვანო და იქაურობა აჩვენო, მგონი, ისეთები თქვას, უხამსობამაც კი ყურებზე ხელი მიიჭიროს".(გვ:51)სანაკლიო მტვრიანი ქალაქიაო, წერს ავტორი და ეს მტვერიც ერთგვარ ალეგორიად შეიძლება ჩაითვალოს - მტვერწაყრილობა ხომ უმოქმედობაა, იგივე, „საათი რომ საათია, ისიც ყოველთვის უკან რჩებაო" (გვ:51), - დასძენს ქარჩხაძე და ეს ფრაზაც შეულამაზებლად გამოხატავს ქართულ ხასიათს - მუდმივი დუღილი და თითქმის ყოველთვის მოჭრილი გზა მომავლისკენ, ინერცია და არა - მიზანმიმართული მსვლელობა. სანაკლიოს მკვიდრთა დახასიათებისას მწერალი მიმართავს პაროდიას - „რჩეულთა კრების" დეტალებზე მსჯელობა ხელისუფლების კრიზისის გამომხატველია, რაც მეოცე საუკუნის მიწურულის ქართული პერიპეტიების ამსახველია, ლამის ქრონიკულ სახელისუფლებო კოლაფსად რომ გვექცა. განსაკუთრებით საინტერესოა რომანში აღწერილი ურთულესი პროცესი - თავისუფლების დამკვიდრება სანაკლიოში. მძაფრი სატირული თხრობით მწერალი შეულამაზებლად აღწერს იმ მენტალურ ქაოსს, დამოუკიდებლობა რომ დაერქვა და ბრძოლით მოპოვებული რომ გვეგონა, სინამდვილეში კი თავსმოხვეული, ნაბოძები და გამოუყენებელი თავისუფლება იყო. ჯერ „თავისუფლების ბუტაფორია" შემოგვაჩეჩეს, რომ შევჩვეოდით, შევგუებოდით და ნამდვილი თავისუფლება თუ გვეღირსებოდა, გონივრულად გამოგვეყენებინა, მაგრამ მანამდე თავისუფლებობანა უნდა გვეთამაშა და კაცმა არ იცის, სადამდე უნდა გაგრძელებულიყო ის. შეიძლება, ერთი შეხედვით, მკითხველს გადაჭარბებული და მეტისმეტად გახანგძლივებული მოეჩვენოს სანაკლიოს - ქაოსის - ჭიქაში ატეხილი ქარიშხლის აღწერა, მაგრამ მწერალი განმარტავს, რომ ეს ყველაფერი იმითაა განპიროვნებული, რომ ეს წიგნი მათთვის დაიწერა, ვინც შემდეგ მოვიდა და თავიანთი თვალით არ უნახავთ ის, რაც მწერლისა და მისი თანამედროვეებისთვის ობიექტური მოცემულება იყო. ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქარჩხაძის რომანში სანაკლიო იგივე საქართველოა - XX საუკუნის მიწურულის ქვეყანა, რომელიც უფსკრულის პირას იდგა და ტორტმანებდა. ხოლო თავად ქარჩხაძე ერთგვარ მემატიანედ გვევლინება, რომელიც

„განზომილებით“ თავის შთამომავალს საინტერესო არჩევანს სთავაზობს - „ისეთი ძეგლი დაგვიდგას, როგორსაც ვიმსახურებთ“.

## დასკვნა

ჯემალ ქარჩხაძის „განზომილება“ ბვრი თვალსაზრისითაა საინტერესო, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტექსტის პრობლემატიკა და გამოსახვის ხერხები. ნაშრომში შევეცადეთ, რომანის გათვალისწინებით გვემსჯელა ეროვნულ ხასიათზე, ქართველი კაცის ქარჩხაძისეულ აღქმაზე და გვეთქვა, წინა საუკუნეებისგან განსხვავებით, რა შეიცვალა ერის ცნობიერებაში, რა დავკარგეთ და რა შეგვრჩა. ლიტერატურული კვლევის ძირითადი ტენდენციების ფონზე გამოიკვეთა ქართველი ერის ბევრი ისეთი თვისება, რომლებიც ღრმა ანალიზს ითხოვს, როგორებიცაა, მაგალითად, ცრუაქტიურობა, ფსევდოპატრიოტიზმი, დარღვეული ცნობიერება, პოლიტიკური დაბნეულობა, უსაფუძვლო ტრაბახი, ცუდმედიდობა და სიზარმაცე. ყველა ეს თვისება ქმნის ქაოსს, საიდანაც თავის დაღწევის მცდელობა, წლებია, უშედეგოა. ფოლკლორისა და , ზოგადად, ქართული მწერლობის გათვალისწინებით ნაშრომში ვიმსჯელეთ ქართულ ტიპაჟზე და შევეცადეთ, თანამედროვე ქართველი კაცის პორტრეტიც დაგვეხატა. ეს საკითხი. თუ რა კვალს ტოვებს ქართველი კაცი ქართულ ლიტერატურაში განსაკუთრებით საინტერესოა თვითგამორკვევის თვალსაზრისით, განსაკუთრებით ჩვენისთანა მცირე ერებისათვის. თუმცა „განზომილების“ მიხედვით გამოიკვეთა ერთი ტენდენცია: თუ სხვა მწერლები სხვადასხვა ეპოქაში ცდილობდნენ ერთ კონკრეტულ პერსონაჟამდე დაეყვანათ ქართველის ზოგადი თვისებები და კრებითი ტიპაჟი შეექმნათ, ქარჩხაძის რომანში არ გვყავს ერთი განზოგადებული ზოგადი ტიპი, აქ მთავარი პერსონაჟი ხალხია, დემოსი, პერსონაჟად შეიძლება ჩაითვალოს თვითონ ქვეყანაც, რომელიც უფსკრულის პირასაა და გადარჩენას ცდილობს. ამ თვალსაზრისით, ეს რომანი შეიძლება ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურაში გამონაკლისად და მის პოეტურ ანალოგად ილიას „ბედნიერი ერი“ მივიჩნიოთ.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, „განზომილების“ შესახებ თითქმის არ არსებობს კვლევა და ამიტომ ტექსტზე მუშაობა ერთდროულად რთულიც იყო და საინტერესოც.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რომანის მიხედვით პიროვნული თუ სახელმწიფოებრივი თავისუფლების გააზრება. ქარჩხაძე გვთავაზობს ამ ცნების მეტად ფილოსოფიურ და ვიწრო ჭრილში განმარტების მცდელობასაც. ის ურყევ ჭეშმარიტებას ავითარებს: მონები ვერასდროს შექმნიან თავისუფალ ქვეყანას, მონებად კი ერს ყველაზე ადვილად გაუნათლებობა აქცევს, ამიტომაც, მწერალი ფიქრობს, რომ სანამ ერი არ შეეცდება რაციონალურად და არა ემოციურად აღიქვას რეალობა, სანამ თავს არ იმტვრევს გონივრული გამოსავლის მოსაძიებლად, სანამ სხვისი ხელის შემყურე იქნება და არ გააცნობიერებს, რომ შენს საკუთრებას მხოლოდ შენ უნდა მოუარო, მანამ არაფერი გვეშველება. აღსანიშნავია ის, რომ ამ მწვავე პრობლემას ქარჩხაძე ანელებს სატირის, იუმორისა და ირონიის მსუბუქი გამოყენებით და მონაცვლეობით, რაც უფრო საინტერესოდ აღსაქმელს ხდის ტექსტს და მკითხველსაც უადვილებს დასკვნების გამოტანას.

ნაშრომში შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს დაწერილი ეს ტექსტი პოსტმოდერნიზმს მიეკუთვნება და მატარებელია იმ ნიშნებისა, რაც ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას ახასიათებს: მძაფრი სატირა, ინტერტექსტუალობა, თხრობის დაუსრულებლობა, პარადიგმათა საინტერესო გამოყენება სიუჟეტური კვანძების შესაკრავად, ფენტეზის, დეტექტივის, რომანისთვის დამახასიათებელი დეტალების საინტერესო კოლაჟი. სწორედ ამ დეტალების სიმრავლე ქმნის იმის თქმის საშუალებას, რომ „განზომილება“ პოსტმოდერნისტული ტექსტია და ზუსტად ასახავს იმ ეპოქას, რომელშიც მწერალი ცხოვრობდა და რომელსაც ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსული ჰქვია. ამ კუთხითაც განსაკუთრებით საინტერესოა „განზომილება“, რადგან ის უტყუარ მატიანედაც შეიძლება ჩაითვალოს, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანი იქნება ლიტერატორებისთვისაც და ისტორიკოსებისთვისაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არუთინოვა, 1993: არუთინოვა ნ.დ., შესავალი, ენის ლოგიკური ანალიზი, ფსიქიკური მოქმედებები, მოსკოვი.

Арутинова, 1993: Арутинова Н.Д., Введение, логический анализ языка, психическая деятельность, Москва.

2. ასათიანი, 1982: ასათიანი გურამ, „სათავეებთან“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
3. ახალი..., 1991: ახალი აღთქმა და ფსალმუნები, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, სტოკჰოლმი
4. ბარბაქაძე, 2012: ბარბაქაძე ცირა, კონცეპტი „კონცეპტი „ოცნება“ (სემიოტიკური ანალიზი), იხ. ელ-რესურსი:https://semioticsjournal.
5. ბარნოვი, 2009: ბარნოვი გ., „ნაცარქექიადან ყვარყვარემდე“, მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა, გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი.
6. ბარტი, 2013: ბარტი როლან, S/Z, SEUIL, თბილისი.
7. ბაქრაძე,1993: ბაქრაძე აკაკი, „მწერლობის მოთვინიერება“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.
8. ბაქრაძე,2004: ბაქრაძე აკაკი, „სკოლას“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.
9. ბერდიაევი, 2009: ბერდიაევი ნიკოლოზ, „დემოკრატია და პიროვნება“, ელრესურსი: http://litklubi.ge./ biblioteka
10. ბორხესი, 2015: ბორხესი ხორხე ლუის „ბაბილონის ბიბლიოთეკა“, გამომცემლობა „ლოგოსი“ თბილისი.
11. ბუაძე,2013:ბუაძე თ. ფილოსოფიური შეხედულებები თავისუფალი ნების შესახებ, http://www. Orthodoxtheology. Ge (10.10.2013)
12. გამსახურდია, 1991: გამსახურდია ზვიად, წერილები, ესსეები, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი.

13. გამსახურდია, 1990: გამსახურდია კონსტანტინე, „მთვარის მოტაცება“, თბილისი.
14. ევანსი, 2014: ევანსი ჯილიან, ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეებში, ილიაუნის გამოცემები.
15. კაკაბაძე, 2009: კაკაბაძე ნოდარ, „გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, ტომი მე-5, თბილისი.
16. კვიტაიშვილი, 2015: კვიტაიშვილი ემზარ, „რაოდენი სიმდიდრე დაგვიტოვა“, ჟურნალი „არილი“, 2. 06
17. კოსტავა, 1990: კოსტავა მერაბ, „თავისუფლება“, ოპოზიციური ლიტერატურა ამირანი, გამომცემლობა განათლება, თბილისი.
18. ლიოტარი, 2013: ლიოტარი, „სტრუქტურალიზმი, პოსტრუქტურალიზმი და პოსტმოდერნიზმი- სოციალური თეორიის წარმოშობა. Socium.ge
19. ლიტერატურის თეორიის ქრესტომათია, გამომცემლობა GCLA press, თბილისი. 2015
20. ლიტერატურული მიმდინარეობები (კლასიციზმიდან მოდერნიზმამდე) გამომცემლობა GCLA press, თბილისი. 2017
21. მასლოვა, 2001: მასლოვა, ლინგვოკულტუროლოგია, მოსკოვი;Маслова в. а. лингвокултурология. Москва.
22. მახაჭაძე,2004: მახაჭაძე შორენა, „პირველად იყო მითი“, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი.
23. მუზაშვილი, 2004: მუზაშვილი ნ. „ჩვენ და ისინი“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი,
24. მურღულია, 2007: მურღულია გია, ალიბეგაშვილი გიორგი, მაღლაფერიძე ვასილ, „საუბრები ძველ ქართულ ლიტერატურაზე“, გამომცემლობა „დია“, თბილისი.
25. მურღულია, 2012: მურღულია გია, რა არის თავისუფლება, გამომცემლობა “დიოგენე“, თბილისი.

26. ნოტომი, 2016: ნოტომი ამელი, „მკვლელის ჰიგიენა“, თბილისი
27. პლატონი, 2016: პლატონი, „სახელმწიფო“, https://library. Iliauni.edu.ge.
28. რუსთაველი, 1990: რუსთაველი შოთა, „ვეფხისტყაოსანი“, ნაკადული, თბილისი.
29. საბანისძე, 1978: საბანისძე იოანე, „აბოს წამება“, თბილისი.
30. სტეპანოვი, 1997: სტეპანოვი, კონსტანტები: რუსული კულტურის ანბანი, კვლევების გამოცდილება. Ю.С.Степанов, Константи: Словарь Русской Културы, Опыт Исследовании. Москва.
31. სჯანი - ჟურნალი ლიტერატურის თეორიასა და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში, თსუ, 2018
32. ტაბიძე, 2005: ტაბიძე გალაკტიონ, ლექსები, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.
33. ფოლკნერი, 1989: ფოლკნერი უილიამ, „სული რომ ამომდიოდა“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი.
34. ფშაველა, 1970: ვაჟა-ფშაველა, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
35. ქართველი რომანტიკოსები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი. 1978
36. ქარუმიძე, 2011: ქარუმიძე ზაზა, პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი, 17.08. 2011. Demo.ge/index.php?do
37. ქარჩხაძე, 2001: ქარჩხაძე ჯემალ, „განზომილება“, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი.
38. ქარჩხაძე, 2005: ქარჩხაძე ჯემალ, პუბლიცისტიკა, ქარჩხაძის გამომცემლობა, თბილისი.
39. ყურაშვილი, 2007: ყურაშვილი თ. სემანტიკა „გზის“ კონცეპტუალური ველი ქართულში, სემიოტიკა, 2007. 2. URL:http://arili2blogspot.com
40. წერეთელი, 2007: წერეთელი აკაკი, ქმს, თბილისი, „საქართველოს მაცნე“.

41. ჭავჭავაძე, 1974: ჭავჭავაძე ილია, რჩეული წიგნი, ტომი მე-2, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.
42. ჭავჭავაძე, 2007: ჭავჭავაძე ილია , ქმს, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი.
43. ჭავჭავაძე, 1978: ჭავჭავაძე ალ. ლექსები, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“.
44. ხუცესი, 1999: ხუცესი იაკობ, „შუშანიკის წამება“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.
45. ჯავახიშვილი, 2000: ჯავახიშვილი მიხეილ, „ჯაყოს ხიზნები“, ქართველი მწერლები სკოლაში“, თბილისი.
46. ჯალიაშვილი, 2016: ჯალიაშვილი მაია, „რა გვეჩქარება, ღმერთი ხომ არსად გაგვექცევა“, ფიქრები ჯემალ ქარჩხაძის რომანზე „განზომილება“) ქმს. წიგნი 12. გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი.